ირაკლი სამსონაძე

ალდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე

პიესა სამ მოქმედებად და შვიდ სურათად

მოქმედი პირნი:

1. **ნოე** — 70-ს გადაცილებული, კარგად თავშენახული კაცი, ცალი ფეხით კოჭლობს, ფეხუცა შეარქვეს.
2. **თამრო** — მისი ცოლი. საფლავების მომვლელი, დაახლოებით ნოეს ხნისა.
3. **ომარა** — მათი ვაჟი. 35 წლისა.
4. **მენატურე კაცი** — თამროს ძმა. ქართულ ნაციონალურ სამოსში დადის. ნოესა და თამროს თაობის კაცია.
5. **ლიდა** — მისი ცოლი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი.
6. **გიორგი** — 55-57 წლის კაცი.
7. **პატიკო** — მისი ვაჟი. 21 წლისა.
8. **მარინე** — მისი ქალიშვილი. 18-19 წლისა
9. **გოჩა** — მაღალი, მოუქნელი ბიჭი.
10. **ნიკო** — დაბალი ბიჭი.
11. **წარსულში ოპერის მომღერალი ქალი.**

სცენა გაუქმებულ სასაფლაოს წარმოადგენს.

სასაფლაო ფერდობზე მდებარეობს, იგი მაღლიდან გადმოსცქერის ქალაქს.

სასაფლაოს სიძველეზე მის შემოსასვლელში განლაგებული, სანახევროდ მიწაში ჩაფლული ქვის ლოდები მეტყველებენ. ცენტრში ვხედავთ ქოხმახს. ქოხმახის წინ მიწაში ჩაბეტონებულ ონკანს, სკამ-მაგიდას და სარეცხის ჯოხს. თოკზე გარეცხილი პერანგები ჰკიდია. იქვე ხის მოზრდილი კასრია. ქოხის შორიახლოს რკინის მყარად ნაგები ფარდულია — ნოეს სამტრედე — როგორც აქაურები ეძახიან მას. მოშორებით, სცენის კუთხისკენ ელექტრობოძზე ტელეფონი მიუმაგრებიათ.

გარდა ქვის ლოდებისა, 40-50-იანი წლებისათვის დამახასიათებელ მცირე ზომის, რკინის ლობეებით შემოსაზღვრულ, სკამ-მაგიდიან საფლავე-

Scanned with CamScanner

ბსაც ვხედავთ. აქვე ჩვენს დღეებთან მოახლოვებული ორიოდე საფლავიც
არის. ძვირფასი ქვის ფილებით მორთული, შემოუღობავი, მარმარილოზე
აღბეჭდილი მიცვალებულის პორტრეტით (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ
ორიოდე საფლავს ყველაზე მიუდგომელი მდებარეობა აქვს. ემჩნევა, რომ
მათთვის რის ვაი-ვაგლახით გამოუძებნიათ ადგილი). შორს, სიღრმეში გუ-
მბათჩამონგრეული ეკლესია ირეკლება.

სასაფლაოს მჭიდროდ ესაზღვრება პატარა დასახლება. იქიდან ხშირად
აღწევს სასაფლაომდე ძაღლების ყეფა-გნიასი თუ მამლის ყივილი. უმოკ-
ლესი გზა დასახლებიდან სამანქანო გზამდე სასაფლაოზე გადის.

სასაფლაოს კიდევ ორი ბილიკი კვეთს. ერთი ქალაქისკენ მიმავალ ძველ
გზას წარმოადგენს, მეორე კი მაღლა მიუყვება ფერდობს და მაყურებლი-
სათვის უხილავ კალათბურთის მოედნამდე მიდის.

მარტის ბოლო დღეები; გამოცოცხლებული, აყვავებული ბუნება, ჩი-
ტების ყივილ-ხივილი სასაფლაოს დასასვენებელ, მშვიდ ბაღს ამსგა-
ვსებს.

სურათი პირველი

ხუთშაბათი

***საღამოხანია. დროდადრო ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი ისმის. სცენა-
ზე პატიკო და მარინე შემოვლენ. პატიკოს მაჯაში ჩაუვლია მარინე-
სთვის ხელი.***

მარინე — მოიცა, პატიკო, მტკივა, ხელი გამიშვი. (პატიკო სკამზე
ჩამოჯდება) მტკივა-მეთქი, სულელო, რა გინდა, გამაგებინე!

პატიკო — მე კი არა, შენ გამაგებინე, რა მოხდა?!

მარინე — რა, შინ არ გითხარი რაც მოხდა, აქ რას მომათრევდი!

პატიკო — არ მინდა დედასთან, თავისი ეყოფა.

მარინე (მაჯაზე იცქირება. თვალები ცრემლით ეესება) — არა-
ნორმალური ხარ. ნახე, (მაჯას აჩვენებს) ნახე, ნახე...

პატიკო (ყურადღებას არ აქცევს) — სად წავიდა, რას ქვია წა-
ვიდა, წავიდა რა, აორთქლდა?!

მარინე (მაჯაზე იცქირება) — ხო, აორთქლდა.

პატიკო — მოდი, გოგო, აქეთ მომხედე, რომ გელაპარაკები!

მარინე (თვალები ცრემლით აქვს სავსე) — ნახე, აი, ნახე, სუ-
ლელო შენ, რა გინდა ჩემთან! (ზურგს შეაქცევს პატიკოს)

პაუზა. მარინე ჩუმად ტირის. ოდნავ უცახცახებს მხრები.

პატიკო — მორჩი ახლა!..

პაუზა.

პატიკო (ცდილობს წყნარად ილაპარაკოს) — რა მინდა და დაწ-
ვრილებით მომიყევი ყველაფერი, სხვა არაფერი არ მინდა, არც
შექანებული ჩანდა და არც დაუნიკი, ძალიან კარგი ბიჭი იყო —
უყვარდი, გიყვარდა. სამი თვის მერე გადაუყვარდი?!

მარინე პასუხს არ სცემს პატიკოს.

პატიკო — ასე, არაფრის გამო არ მიდიან, არც უჩხუბიათ, არც
არაფერი და აორთქლდა... (ხანმოკლე პაუზა) მე ხომ ვგრძნობ, რა-
ღაცას მიმალავ. აორთქლდა... ეგ ზღაპრები დედას მოუყევი. რა-
ტომ მიმალავ, აი, ეს მაგიჟებს, რატომ მიმალავ?! (მარინე პასუხს
არ სცემს. ხანგრძლივი პაუზა) რაღა ახლა წავეთრიე რაჭაში... (პა-
უზა) მოტრიალდი აქეთ, მომხედე-მეთქი, რა გატკინე, მანახე!

მარინე (შედარებით დამშვიდდა) — არაფერი. (დროდადრო მა-
ჯაზე იცქირება)

პატიკო — როდის მობრუნდი სახლში?

მარინე — ორშაბათს.

პატიკო (პაუზის შემდეგ) — მოიცა, რაღაც ვერ შედის ტვინში
— სამი თვის წინ ჯვარი დაიწერეთ, — სიყვარული, რამე... აქ მო-
დიოდით გუგულებივით იყავით; იქ, მაგასთან მოვედი და იქაც გუ-
გულებივით იყავით; შუაში ჩამისვით, სახარებას მიკითხავდით,
აქეთ მარიგებდით ჭკუას — ცოლს როცა მოიყვან, აუცილებლად
ჯვარი დაიწერეო... ახლა კი — აორთქლდა?.. (პაუზის შემდეგ) გა-
მაგებინე, იჩხუბეთ?!

მარინე — არა.

პატიკო — საქეიფოდ ხომ არ არის სადმე წასული?

მარინე — არა.

პატიკო — რა იცი?

მარინე — წერილი დამიტოვა.

პატიკო — რა წერია მერე იმ წერილში?

Scanned with CamScanner

მარინე — ავვორთქლდიო.

პატიკო — ფუ, შენი... სად, რა მიმართულებით ავვორთქლდიო, არ წერია?

მარინე — არა.

პატიკო — მაგას შენ უპატრონო ხომ არ გონიხარ?

მარინე — არა.

პატიკო — იქნებ უპატრონო გონიხარ, კარგად იცი, რომ ეგრე არ არის?

მარინე — ვიცი.

პატიკო — შენ ხომ არ დააშავე რამე?!

მარინე — არა.

პატიკო — მარინე, მაიმუნობ, რაღაცას მიმალავ, მე ხომ ვგრძნობ, რაღაცას მიმალავ.

მარინე იცინის.

პატიკო — რა გაცინებს? ახლა რაღა გაცინებს?!

მარინე — როგორ ნერვიულობ. (იცინის)

პატიკო (ღიზიანდება) — ნერვიულობას განახებ, რომ გაგკრავ ახლა აქედან!

პაუზა. პატიკო ფეხს ფეხზე გადაიდებს. დროდადრო მარინეს გახედავს. მარინე იცინის. შესაძლოა აღარც ეცინება, მაგრამ მაინც იცინის.

პატიკო (პაუზის შემდეგ) — ბავშვს მართლა ელოდები? (მარინე ინერციით აგრძელებს სიცილს. პაუზის შემდეგ) დედამ ბავშვს ელოდებაო, მართალია?!

მარინე (დაღლილი თუ გამკაცრებული) — მართალია.

პაუზა.

პატიკო — მამამ რაო?

მარინე მხრებს იჩეჩავს.

პატიკო (პაუზის შემდეგ) — მაინც რაო?

მარინე (მოხედავს) — დილით, მაგალითად, ზოოპარკში ვიყავით; (ეცინება) რა გაოცებული მიყურებ, არ შეიძლება მამამ შვილი ზოოპარკში წაიყვანოს?!

პატიკო (ირონიულად) — კაი დროსია!..

მარინე — დიახ, ზოოპარკში ვიყავით, ნაყინიც მივირთვით, სპილოც ვნახეთ, ხის ცხენზეც გადავიღეთ სურათი და ჩვენი ძველი თამაშიც გავიხსენეთ, აბა, გამოიცანი — ჭ. — რა ჩავიფიქრე?

პატიკო — ჭანჭური, მომისმინე!..

მარინე (აწყვეტინებს) — ჭა — რა გამოცნობა ამას უნდა.

პატიკო — კარგი, სულელივით ნუ იქცევი. მომისმინე, მამამაც გადაიღო ხის ცხენზე სურათი?

მარინე (იცინის) — მამამაც... პატიკო, რა ფოტოგრაფი ვნახეთ, შეიძლება ჭკუაზე შეცდე, ისე გავს ჩვენს სანტექნიკოსს.

პატიკო — ეს დღეები სვამდა?

პაუზა.

პატიკო — მაშინ ყველაფერი გასაგებია, (პაუზა) წუხელ ალბათ კარგად გამოთვრა; მერე, როგორც იცის ხოლმე აჩემება — აქაურობას ხომალდი უძახა; ქვემოთ, ქალაქში რაც ხდება, იმას კი ცხრაბალიანი ღელვა. რა, არ იყო ასე?!

მარინე — წუხელ ნოეს აგინებდა, მე და დედამ ძლივს გავაჩერეთ, აქეთკენ იწევდა...

პატიკო — დილით კი ზოოპარკში წაგაბრძანა პახმელიაზე გამოსასვლელად, არა? შენც ხომ არ დაურტყი ცოტა.

მარინე — ნუ ლაპარაკობ ასე.

პატიკო — იცი რას გეტყვი! შენ და შენი ქმარი, თუ უკვე ყოფილი ქმარი, აქ რომ მოდიოდით, მაშინ კიდევ იკავებდა თავს; მე კი მთელი ორი თვის განმავლობაში, ესე იგი მთელი სამოცი დღე ერთსა და იმავეს ვისმენ. შენ მხოლოდ სამი დღე ხარ აქ; აი, როცა სამოც დღეს შეასრულებ, როცა გამისწორდები, მერე ვილაპარაკოთ! ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი კაცის შეცვლა თუ შეიძლებოდა ასე, ამ ორ თვეში ადამიანის სახე დაკარგა.

მარინე — მამა ისევ ის იქნება, რაც იყო... შენ ნახავ!

პატიკო (ირონიით) — როდის მიხვედი მაგ ძვირფას დასკვნამდე?

მარინე — ამ ძვირფას დასკვნამდე ზოოპარკში მივედი. არ მკითხო, კონკრეტულად რომელ გალიასთანო, უნიჭო ხუმრობა იქნება.

პატიკო — არა, მაინც, მაინც რომელ გალიასთან გაგინათდა გონება?!

მარინე — ძალიან გაინტერესებს?

პატიკო — ხო.

მარინე — ხის ცხენებთან, სურათს რომ ვიღებდი მაშინ.

პატიკო — ამ დღეებში მეც შევივლი ზოოპარკში.

მარინე — შენ არ გესმის, ან გაგება არ გინდა.

პატიკო — ძალიან მინდა. შენ რასაც ამბობ, იმის გაგება ძალიან მინდა.

მარინე — მაშინ მათქმევინე!

პატიკო — თქვი, ბატონო, ყურადღებით გისმენ!

მარინე — დღეს დილით ძალიან უბრალოდ მითხრა — ზოოპარკში წავიდეთო... როგორც ადრე იცოდა, ისე. როგორ გითხრა... უბრალოდ იტყვის ხოლმე უცნაურ რაღაცას და უეცრად მიხვდები, რომ მასზე დიდი მეგობარი არა გყავს. შეთქმულებივით წავედით, (იცინის) როგორც ნამდვილი შეთქმულები, ისე გავიპარეთ. იქ, ზოოპარკში კი ძალიან ბევრს ვიცინოდით, — წუხანდელ დღეზეც, ნოეზეც, საბავშვო ცხენებზეც. რა ვიცი, ასე მხოლოდ მაშინ იცინიან, როდესაც აღარავისი ეშინიათ; როცა გაძლიერდნენ. იქ, იმ ხის ცხენებთან მივხვდი, რომ მამა ისევ ის არის; ამ ცხრაბალიან ღელვაშიც, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე, ამ ცხრაბალიან ღელვაშიც ისევ ის არის!

პატიკო — მამა ის აღარასოდეს იქნება, ჩემთვის მაინც.

მარინე — შენ რა, იმ დღეს რომ კარში ჩაგიდგა, იმაზე ამბობ?

პატიკო — შენ რა იცი?!

მარინე — დედამ მითხრა, ერთი ამბავი დაგიწევიათ თურმე სახლში.

პატიკო — პატარა ბავშვივით გახდა, ყველაფერზე გვეკინკლავება. ერთი სული მაქვს როდის გავვარდები შინიდან, რომ მაგის მთვრალ ლაყაფს გადავურჩე. დედა მაკავებს, თორემ აქამდე აქ რა გამაჩერებდა! რაჭაშიც მაგიტომ წავედი, ვიღაც ყვავი ჩხიკვის მამიდას ავეკიდე — მეგობრის მეგობრის ნაცნობის ამხანაგს... შეთვრა სუფრაზე კაცი და სიმთვრალეში როგორც ხდება, ყველა დაგვპატიჟა თავისთან სოფელში; (იცინის) მეორე დღეს რომ გავახსენე, იმისი თვალები უნდა გენახა, აღარც ახსოვდა ალბათ. მერე პირს ხომ არ შეირცხვენდა. (იცინის) ჩამოვედი და იგივე საგიჟეთი დამხვდა, რაც დავტოვე. თუმცა უარესი — ახლა შენც დაემატე!..

პაუზა.

მარინე (ქალაქისკენ იცქირება) — ნახე, ხალხი გროვდება. ხდება დღეს რამე?

პატიკო — ყოველდღე არ ხდება.

მარინე — როგორ ხელისგულზე მოჩანს აქედან ქალაქი, არა?!

პატიკო — ისე მელაპარაკები, თითქოს პირველად უყურებდე აქედან ქალაქს.

მარინე — არა, ამდენი ხალხი აქედან პირველად დავინახე, მართლა მღვრიე ზღვასავით არ არის?!

პატიკო — იმ დღეს უნდა გენახა, კარში რომ ჩამიდგა! მერე რატომ, ორი კინკილა ტანკი დაინახა და დაიწყო თავისებურად, ხომ იცი, — ჯერ კიდევ ლაწირაკები ხართ, იმისთვის, რაც თქვენ გინდათო. ბაბუათქვენს ციმბირი დაატოვებინეს და იმისი საფლავიც არ ვიცი სად არისო; ჩემს გვერდით, ახლადწვერაშლილ ბიჭს ტვინი ასხმევინესო და ეჰე, შედის და შედის როლებში. იქით კიდე დედა წევს, ლოგინიდან მხარს უბამს... მოკლედ, რას გიხსნი, თვითონაც კარგად იცი!

მარინე — ნუ ლაპარაკობ ასე!

პატიკო — ახლა შენ დამიწყე კიდე...

მარინე (პაუზის შემდეგ) — სხვა, რა ხდება აქეთ. მე მხოლოდ დღეს გამოვედი შინიდან.

პატიკო — ხომ გითხარი, იგივე საგიჟეთია-მეთქი: ნოე თავის მტრედებს დააპრონიალებს ქორწილებში; თამრო ყველას წყევლის; ომარა წამდაუწუმ იკარგება ხოლმე; ბიჭები, რა ქვიათ იმათ, ნიკო და გოჩა დღე და ღამე კალათბურთს თამაშობენ; მამაჩემი ლოთობს; თამროს ძმა თავის ჩოხა-ახალუხში დაისკვანჯება; მისი ცოლი ყველაფერზე — Бордель какой-то — გაიძახის. ხომ იცი, როგორ ამბობს — Бордель какой-то... ხო, პარასკევს, შაბათს და კვირას ჩვენი მომღერლის გაფრენები გვაქვს გამონერილი; ისევ ჯახირობს ის საწყალი. კიდევ რა, კინაღამ დამავიწყდა, წყლის პრობლემა ისევ გვაწუხებს,

მილი ხან სად სკდება და ხან სად. ნოეც კეტავს და კეტავს ამ წყალს, თამროც ეჩხუბება და ეჩხუბება. მერე მიდის და ქვემოდან ამოაქვს წყალი. მერე იმ ჩვენ ლოთ სანტექნიკოსს ველოდებით მთელი უბანი; ისიც ან მოდის და ან არა, თუ მოვიდა კიდე, ისე გამოთვრება თამროს არყით, ისევ ჩვენი წასაყვანია აქედან და ამ ყველაფრის ფონზე ნოეს მტრედები დაფრინავენ, არა, კი არ დაფრინავენ დაფარფატებენ, თავიანთი სითეთრით ცის სილაჟვარდეს აკრთობენ. ფუჰ, შენი, როგორც იყო-მეთქი, — მოკლედ...

მარინე — საწყალი...

პატიკო მოხედავს.

მარინე — ოპერის მომღერალზე ვამბობ. როგორ გვეშინოდა ხოლმე იმის არიებს რომ ვისმენდით. რატომ მღერის მაინცდამაინც ამ სამ დღეს, არ გიფიქრია ამაზე?!

პატიკო — მიდი და კითხე.

მარინე (თავისთვის) — აღდგომა დღეს წითელ კვერცხებს რომ გვაგორებინებდა საფლავზე, გახსოვს?..

მტრედების ფრთების ხათქუნი ისმის.

პატიკო (ყურადღებას მიაქცევს. მაღლა აიხედავს) — აჰა, ნოეს მტრედებიც მოფრინდნენ; ახლა ის ფეხუცაც მობრუნდება ქორწილიდან. აღარ შემიძლია აქაურობის ატანა, დედას გეფიცები!..

მარინე (იცინის) — ფეხუცა, ფეხუცა, ვინ დაარქვა ფეხუცა, სასაცილოა არა, ფეხუცა...

თამრო გამოჩნდება. წყლით სავსე ვედროს მოათრევს. შეისვენებს. ისიც მაღლა აიხედავს.

თამრო (ისევ დასწვდა ვედროს. ქოხისკენ გასწია. და-ძმა შენიშნა, მტრედების მისამართით ლაპარაკობს) — მიწა ჭამეთ, მიწა... მიწა ჭამეთ თქვენცა და თქვენმა პატრონმაც, მიწა... თვითონ ქორწილ-ქორწილ დაეთრევა, მე წყალი უნდა ვზიდო ამ სიშორედან. მოეთრეს ერთი... (შეისვენებს, ახლა უკვე და-ძმას მიმართავს) — ის, ვირეშმაკა სანტექნიკოსიც ჩასკდა, ალბათ დადის ახლა თვალდაცეცებული, თუ ქუჩაში არა გდია სადმე... მე კიდე, აჰა, ერთი მოვიტანე, მეორე გზაც უნდა გავაკეთო. (კასრისკენ დაიძრა) შემიძლია ამდენი, რად არა კითხულობენ?! გასაქვავებელი ომარაც დამეკარგა... (ვედროს კასრში ჩააპირქვავებს. ქალაქისაკენ მიმავალ ბილიკს დაუყვება. გზადაგზა ლაპარაკობს) — ერთიც იქნება, გამძვერება სული და მერე რას იზამენ იმასაც ვნახავ; რას იზამენ და დატილიანდებიან, ჭუჭყი შეჭამთ, ჭუჭყი, მერე გამიხსენებენ!..

თამრო გადის. და-ძმა თვალს გააყოლებს.

მარინე (ეცინება) — გასცინე რა, როგორ ბოდიშობს!

პატიკო — მოიცა ერთი!

მარინე — გეხვეწები, გეხვეწები, რა, გთხოვ...

პატიკო — მოიცა მარინე, არა ვარ მაგის ხასიათზე.

მარინე — ბოოდიში, (ხმას ინვრილებს, ცდილობს მიბაძოს) ბოდიში მომიხდია... არა, მე ვერ ვამბობ ისე, შენ კარგად დასცინი. (იცინის) გეხვეწები, რა... (მარინეს ამ თხოვნაში სიცილის მოთხოვნილება უნდა იგრძნობოდეს, ეს ის მდგომარეობაა, რომელიც ზღვარზე დგას. ამ სიცილიდან ტირილამდე ერთი ნაბიჯია)

პატიკო — მოიცა-მეთქი!

მარინე — გეხვეწები, რა, პატიკო — ბოოდიში... (იცინის) მიდი, რა, პატიკო!..

პატიკო — რაღაც ძალიან კარგ ხასიათზე ხარ, ხომ იცი!

მარინე თითქოს მოეშვაო.

პატიკო (აკვირდება, ჩაიცინებს) — ვერ წარმომიდგენია შენი შვილი, არა მჯერა; აბა, ბიძა ვხდები?! (მარინე ჩუმად ზის. პაუზა) შენ ქმარს აქ მოგითრევ ყურახეულს, მაგის ჯავრს არ შეგაჭმევ, სად დაიკარგება.

მარინე (წამოდგა, გამკაცრებული თუ დაღლილი) — ჩემი ქმარი კი არ დაიკარგა, აორთქლდა.

პატიკო — აორთქლდა, არა?!

მარინე — წავედი, დედას მივხედავ, ვერ იყო კარგად.

პატიკო (ირონიით) — ზოოპარკის მერე მუშტაიდში არ გაგივლიათ?

მარინე (ფეხზე დგას) — არა, მუშტაიდში არ გაგვივლია.
პატიკო — როცა კიდევ წახვალთ, სპილო მომიკითხეთ.
მარინე — უკვე გადავეცი მოკითხვა, პატიკო!
პატიკო — ყოჩაღ, (პაუზის შემდეგ) მამა სად დატოვე?
მარინე — სამსახურში უნდა შეევლო.
პატიკო — კარგი, მე შეიძლება დამაგვიანდეს, ქალაქში ჩავალ.
მარინე (წასვლას აპირებდა) — შენ ნახავ, მამა რა კარგად მოვა...
პატიკო (გაღიზიანებით) — კარგი-მეთქი, ჰო!..
მარინე — სულელი ხარ, მეტი არაფერი! (მიდის)

პატიკო სიტყვის დადევნებას დააპირებს. ერთხანს მარტო რჩება. სიგარეტს მოუკიდებს; ქვემოთ, ქალაქისკენ იცქირება.

პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი. ძალლის ყეფამ მოატანა.

მენატურე კაცი და ლიდა გამოჩნდებიან.

მენატურე კაცი (მისი ასაკისთვის უჩვეულოდ გამართული, მხრებში გაშლილი დადის) — პატიკოს სიცოცხლე, როგორ ხარ, ბიჭო!
პატიკო — გმადლობთ, კარგად.
მენატურე კაცი — მამაშენმა — რაჭაში წავიდაო, მართალია?
პატიკო — კი, დღეს ჩამოვედი.
მენატურე კაცი — იშვიათია რაჭა, ხომ ისიამოვნე?!
პატიკო — კი, კარგი იყო.
მენატურე კაცი — იცოცხლე, კარგია რაჭა, ამ გაზაფხულზე მითუმეტეს! თამრო შინ არის, თუ იცი?
პატიკო — არა, წყალზე ჩავიდა.
მენატურე კაცი — გავწამდით, კაცო, გაგიგია?!. პატრონიც არ არის არაკინ. (ქალაქისკენ იცქირება) რა ხდება ქალაქში, რამხელა ხალხია!
პატიკო — არ ვიცი, დღეს ჩამოვედი.
მენატურე კაცი — ტრანსპორტი თუ იქნება ნეტავი, ფეხით არ მომიწიოს ამ სიშორეზე სიარული.
ლიდა — Ничего. ექიმმა, ფეხით იაროს ბევრიო.
მენატურე კაცი (იცინის) — სულ ფეხით არ დავდივარ, მეტი რაღა უნდა ვიარო, ჩემი მხატვრის სახლამდე ერთი კილომეტრი მაინც იქნება, აკადემიამდე სამნახევარი, ამ არეულობის გადამკიდეს, ტრანსპორტი სანახევროდ არ მუშაობს და, მე კი დავდივარ აღმა-დაღმა. დათვალე ერთი, აქეთ-იქით, რამდენი გამოვა! აღარ შემიძლია, ბატონო, გავკაუდი კაცი, შემაწუხა ჯანმრთელობამ... (იცინის) გაგიგია, რაღა უნდა ვიარო მეტი! იჰ... შენ, ლიდოჩკა, გეყოფა, კარგი ქალი ხარ, წადი ახლა შინ, დღეს პატარა სეანსი მექნება, მალე მოვალ.
ლიდა — Хорошо.

მენატურე კაცი გამართული ნაბიჯით მიდის. ხელები ხანჯალზე შემოუწყვია. ლიდა (პატიკოს გვერდის ჩამოჯდება) — სიგარეტი მომაწევინეო — ანიშნა.

პატიკო სიგარეტის კოლოფს გაუწვდის.

ლიდა — თამრო თუ გამოჩნდეს, ვითომ შენ ეწევი, уразумел?!
პატიკო — კარგი.
ლიდა — შენი და როგორ არის?
პატიკო — კარგად, რა იყო?!
ლიდა — არაფერი, შეგეკითხე უბრალოდ. (სიგარეტს ეწევა. თავისებურად აფერფლებს — ხელს ოდნავ ასწევს, საჩვენებელ თითს რამდენიმეჯერ დაჭკრავს სიგარეტს; თან, ამ დროს, ან ტუჩებს მოკუმავს ან სუნთქვას შეიკრავს ხოლმე) — წვერს უშვებ?
პატიკო — რა ვიცი. ხო.
ლიდა — გგონია გაკაცებს?
პატიკო — არა.
ლიდა — კი, ეგრე გგონია. (იცინის, შეათვალიერებს) ჯერ კიდევ რბილი წვერი გაქვს. не идет тебе...(ნაფაზს დაარტყამს. დააფერფლებს. ღრმად ჩაისუნთქავს ჰაერს) გაზაფხულიც მოვიდა. რა ჰაერია, чувствуешь, тебе ль не чувствовать, რამდენისა ხარ ახლა?!
პატიკო — ოცდაერთის.
ლიდა — Блеск.

პაუზა. სიგარეტს ეწევიან.

ლიდა — გუშინ რა ხმაური იყო თქვენთან? მამაშენი იგინებოდა.
პატიკო — არ ვიცი, დღეს ჩამოვედი.

ლიდა (იცინის) — მაგარი ამბავი იყო, ნოეს აგინებდა, так и надо ему, а то развели бордель какой-то, (იცინის) წარმომიდგენია ნოე როგორ შეიკეტებოდა სახლში. (იცინის)

გოჩა და ნიკო გამოჩნდებიან: ნიკო მორბის. იცინის. გოჩა მოსდევს.

გოჩა — დაიცა, ბიჭო! დაიცა, შენი...

ნიკო მაგიდის ერთ მხარეს დადგება. იცინის. გოჩა ვერ მოიხელთებს.

პატიკო — ნიკო, რა ხდება ქალაქში?!

ნიკო (გოჩას მოძრაობას ადევნებს თვალს) — არ ვიცი, ზღვა ხალხია.

გოჩა (გაცეცხლებული) — ბიჭო, რამდენჯერ უნდა გითხრა, ნუ იცი-მეთქი თავში წამორტყმა!

ნიკო (იცინის) — შენც ხომ წამომარტყი.

გოჩა (გამწარებული) — მერე ასე მაგრად წამოგარტყი?

ნიკო — რა არის, კოპი გაქვს?

გოჩა — დაიცა, დაიცადე, რაღაცა გითხრა! (უცებ მოსწყდება ადგილს) დაიცადე, შენი.

ნიკო გაიქცევა. მოედნისკენ მიმავალ ბილიკზე მირბიან, თვალს მიეფარებიან.

ლიდა (თვალს გააყოლებს, სიგარეტს გადააფერფლებს) — Онанисты какие-то, შეიძლება მთელი დღე ერთმანეთს დასდევდეს ორი ამხელა მუტრუკი? ან ერთმანეთს დასდევენ, ან კალათბურთს თამაშობენ. Или, послушай, какой полоумный построил эту площадку, მაღლა რომ არის!

პატიკო — მშენებლებმა ააშენეს.

ლიდა — ეგ მეც ვიცი, რომ მშენებლებმა ააშენეს, разве можно так, они же над могилами играют, ей богу.

პატიკო — იქ არ არის საფლავებიო, ასე თქვეს.

ლიდა — შენ რა იცი, здесь везде эти могилы поразбросаны. Ну, ладно, не нам исправлять этот мир, მაგრამ აქაურობას რაც შეეხება — бордель, честное слово.

მანქანის მუხრუჭების ხმა.

ლიდა (გამოცოცხლდება) — Кого мы видим, ომარა არ არის?!

პატიკო (შემოსასვლელისაკენ იცქირება) — კი, ომარაა.

ლიდა — ах, ах, ах, ты посмотри на него, какой цветуший молодой человек.

ლიდა ფეხს ფეხზე გადაიდებს. გამოჩნდება ომარა. სპორტული აღნაგობისაა. უცნაური სიარული იცის — თითქოს ძალიან რბილ-ლანჩიანი ფეხსაცმელები აცვია, თითქოს ერთი სული აქვს როდის წაიცეკვებს.

ლიდა — Кого мы видим, кого мы видим, როგორა ხარ, ომარი?!

ომარა (გაბადრული სახით) — უჩემოდ ქეიფობთ! პატიკო, როგორა ხარ! (ჯერ პატიკოს გადაკოცნის, შემდეგ ლიდას)

ლიდა — ах, ах, ах, какие мы страстные... სად დაიკარგე, ომარი?! დედაშენი ძალიან სწუხდა, ყოველდღე კითხულობდა — სად არის ჩემი საყვარელი შვილიო.

ომარა (გაბადრული) — გამაგებინეთ, უჩემოდ ქეიფობთ?!

ლიდა — სად ვქეიფობთ?! ჩვენთვის, საწყალი ხალხი, სიგარეტ „მტკვარს" ვეწევით.

ომარა — რატომ არ ქეიფობთ მერე. ჩავალ, შამპანურს ამოვიტან!

ლიდა — დაიცა, დაიცა, постой, одно и тоже на уме, არ შეიძლება შენთვის.

ომარა — რატომ არ შეიძლება, მაწყენს?

ლიდა- Потому что все беды от этого у тебя!

ომარა ხელს აიქნევს, ნასვლას დააპირებს. ლიდა ხელს დაუჭერს.

ლიდა — Нет, честное слово, не сейчас, ერთი წუთით დაგვენახეთ, შამპანურს მერეც მოვესწრებით.

ომარა — არ გინდათ, ნუ გინდათ... მე თქვენთვის... (პაუზა) რა ამბებია აქეთ, ძლივს გამოვაღწიე მანქანით, რამდენი ხალხია.

ლიდა — ხალხი კი არა, თქვენ სად დაიკარგეთ, თვენახევარია не слуху, не духу. ერთი დეპეშა მაინც გამოგეგზავნათ. — жив, здоров и все, ა, თუმცა ვერ მოიცალეთ ალბათ, სულ საქმეები და საქმეები, ასე არ არის?!

ომარა — ბიძაჩემი როგორა მყავს?

ლიდა — Ничего, არა უშავს, ეს წუთია მხატვართან წავიდა.

ომარა — თამრო აქ არის?

პატიკო — არა, წყალზე ჩავიდა.

ომარა (იცინის) — კიდე გადაკეტა ნოემ? რას შვრება ეგ ფეხუცა, ხომ არის მაგრად.

ლიდა — ნოეს რა უჭირს, თქვენი ამბები მოგვახსენეთ, თუ შეიძლება, სად იყავით, სად დაიკარგეთ, ჰა, племяничек!

ომარა — არმავირში.

ლიდა — სულ არმავირში ბრძანდებოდით?

ომარა — არა, არმავირში ბოლოს.

ლიდა -ახ, какие мы странствующие молодые люди, მერე, იშოვეთ რამე?

ომარა — ბევრი ვერაფერი, იქაც უჩემოდ ქეიფობენ...

ლიდა — Ты посмотри на него (პატიკოს) дай сигаретку! (პატიკო კოლოფს გაუწვდის). წავედი მე. ისე, ბიძაშენთან რომ გამოივლიდე, არ იქნებოდა ურიგო.

ომარა — აუცილებლად გინახულებთ!

ლიდა მიდის.

ომარა (იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო) — ძლივს გამოვაღწიე მანქანით. რამდენი ხალხია. ჰუჰ, დავიღალე... (პატიკოს მოხედავს) შენ რას შვრები, დაამთავრე სწავლა?!

პატიკო — არა, ჯერ არა, ერთი წელი დამრჩა.

ომარა — მორჩი, ბიჭო, დროზე; კარგი ვარიანტი მაქვს კოოპერატივის, იქ წაგიყვან, ორ კაპიკს იშოვნი...

პატიკო (წამოდგება) — წავალ მეც, ქალაქში ჩავალ.

ომარა — რა იყო, თქვენ კაი სალსა, ჩემი მოსვლა გეწყინათ?!

პატიკო — ისედაც ვაპირებდი... (მიდის)

ომარა (მიაძახებს) — სახლში ხომ კარგად!

პატიკო — კარგად, მადლობთ. (მიდის. თვალს მიეფარება)

ომარა ერთხანს ასე ზის. წამოდგება. დასახლებისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგება.

პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი. თამრო გამოჩნდება. კასრამდე მივა. შეისვენებს.

თამრო — ჭირი თქვენა, ჭირი, ამისი მტრედები დააპურე კიდე... (ვედროს აიღებს. კასრში ჩააპირქვავებს. ქოხში შევა. პურის ნაჭერს გამოიტანს. მტრედებს უხმობს) გურ-გურ... გური, გური, გურ-გური, გური, გურ-გური და მიწა ჭამეთ თქვენა, მიწა! თქვენცა და თქვენმა პატრონმაც... (ჩამოჯდება) სადა გდია ახლა, ეს მაინც გააკეთოს. ყველაფერი ჩემს კისერზე უნდათ; სარეცხი დაურეცხე, საჭმელი დაუმზადე, ამისი მტრედებიც დააპურე და ეს წყალიც თრახე ამ სიშორიდან. ცხოვრებაა ეს! თფუი... (წამოდგება. ცარიელ ვედროს დასწვდება. მიდის) გასაქვავებელი ომარა სადღა დაიკარგა, ქალებს დასდევს ახლა კუდში ეგ მოსასპობი, სხვა არაფერი ედარდება. ერთი მე ვარ რა, სულელი... ისიც, ის ვირეშმაკა სანტექნიკოსი, ამოეთრეს ერთი! რაც სიგრძე აქვს სიგანედ მივცემ... გდია ახლა სადღაც, ქუჩას ამყრალებს. ის ერთადერთი კბილი უნდა გავაგდებინო შვინდის კურკასავით, მაგ გათახსირებულს, მაგას... (შესასვლელს მიუახლოვდება)

ნიკო და გოჩა გამოჩნდებიან. გოჩა ნიკოს მოსდევს.

გოჩა (ბოღმისგან სულშეგუბებული) — დაიცა, დაიცა, შე... დაგიჭერ, მოგკლავ, შენი...

ნიკო იცინის. რამოდენიმეჯერ მაგიდას დაარტყამს წრეს.

გოჩა — ნიკო, დამარტყმევინე, თორემ არ ვიცი რას გიზამ!..

თამრო (გაკაპასებული) — რა ამბავში ხართ აქა, ბაზარი ხომ არ გგონიათ! (ბიჭები ყურადღებას არ აქცევენ)

გოჩა — დაიცა, დაიცა, შე... (ნიკო გარბის, თამროს ჩაუქროლებს. თვალს მიეფარებიან).

თამრო — მიწა ჭამეთ, თქვენა, მიწა!.. (ისიც გავიდა)

პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი. ძაღლის ყეფამ მოაჯანა. გიორგი შემოდა სცენაზე. ქოხის წინ, სკამზე ჩამოჯდება.

გიორგი (პაუზის შემდეგ) — თამრო! თამრო, შე წუწურაქო, გამოგ-ხედე! (ახლა შეეტყო, რომ ნასვამია) არა ბრძანდები?! შენ თავს დააბ-რალე, თუ არა ბრძანდები. მე პატიოსნად მოგიტანე ნისია, რასაც წი-გნის მხატვრობაში მაძლევენ, იმისი ნახევარი ფეხუცას მყრალ არაყში მოგიტანე, მეტი რაღა ვქნა! (ხანმოკლე პაუზა) მეორე ნახევარზე დი-დი ბოდიში, დავხარჯეთ უკვე მე და მარინემ ნაყინში. (პაუზა. ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი. გიორგი ყურადღებას მიაქცევს) რაო, ჩიტუნებო, გა-ვთბით! გაგვიხარდა გაზაფხული, ჩიტუნებო! ეტყობა გაგვიხარდა, ისე ავუივუივდით... (პაუზა) თამრო! თუმცა, შენ ხომ შინ არა ბრძანდები. მე პატიოსნად მოგიტანე ნისია, ახლა შენს თავს დააბრალე. ამითი მე და მარინე ისევ ზოოპარკში წავალთ, არა ჩიტო?! (პაუზა. უსმენს) აუჰ, იმ ერთმა რა თავის გაგიჟება იცის. რაო, რას მეტყვი ახალს, გაზეთში რომ არ წერია, ისეთს რას მეტყვი! ჩვენ, ხომ იცი, ძალიან ბევრ გაზეთს ვღებულობთ, ნორმალური ადამიანი ვერც მოერევა ამდენს, შენ კი რა ღაცეებს მეუბნები აქ, ჭიკჭიკებ... მაგ ჭიკჭიკს აჯობებს მე და მარინეს თამაში ვითამაშოთ. აი, მაგალითად, ჩავიფიქრე სიტყვა, სადაც ურე-ვია წ და ი, ჩემი ნებაა რასაც ჩავიფიქრებ, გაიგე?! მიდი ახლა, გამოი-ცანი — წინილა, წვიმა, წიგნი, წინსაფარი... ჰა, მიდი! ეტყობა წ-ს ვერ ამბობ, არა? წ — გიჭირს!.. არადა კარგი თამაშია, ჩიტო, შეგიძლია არაფერზე არ ილაპარაკო და ამავე დროს უამრავი სიტყვა ჩამოთვა-ლო. მეტსაც გეტყვი, შეგიძლია მთელი ცხოვრება ამ თამაშში გაატა-რო, (პაუზა) მაგრამ ეს თამაში უკვე სხვა ოპერიდან არის, გამიგე?! ცხ-რაბალიანი ღელვის ფონზე არ გამოდის, ჩიტო! რაღანდ ოპერა ვახსე-ნე აი, ხვალ პარასკევია, რომ იცოდე, როგორი საინტერესო რამ გვე-ლის ხვალ; ზუსტად სამიდან ექვსამდე ოპერის მომღერალი ამღერ-დება. ძალიან საცოდავად ამღერდება, ჩიტო! გული მოგიკვდება ისე საცოდავად. მერე ჩვენც ავუბამთ ხმებს. ყველანაირი ხმა იქნება იქ, სუფთა და ძლიერი ხმის გარდა. რატომ, ხომ არ იცი?! არ იცი?! (ხანმო-კლე პაუზა) ის თუ იცი, რა თვალები აქვს მარინეს?! გინდა გითხრა! (ხანმოკლე პაუზა) ერთხელ მეგობარს გავყევი უჯარმაში. იქაურებს შველი მოეკლათ. ხორცი გამოგვიგზავნეს — ნახე, ნახეო. მეგობარმა — ნახე, რა თბილი ხორცი არისო... მართლაც თბილი ხორცი იყო. ახლაც მაქვს ხელზე იმისი სითბო. მე არ მინახავს იმ ახალმოკლული შველის თვალები, მაგრამ მარინე თავის ოთახში, თავის სკამზე რომ ზის, მუხლებზე კი სახარება უდევს და რომ ამომხედავს ხოლმე, აი ის, ის შველი მახსენდება, რატომ, ჩიტო, ჰა?! არ იცი?! (ქოხისკენ) ნოე,

არც შენ არ იცი? შინაც არა ხარ და თან არც იცი, არა?! ასე როგორ მიატოვე ხომალდი ამ ცხრაბალიან ღელვაში. აბა, გახედე თუ ცხრაბა-ლიანი ღელვა არ არის, სადაური კაპიტანი ხარ, ხომალდი მიატოვე. ბორტმექანიკოსი მაინც დაგეტოვებინა. თამრო! ნოეს ბორტმექანიკი ქვია, თუ რა ქვია — მესაჭე, ნოეს მესაჭე ხარ, ხომ იცი! როგორ დაგხა-ტავდით იცი? აი, ისეთებს დაგხატავდით როგორებიც ხართ და ანგე-ლოზის ფრთებს მიგახატავდით. (იცინის) მოგიხდებოდათ ორივეს. სა-ით მიცურავთ, ის მაინც იცი?! არ იცი. არც არავინ არ იცის, პატიკოს გონია მხოლოდ, რომ იცის. სამაგიეროდ, წერა ხომ იცი, ნოე, წერა!.. წრრრ... წრრრ... ნოე, ნომერი ორი ხარ, მამაჩემის სულს გეფიცები. ნოე ნომერი ორი... (პაუზა) რატომ დავთვერი ასე უტვინოდ... (ჩიტების სტ-ვენა-ჭიკჭიკი. მაღლა აიხედავს) ჰა, შე სულელო ჩიტო! რატომ დავთ-ვერი ასე უტვინოდ, მიპასუხე! (ხანმოკლე პაუზა) ამასაც გეტყვი თუ გაინტერესებს; იმიტომ, რომ ყველაზე რთული როლი მაქვს, ჩიტო. ყველაზე ძნელად სამღერი არია შემხვდა! (მტრედების ფრთების ხათ-ქუნი ისმის. გიორგი თავს აიღებს, მტრედებს შესცქერის) აჰა, ნოე, შე-ნი თარსი მტრედებიც!.. (ხანმოკლე პაუზა) რა გინდოდა, რას მოეთ-რეოდი ჩემი გოგოს ქორწილში, ვითომ პატივი მეცი, არა!.. მტრედები მომიფრინეთ, შე ფეხუცა!.. (წამოდგება) ეშმაკისაგან ხართ შენცა და შე-ნი თარსი მტრედებიც... (კასრს მიატყაპს ფეხს) მაგრამ მოგივლი, შენ მაინც მოგივლი... აი, იმ მამაჩემის სულს გეფიცები, საფლავიც რომ არ ვიცი სადა აქვს, შენ მაინც მოგივლი, შე ლოკოკინა! მაპატიებს ღმე-რთი შენ მოკვლას; მაპატიებს შე... (ისევ მიარტყამს კასრს ფეხს. მი-დის, ფეხი ერევა. თითქოს ლაპარაკში დათვრაო).

სურათი მეორე

პარასკევი
შუადღე.

ქოხის წინ, სკამზე თამრო ჩამომჯდარა. ტილოში გახვეული გაცხელებული მარილი მიუდევს ლოყაზე. კბილი სტკივა.
პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.
მენატურე კაცი გამოჩნდება.

მენატურე (გვერდით მიუჯდება) — გტკივა?!

თამრო გაურკვეველ ბგერას გამოსცემს.

მენატურე (პაუზის შემდეგ) — გავიგე, ომარა ჩემოსულა.

თამრო — ჩამოეთრია.

მენატურე (პაუზის შემდეგ) — სოდიანი წყალი უნდა ივლო ხშირ-ხშირად. ნიორი ან ვანილიც კარგია. (პაუზა) არაყიც, მონვავს კარგად არაყი, თან დააყუჩებს.

თამრო წამოდგება. ქოხიდან ვედროს გამოიტანს. ონკანს შეუდგამს. ისევ თავის ადგილას დაჯდება.

მენატურე — მოვიდა სანტექნიკოსი?

თამრო — მოეთრა.

მენატურე — დიდება შენდა ღმერთო! რაღა გვიჭირს, აბა...

თამრო — მოეთრა; ვითომ გააკეთა, ჩასკდა და წაეთრა.

მენატურე — თავისი ფეხით?

თამრო — არა, მე მოვიკიდებდი ზურგზე. მიეგდო აქ, ეძინა ერთი საათი, ამიმყრალა აქაურობა და წაბრძანდა.

მენატურე — მაინც ხეირია, ქალო, რას ამბობ! (პაუზის შემდეგ) გაგისივდა?

თამრო გაურკვეველ ბგერას გამოსცემს.

მენატურე — დამიჯერე, კარგია არაყი. ჩემს მხატვარს ტკიოდა ერთხელ, რა წამალი არ სვა, გგონია უშველა? ფიე... შენც არ მომიკვდე. არაყი ვურჩიე. გაცოცხლდა კაცი. დატრიალდა ჩემი ლიდოჩკა, ხომ იცი როგორია გაჭირვების დროს ლიდა; წუთში მოარბენინა არაყი. რაც მერე ჩვენ იმ მხატვარმა გვლოცა...

თამრო ვედროს შეიტანს ქოხში. ქოხიდან ნახევარლიტრიანი ბოთლით არაყს, პურს და ჭიქებს გამოიტანს.

თამრო — ერთი სახარება შეგვეწიოს. (არაყს დაიგუბებს)

მენატურე — იცოცხლე, დაიგუბე, დაიგუბე კარგად! (იცინის) დალიე-თქო კი არ მითქვამს... (სვამს. ერთხანს გაყუჩდება) კარგ არაყს აკეთებს ნოე.

თამრო (ჩამოასხამს) — ორი სახარება შეგვეწიოს. (სვამს. ჩამოჯდება)

მენატურე — ასე დამათრობ, ქალო! სად შემიძლია შენ გამოგეკიდო სმაში. (მოტოციკლეტის რახრახი. გოჩა და ნიკო გამოჩნდებიან. შესაძლოა, მოტოციკლეტიც შემოიყვანონ)

ნიკო — გამარჯობა. არ დაუწყია ჯერ?!

მენატურე — რა არ დაუწყია?

ნიკო — ოპერის მომღერალს არ დაუწყია?

მენატურე — არა, ჯერ არა.

ნიკო (გოჩას) — ხომ გითხარი, პარასკევია-მეთქი, სიგარეტი შენზეა!

გოჩა — პარასკევია?

მენატურე — კი, პარასკევია.

ნიკო (გოჩას) — მიდი, მიდი!

გოჩა — მოიცა ხო, სხვასაც ვკითხოთ.

ნიკო (თამროს) — პარასკევია?

თამრო (გაღიზიანებით) — პარასკევიაო, ვერ გაიგეთ?!

ნიკო — აჰა, რაღა გინდათ?!

გოჩა — წამოდი, კალათბურთს გეთამაშები.

ნიკო — მინუს ხუთი თუ ისე!

გოჩა — სულერთია.

ნიკო — კი, ბატონო! (იცინის) გარასხოდება გინდა?

გოჩა (ერთ-ერთი საფლავის გვერდით მდგარი რკინის განჯინიდან კალათბურთის ბურთს ამოიღებს, რამოდენიმეჯერ მიწაზე დაპკრავს) — გასაბერია. ნასოსი არა გაქვს, თამარა დეიდა?

თამრო — ნასოსი არა სპილო, რა ამბავში ხართ აქა, ბაზარი ხომ არ გგონიათ?!

ნიკო — კარგი, ქალო, რა იყო, რა გაყვირებს?!

თამრო — ვახ, ვახ, ბოოდიში, (თავისებურად ამბობს) ბოდიში მოსიხდია... ქალოს მოგცემ ახლა თუ მოგატანე. აბა, მოუსკით აქედან!

ნიკო (გოჩას) — წამო, წამო, შენც კარგი ვინმე ხარ, საიდან უნდა ქონდეს ამას ნასოსი. (გოჩა ნიკოს მიყვება. ნიკო იცინის) რატომ უნდა ქონდეს თამროს ნასოსი. ბოთე ხარ, დედას გეფიცები!

გოჩა — ბოთე არა, შენკენ მოიკითხე, გაიგე!.. (ნიკო იცინის. გავლენ)

თამრო (თვალს გააყოლებს) — ბაზარია, რა... (დაასხამს) სამი სახარება შეგვეწიოს. (სვამს)

ვენატორე — გაგიმარჯოს. (სვამს) უჰ, კარგ არაყს აკეთებს ნოე. სად არის ახლა?

თამრო — რა ვიცი სადა გდია. ჯანდაბამდის გზა ქონია. (პაუზა) ქორწილში ალბათ.

ვენატორე — ლიდოჩკა მიყვებოდა ამას წინათ...

თამრო (აწყვეტინებს) — შენ კიდე, ამ შენი ლიდოჩკათი ტვინს ნაიღებ!

ვენატორე — ტყუილად გყავს ათვალწუნებული, თამრო, დაძმობას გეფიცები...

თამრო — მოიცა, შენი-ჭირიმე. მაგაზე ნუ მელაპარაკები, მაგ ქვეყნის ნათრევზე. ეგრე დაბრმავებული არ იყო, მე ვიცი როგორც ვიფრენდი აქედან...

ვენატორე — ოხ, სუ, სუ, ნუ კაცო; შენ თუ ასე ილაპარაკე, ხალხი რაღას იტყვის. არა, და-ძმობას გეფიცები, გეშლება! რა ვუყოთ მერე ნატურშიცა რომ იყო. ხომ აღარ არის. გამიწია ანგარიში... ყველა ჯახირითა და წვალებით არ შოულობს საზრდოს? რა არის ამაში სამარცხვინო. ნოეს, აგერ, მტრედები დაჰყავს ქორწილებში. უკან უბრუნდება ის მტრედი მერე; ვინ ხუთ მანეთს ჩაუდებს ჯიბეში და ვინ ოცდახუთ მანეთს. ყველას თავისი საქმე აქვს, ჩემო დაო! ამ მოხუცებულობაში მეც კი მინდა გავიხარო პატარა... ლიდა რომ შინიდან გამომაცილებს, ის რად ღირს მარტო ჩემთვის; იმედი მაქვს, შინ რომ მოვბრუნდები, ხმის გამცემი მყავს-თქო სახლში. არა, დაო, არა ხარ მართალი. რამდენჯერ წამოსძახე — შეუპატრონოო... ისიც ადამიანია, ძაღლს არ მოექცევიან ასე. არ შეიძლება, სინდისს გეფიცები, არ შეიძლება!..

თამრო — კარგი, შენი ჭირიმე, კარგი! ეგეთ გაბრიყვებულს რომ ვერ გიყურებ, მიტომ ვარ დამნაშავე?! ჯერ იყო ამ ჩვენს გიჟ მოლერალზე იყავი შეყვარებული, ათენ-აღამებდი მაგის სარკმელთან, ლამის იყო შენც გიჟად იქეცი. კარგი, დარწმუნდი იმის სიგიჟეში, ღმერთმა გიჩვენა. მერე ამ ჩემი ცოდვით სავსე ნოემ ის მხატვარი გაგაცნო. ერთხანს ცხოვრობდი ადამიანურად — მიხვიდოდი, დადგებოდი, დაგხატავდნენ, წამოხვიდოდი — რამდენი

კარგი ქალი გეძლეოდა, სანამ აქამდე არ მიიყვანე საქმე! მარტო მე, ჩემი ხელით, ექვსი მოგიყვანე. არა და არაო, არაო და ჰა, — გაიცანი იმ მხატვართან ეგ უპატრონო ნატურშიცა და სახლშიც მოათრიე. გყავდეს ახლა. გამცილებლად რა, ძაღლი არ გამოგადგებოდა?! წახვიდოდი შენს მხატვართან, გამოგყვებოდა; მოხვიდოდი, შემოგყეფავდა. მარტო მაგისთვის თუ გინდოდა ცოლი, დროზე ვერ მითხარი, დალოცვილო! ავდგებოდი და ერთ ძაღლს მოგიყვანდი, იქნებ ამ სირცხვილსაც გადარჩენილიყავ!..

ვენატორე — ხო, ხო, კარგი ახლა, ნუ გაუტიე შენებურად. არ არის ეგრე, შენ რომ გგონია. ძალიან კარგი ქალია. მეც ვუყვარვარ და შენც, რომ იცოდე...

თამრო — კი, კი, სიყვარულით აღარ იცის რა ჰქნას. (პაუზა) მომეცი ერთი, დაასხი, მიშველა მგონი!

ვენატორე — აი, ხომ გითხარი, კარგია-მეთქი! (ჩამოასხამს. პაუზის შემდეგ) ლიდას რაც შეეხება, და-ძმობას გაფიცებ ანგარიში გამიწიე. შენ მეტი მოგეთხოვება, სინდისს გეფიცები!

თამრო — კარგი, კარგი, როდის იყო ხნიერი კაცისთვის ახალგაზრდა ცოლს ხეირი დაუყრია.

ვენატორე — არ არის ასე, არა... პირველი ნახვისთანავე აითვალწუნე და ამის ბრალია ყველაფერი.

თამრო — ხო, მომეშვი. ოთხი სახარება შეგვეწიოს. (სვამს)

ვენატორე — იცოცხლე. (სვამს) ჰა, ხომ კარგია?!

თამრო (გაყუჩდება) — მიშველა. (წამოდგება) ეს მტრედებიც რომ ჩემი მისახედი გახდა. ვითომ საქმე არა მყოფნიდა... (პურის ნაჭერი, ძიაქვს სამტრედისკენ. პურს ფშვნის. აპნევს) გურ-გურ, გურ-გური, მოდით, თქვე სასიკვდილეებო! გურ-გურ... (ძმას გამოხედავს) ყველაფერია სასაფლაოს გარდა. მაღლით ერთი პატარა ადგილიღა შერჩა და ისიც ჩემთვის მინდა. ხომ იცი, როგორ გაძვირდა საფლავები. აბა, ნოე და ჩემი მუტრუკები მე მომხედავენ?! მეტი არ არის ჩემი მტერი, მაგათ ჩემზე ხარჯი ნახონ. მრეცხავად, მზარეულად, ნყლის მომტანად, იცოცხლე, კარგი ვარ... გური, გურ-გური, გური... მოდით, თქვენ დასამინებლებო! (მანქანის მუხრუჭების ხმა. თამრო შემოტრიალდება). მობრძანდა ვაუპატონი, წუხელისაც გვეჩხუბა; სამია, ხამი, ერთი სული აქვს, რამეში წაგედავოს, რამე წამოგტყუოს.

შემოდის ომარა.

ომარა — ძველ გვარდიას გაუმარჯოს! (მენატურე კაცს გადა-
კოცნის) როგორა ხარ, ბიძაჩემო, თქვენც უჩემოდ ქეიფობთ?!

მენატურე — მათრობს დედაშენი და ვარ ასე, შენ სად დაიკარგე?

ომარა — მაგას ნუ მკითხავ, სად არ ვიყავი. (იცინის) ისე, შენ
რომ ნაღდი ბიძა იყო, ერთ ლიმონს მაინც გადმომიგდებდი — აჰა,
დისშვილო, ახალგაზრდა კაცი ხარ, გაიარ-გამოიარეო, მაგრამ სა-
და გაქვს ლიმონი, არა, ბიძაჩემო?!

მენატურე — ლიმონი რა არის?

ომარა — ერთი ცალი მილიონი, არა გაქვს?

მენატურე (იცინის) — იჰ, რა გამაცინე...

ომარა (თამროს) — არც შენა გაქვს?!

თამრო — წადი, დაიკარგე აქედან!..

ომარა — აი, ხომ ვთქვი, აქაც უჩემოდ ქეიფობენ. რას იზამ, ლი-
მონს თუ არ მაძლევთ, ფეხუცას არაყს მაინც დავლევ. (ჩამოასხამს)

თამრო (მიეჭრება) — მაიტა ეგ აქა! (სირჩას გამოგლეჯავს)

ომარა — ფეხუცას არაყსაც არ მასმევთ?!

თამრო — გიჟი აკლია ამ უბანს, შენ არ დაემატო კიდე. არ იცი,
რომ ჭკუას კარგავ მერე? (არაყს გადაასხამს).

ომარა — ეე, თამრო, ხარჯია, რას შვრები, დაგელია მაინც!..

თამრო — ენა გააჩერე მანდედ, წუხანდელი რომ შეგრჩა, ისიც
გეყოფა. აქეთ ამ გიჟმა მომღერალმა კვირაში სამი დღე შემაძუ-
ლა, იქით ის სულელი გიორგა ორ ჭიქას დალევს და მე და მამა-
შენს რას არ გვეძახის — ხან გემის კაპიტანიო და ხან ბორტმექა-
ნიკოსიო; ამ ვაჟბატონმა კი გუშინ — კოოპერატივიო, გამოგვიც-
ხადა. დალევ, ბოღმა დაგრევს ხელს და გიორგი მონაგონი იქნება
შენთან. მე არ ვიცი, რა ბოღმის ბუკეტიც ბრძანდები?! ყველანი
ჩემი მისახედი გახდით, თავი დამავიწყეთ ამ ხნის ქალს...

მენატურე — ბიჭო, ომარ, მართლაც, წაიყვანე დედაშენი კბილის
ექიმთან, აი, მამაშენის არაყმა ძლივს დაუყუჩა!

ომარა (ჩამოჯდება) — მე წავიყვან, მაგრამ ეს ჩემი ძმები რას
მიკეთებენ, ეგ მაინტერესებს.

თამრო — რას აკეთებენ და შრომობენ, შენსავით არ მიედ-მოე-
დებიან ათას საქმეს.

ომარა — აუჰ, ბიჭოს, რა საქმიახები მყვანან, — ერთი ლამის
ხელმწიფე, მეორე იმის ვეზირი, — კარგად არიან, შენ ნუ მომიკვ-
დები თამრო, კარგად!..

თამრო — რად არ უნდა იყვნენ კარგად, სწორედაც რომ კარგად
არიან.

ომარა — ხო, ეგრეა, მე უსაქმური, ისინი ცხოვრების ფერხულში
ჩაბმულები. კარგად სჯით შენ და მამაჩემი, მე და ჩემმა ლმერთმა.
ნოემ რაც თავისი მტრედებით ფული იშოვნა იმათ დაახარჯა; ერთი
ლამის ხელმწიფედ იქცა, მეორე იმის ვეზირად. მე, აქ, ჩემით ვჩალი-
ჩობ რაღაცას და მევე უსაქმური?! (ბიძამისისაკენ) თან, თანაც არ
გაინტერესებს ნოე როგორ გააფორმეს საბუთებში? დამსახურებულ
დარაჯად, პერსონალური პენსია დაუნიშნეს ჩვენს ფეხუცას; ჩვენს
საყვარელ ფეხუცას, ბავშვობიდან რომ მტრედები დაყავს ქორწილე-
ბში, სწორედ იმას... (იცინის) თამრო, თამრო სასაფლაოს გამგედ გა-
აფორმეს. გამგე მაინც სხვანაირად ისმის... მოკლედ მოინყვეს ცხო-
ვრება. მოვიდა რომელიმე? იკითხა თქვენი ამბავი?! ისევ მე შეგრჩით
და მევე უსაქმური?! ან კიდე, რა მოხდა, რა ვთხოვე ისეთი, რომ თავი
გაიგიჟეს. ცოტა ფული ვთხოვე. დროს სატარებლად კი არა, საქმი-
სათვის ვთხოვე. შეიძლება გაგიჟდეს კაცი, ისეთი რამე მითხრა ფე-
ხუცამ — ეკლესიის გუმბათი უნდა შევაკეთოო. ნოემ მითხრა, გესმის
შენ, რა დონეზე დამცინის?! მე, აქ, ნაღდ საქმეზე ველაპარაკები და
თვითონ რაღაც ზღაპრებს მიყვება. აბა, რომელიმე ჩემს ძმას ეთხო-
ვა ფული, ხომ თან გადაჰყვებოდა. მე უსაქმური ვყოფილვარ თურმე...
ჩემი ძმები ნოეს და ჩემი ჩალიჩით არ არიან ეგრე აყვავებულები? ვი-
თომ არც შენ არ იცი, არა?! მაგრამ რას იზამ, ეს ყოფილა შუათანა
ძმის ბედი, ეს ყოფილა, პრესში უნდა იყო...

თამრო (უხმოდ შესცქერის) — რად ლაპარაკობ ეგრე?!

ომარა (ელოდა კითხვას) — როგორ?

თამრო — აი, ეგრე რად ლაპარაკობ, ჰა! (ომარასკენ დაიძრება)

ომარა -აბა, როგორ უნდა ვილაპარაკო!

თამრო — არ მოგცა მამაშენმა ფული? [illegible], [illegible], არ
მოგცა საქმეში ჩასადებად?! — ჯერ რაღაც ცეხიო, მერე ქიმნმე-
ნდის დირექტორობაო, მერე პრარაბობა მოუნდა. — იქაც ვერ ივა-
რგა, წავიდა და ბავშვებთან, რა ქვია იმას?

ომარა (დაძაბული უსმენს) — ხო, ხო...

თამრო — არა, რა ქვია?!

ომარა — კალათბურთი ქვია...

თამრო — ხო, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
ობა. ამხელა კაცი ბავშვებთან ბურთს დაარბენინებდა. გგონია რა-

მეს გამორჩა, შენც არ მომიკვდე! ახლა ადგა და კოოპერატივიო, — რისი თანაც, ბუშტებისა, კაცო, ბუშტებისა!.. იქაც ვალებს დაიდებ და მამაშენის გადასახდელი გახდება ისევ, მე არ ვიცი შენი სულელი თავის ამბავი?! აქეთ მსაყვედურობს კიდე... შენმა ძმებმა ივარგეს, შენ კი ფუტურო გამომიხვედი, ფუტურო?..

ოგარა (დაძაბული უსმენს) — წადით, თქვენი...

თამრო ერთხანს ასე შესცქერის. მიიხედ-მოიხედავს. ხელწამოსავლებს მოიძიებს.

თამრო — დამეკარგე, აქედან, შე მუცელში გასაწყალებელო, შენა! ფეხი არ დავინახო შენი აქეთ მოდგმული, შე...

ოგარა — ფულით, ფულით მაბამთ, მაგრამ ვიშოვნი და...

თამრო — კი, როგორ არა, იშოვნი; მაგრამ ისე გაიხდი საქმეს, რომ თავის დახსნა ორი იმდენი დაგიჯდება. კიდე რა უტეხად იყურება!... დამეკარგე-მეთქი, მოკიდე შენი ტირის ტყვიებს ხელი და ატარე აღმა-დაღმა, მოედე ქვეყანას.

ოგარა (ხელს აიქნევს, მიდის) — რა უნდა გელაპარაკოთ... (თვალს მიეფარება).

თამრო (ადგილზე ვერ ისვენებს) — ჰა, ეგ ადრე დასამიწებელი, ეგა... მაგას არ გაუთენდეს ხვალინდელი დღე. ეგ ხამი, ეგა, ეგ ხამი... ყველაფერზე ხამია; ფულზე, ქალზე, მანქანაზე, ტანსაცმელზე. თფუი, შე... ძმების, ძმებისა შურს, მაგის ძმებმა ორ-ორი ინსტიტუტი დაამთავრეს. ეგ რისი მაქნისი მყავს, ორ კაპიკს იშოვნის და მანეთსა ხარჯავს.

ვენატურე — კარგი, თამრო, კარგი, ქალო!

თამრო — მუცელში უნდა გამწყალებოდა, ეგ მოსასპობი... პირშიც მაგინებს, პირშიცა; თვალიც არ უხამხამებს ისე მაგინებს, ეგ ადრეგასაქრობი ეგა...

ვენატურე — გეყოფა, კარგი. (ჩამოასხამს) დალიე და მოგეშვება; რა უყოთ, ჯეელია.

თამრო — რისი ჯეელი, ოცდათხუთმეტისა შეიქმნა. ჯეელი, ჯეელი კი არა, ხამია-მეთქი, ხამი, ბალღობიდან ეგეთი იყო.

ვენატურე — ქამი.

თამრო (ვერ გაიგო, მოუტრიალდება) ჰა?!

ვენატურე — ქართულად ქამია.

თამრო (გაცეცხლდა) — ჩემს სწავლებას, ქართული შენს ცოლს ასწავლე. ნახევარს ვერ ვგებულობ რას მელაპარაკება. მე მასწავლის ესა... შენ ცოლს მიხედე, შენ ცოლს!..

ვენატურე — ხო, სუ... სუ, კარგი, აჰა, თითოც და წავედი. მხატვარი მელოდება. (ჭიქას გაუწვდის)

თამრო — არ მინდა, თავი დამანებეთ! (ქოხში შევა)

ვენატურე ერთხანს ზის. მუხლისთავებს დაეყრდნობა. წამოიწევა. ლიდა გამოჩნდება.

ვენატურე — ო, ჩემს კნეინას ვახლავარ!

ლიდა — Что за шум, რა ხმაური იყო?!

ვენატურე — არაფერი, დედა-შვილი წაკინკლავდა, შენ საით გაგიწევია?

ლიდა — პურზე მივდიოდი. არ გაგვიანდება?

ვენატურე — რომელია?

ლიდა — სამი ხდება.

ვენატურე — არაუშავს, დღეს ტრანსპორტი მუშაობს, დროზე მივალ. აიტ... შევთვერი ცოტა. (იცინის) წამო, ლიდოჩკა, წამო, გენაცვალე, გაჩერებამდე მიმაცილე. (ხელს მოხვევს).

მიდიან. ვენატურე გზაზე წაიღიღინებს. თამრო გამოვა ქოხიდან. ცოლ-ქმარს თვალს გააყოლებს, რაღაცას წყევლასავით ჩაილაპარაკებს. მაგიდას მოასუფთავებს.

ისევ ქოხში შებრუნდება.

ჩიტების ყივილ-ხივილი.

ძაღლის ყეფამ მოატანა.

მოედნიდან მომავალ ბილიკზე ნიკო და გოჩა გამოჩნდებიან. ნიკოს ბურთი ამოუღლიავებია. განჯინაში შეინახავს ბურთს.

გოჩა — ხვალ ვერ გამოართმევ მამაშენს მოტოციკლეტს?!

ნიკო (განჯინასთან ჩაჩოქილა) — რად გინდა?

გოჩა — რაღაცა ხდება ქალაქში, გავიქცეთ.

ნიკო (წამოიმართება. გოჩასაკენ მიდის) — მიდი, კაცო, სიგარეტი იყიდე!

გოჩა — ვიყიდი, რა დაგემართა!

ნიკო — ხოდა, იყიდე.

გოჩა — ერთის ფული მაქვს.

ნიკო — არა უშავს, ერთსაც მერე იყიდი.

გოჩა — გინდა მაზიანი?!

ნიკო — რაზე?

გოჩა — ისე ამოგაცლი ცხვირსახოცს, რომ ვერ გაიგებ.

ნიკო (ჯიბეებს მოიჩხრიკავს) — ე, შე ბოთე, გზაზე ამომაცალე! მოიტა, (ხელს გაუწვდის) შენ რას მომატყუებ!..

გოჩა (ცხვირსახოცს გაუწვდის) — ისედაც ამოგაცლი, გინდა?

ნიკო — ვიცი, ვიცი, რომ ბახჩო შენი ნათესავი იყო; თანაც გრძელი და მოქნილი თითები გაქვს, ისე ხარ ბოთე, თორე... (იცინის)

გოჩა — ბოთე თავი გაქვს, ბიჭო!

ნიკო — სიგარეტი მივიღოთ. (გასძახებს) თამრო!

თამრო (ქოხიდან) — ჰოუ!

ნიკო — გოჩას სიგარეტი მიეცი.

თამრო (ქოხიდან) — რამდენი?

ნიკო — ერთი.

გოჩა ქოხისკენ მიდის.

თამრო (ქოხიდან გამოდის. სიგარეტს აწვდის) — მანდედ არაფერი დაამტვრიოთ, გაიგე? ბაზარი ნუ გგონიათ აქა!.. (ქოხში შედის)

გოჩა (სიგარეტს გაუწვდის ნიკოს) — ჩაიბარე.

ნიკო — ერთიც შენზეა. (ხსნის) აჰა, დაგპატიჟებ.

გოჩა — გმადლობთ, რა...

ნიკო — უნდა დაეწყო აქამდე, რატომ იგვიანებს?!

გოჩა — არ დაიგვიანებს. პარასკევს ზუსტად სამზე იწყებს. შეგიძლია საათი მაგაზე გაასწორო, ნახე, თუ გინდა!..

ნიკო (ჯიბეს მოიჩხრიკავს. იცინის) — ე, შე... საათი მაიტა, ბიჭო!

გოჩა (იცინის) — რა საათი?

ნიკო — მიდი, მიდი, საათი დამიბრუნე.

გოჩა (იცინის. საათს ამოიღებს, გაუწვდის) — აჰა, არსად დაგეკარგოს.

ნიკო — შენს ადგილას ასე უქმად გდებას ჯიბგირობას დავინყებდი, ეგეც საქმეა.

გოჩა — რომელი საათია?

ნიკო (საათს დახედავს) — სამს სამი წუთი აკლია.

გოჩა — ხომ გითხარი, სამ წუთში დაიწყებს.

ნიკო -ომარა რომ ჩამოსულა.

გოჩა — ვიცი , შემხვდა.

ნიკო — რა ტიპი იყო ეგ, კიდე... გახსოვს, სად არ გვპირდებოდა წაყვანას?

გოჩა — ჩამოგითვლი, თუ გინდა!

ნიკო — ჯერ ვილნიუსი, მერე კლაიპედა, მერე მოსკოვი.

გოჩა — მოსკოვამდე მინსკი იყო.

ნიკო — ხო, მინსკი, მერე მოსკოვი, მერე კიშინიოვი.

გოჩა — კიშინიოვამდე ქუთაისი...

ნიკო (იცინის) — ქუთაისს ჩივიხარ?! ბოლოს საერთოდ დაგლიჯა, ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ პრაღაში უნდა წაგიყვანოთ საერთაშორისო ტურნირზეო... (იცინის)

გოჩა (სიცილში აყვება) — ჩვენც როგორ გვჯეროდა, მაგარი ტუტუცები ვიყავით, დედას გეფიცები...

ნიკო (თავში წამოარტყამს) — ტუტუცი შენ იყავი, თორემ მე ვილნიუსის მერე აღარ მჯეროდა.

გოჩა — ბიჭო, რამდენჯერ გითხარი, ნუ იცი-მეთქი თავში წამორტყმა!

ნიკო — ეს წამორტყმა იყო? სულ არა გაქვს ჰუმორის გრძნობა!

გოჩა (წამოიჯაგრება) — რა შუაშია ჰუმორი.

ისმის ოპერის მომღერლის ხმა.

ნიკო (ხელს დაუჭერს გოჩას) — გაჩე, გაჩე... მოვუსმინოთ, დაიცა, მერე წამომარტყი, დაიცა!..

გოჩა მშვიდდება.

ხმა მეორდება. ასე ოპერის მომღერლები ვარჯიშობენ. ხმა ნელ-ნელა მაღალ ტონალობაში ადის; თუმცა, დასახულ მიზნამდე ვერ აღწევს, შუაში წყდება. ამიტომაც იგი უფრო ნვალებას, ჯახირს ემსგავსება და სასაცილოდ ყღერს გარეშეთათვის.

ნიკო — ნახე, ნახე, სად წავიდა, ნახე, აუჰ... (იცინის) ჩაიფუშა...

გოჩა სიცილში აყვება.

ნიკო ახლიდან დაიწყებს.

ისმის ხმა.

ნიკო — წავიდა, წავიდა... ნახე, სად წავიდა; (იცინის) სახე წარ-
მოიდგინე, რა, წარმოიდგინე რა სახით ჩალიჩობს! (იცინის) ნახე,
ნახე, წავიდა, წავიდა, ჩაიფუშა...

*ნელ-ნელა ქრება შუქი. ოპერის მომღერლის ხმაც და ბიჭების სი-
ცილიც შუქთან ერთად იკარგება.*

მეორე მოქმედება

სურათი მესამე

პარასკევი

*ერთი კვირის შემდეგ. იგივე გარემო. სამტრედიდან ნოე გამოვა. სა-
გულდაგულოდ ჩარა ზავს კარს. ონკანისკენ გაემართება. წყალს სვამს.
კეფას გაიგრილებს. სკამზე ჩამოჯდება.*

ნოე (პაუზის შემდეგ) — თამრო, დააჩქარე!
თამრო (ქოხიდან) — ჰოუ, მოვდივარ!

ჩიტების ჟივილ-ხივილი.
ძაღლის ყეფამ მოაღწია.
*ოპერის მომღერალი ქალი შემოვა სცენაზე. ნაცრისფერი მოსასხამი
აცვია. (მოსასხამს დიდი შავი ფოლაქები აქვს) თავიც ნაცრისფერი, თხე-
ლი თავსაფრით წაუკრავს. თმა არ უჩანს. ავადმყოფურად გამხდარია.
სწორედ ამ სიგამხდრის ბრალია, რომ მისი ასაკის მიახლოებით დადგე-
ნაც ჭირს. (უფრო სწორად, გაუგებარი ის არის, ეს სიგამხდრე ასაკის ბრა-
ლია თუ ავადმყოფობის) სახის კანიც, მისი მოსასხამისა არ იყოს, გასცრ-
ეცია, სიყვითლე შეჰპარვია. კისერზე და საფეთქელთან ოდნავ ემჩნევა
ცისფერი ძარღვები — ისიც უსიცოცხლო, ულონო, ფერმკრთალი.
(ოპერის მომღერალი თავის ფიქრებთან ხან ჩუმად, ხანაც ხმამა-
ღლა მოსაუბრე ადამიანის უცნაურ მდგომარეობაშია. იგი შეიძლე-
ბა ნორმალური თანამოსაუბრე იყოს, მაგრამ კითხვა, რომელიც მი-
სდაუნებურად ჩნდება, პასუხს მოითხოვს. ამ წუთებში მას შუბლი
ეჭმუხნება, ერთი შეხედვით შეშფოთება ეუფლება. მაგრამ, ძალიან
მალე, თითქოს ვილაცის კარნახით პოულობს პასუხს, და ასე უცა-
ბედად ნაპოვნი თუ ნაბოძები პასუხისაგან მოგვრილი სიამოვნებაც
შვებად ეფინება მის სახეს. ამის შემდეგ იგი შეიძლება ისევ დაუბ-
რუნდეს თანამოსაუბრესთან ადრე წამოწყებულ საუბარს; მაგრამ
არც ის არის გამორიცხული, რომ რამოდენიმე წუთის შემდეგ იგი-
ვე კითხვა დაებადოს, ისევ შეეჭმუხნოს წამიერად შუბლი, და
ერთხელ უკვე აღმოჩენილის ხელმეორედ აღმოჩენით იგივე შვება
იგრძნოს, სახე დაუმშვიდდეს.)
*ოპერის მომღერალი სანამ ნოეს მოუახლოვდება ამ მდგომარეო-
ბას გაითამაშებს. ნოე შორიდან შენიშნავს მას. თვალს ადევნებს.*

ოპერის მომღერალი (ნოეს მიუახლოვდება) — გამარჯობა, ნოე.
(სკამზე ჩამოჯდება).
ნოე — გაგიმარჯოს. არ გეშინია ქუჩაში სიარულის?! მანქანე-
ბი დაქრიან. (ხანმოკლე პაუზა) სად იყავი?
ოპერის მომღერალი — პატეფონი ჩავუტანე ოსტატს. შემპირდა,
სააღდგომოდ აუცილებლად იქნებაო.
ნოე — მერე, დალოცვილო, ან მე შემომძახე, ან თამროს, ან ვი-
საც გინდა, შენი ქუჩაში გასვლა შეიძლება?! (პაუზა. გაუცინებს)
კიდე ცოცხალია შენი პატეფონი?
ოპერის მომღერალი — კი, ცოცხალია. (უეცრად) ხვალ ძლიერი
ჭექა-ქუხილი იქნება... (პაუზა) რატომ?... (შუბლი ეჭმუხნება, უცებ
მშვიდდება, პასუხს მიაგნო)
ნოე (პაუზის შემდეგ) — რამე ხომ არ გჭირდება, სურსათი გაქვს სა-
ხლში? (პაუზა. ნოე სმამაღლა ალაპარაკდება) ერთი პირობა ვიფიქრე
ვინახულებ-მეთქი, მაგრამ მეც ვერ ვიყავი კარგად, ხომ არაფერი გიჭირს?
ოპერის მომღერალი (მოხედავს) — არა, არაფერი. (ასე დარჩება
ნოესკენ თავმიქცეული)

ნოე თვალს მოარიდებს.

ოპერის მომღერალი (ალბათ ვერ ამჩნევს ნოეს) — რამდენი ნ
თურა ენთო ჩვენი თეატრის ჭაღზე... (შუბლი ეჭმუხნება) ას ორმ
ცდაოთხი (შვება) ას ორმოცდაოთხი დიდი ნათურა... (იმ წამს) რ
დის დავკარგე ხმა? ხო... (შვება)

*ხანგრძლივი პაუზა. ოპერის მომღერალი თვალს მოარიდებს ნოე
მშვიდი გამომეტყველება აქვს.*

ოპერის მომღერალი — აღდგომამდე ოცდასამი დღეა. მო
სწრებს?.. (ნოეს მოხედავს) ხომ მოასწრებს?

ნოე — ოსტატზე ამბობ?

ოპერის მომღერალი — ხო, ხომ მოასწრებს?

ნოე — კი, აღდგომამდე ქვეყნის დროა, შენ მშვიდად იყავი!

ოპერის მომღერალი (პაუზის შემდეგ) — შენ როგორა ხარ, ნო

ნოე (მოხედავს) — ჰა?! (კითხვა გაიაზრა) ბებრულად, ორ ქ
რწილში თუ მოვახერხე მისვლა ისიც საქმეა. (პაუზა) აი, ეკლესი
ის შეკეთება გადავწყვიტე, იქნებ ღმერთმა კეთილი თვალით გა
დმომხედოს. საადგომოდ მასალას შემპირდნენ, მერე შევუდგე
ბი...

ოპერის მომღერალი (წამოდგება. ნოეს ბოლო სიტყვები ვერ
გაიგო) — რატომ იქნება ჭექა-ქუხილი... (პასუხს მიაგნო. შვება
რამოდენიმე ნაბიჯს გადადგამს. შემოტრიალდება) ხვალ ძლიერ
ჭექა-ქუხილი იქნება და მთელი ღამე განუწყვეტლივ იწვიმებს...
(ორიოდ წამი ასე დგას. ისევ მიდის. გზად) ნახვამდის, ნოე.

ნოე — კარგად იყავი (შვება იგრძნო. ხმა გაუყოჩაღდა) თუ რა
მე დაგჭირდეს, არ მოგვერიდო!

თამრო გამოვა ქოხიდან. თვალს გააყოლებს ოპერის მომღერალს.

თამრო — რაო?

ნოე — არაფერი.

თამრო — ავა ახლა შინ, ყელს მოიღერებს და წავიდა, გაშლ
ფრთებს... გინდა თუ არა, მაინც ისმის; აღარ შეიძლება აქეთ ცხო
ვრება, ბაზარია რა!..

ნოე (უეცარი გაღიზიანებით) — რას გადამაყოლე იმ ერთ ში
ბაქს, მიდი რა, ქალო, მაგვიანდება!

თამრო — მომაქვს, ხოუ, რასა ღრიალებ! (ქოხში შევა. მალე გა
მობრუნდება. გზადაგზა შიბაქს აპრიალებს) აჰა!

ნოე (გაღიზიანებით) — ისედაც დამიგვიანდა, შენ კიდე კაცს არ
გაუშვებ, რამე რომ არ მიაყოლო. (შიბაქს ათვალიერებს) აქაც გა
უსვი ცოტა.

თამრო (ნოეს გაღიზიანება გადაედო) — სადა, აბა?!

ნოე — მაიტა აქა!.. (გასაპრიალებელს ართმევს. თვითონ გაუ
სვამს) რამდენი ამვლელ-ჩამვლელია ყველას უნდა მიაყოლოს რა
ღაცა. სანყალი ქალი ჭიანჭველას არ ადგამს ფეხს, თავისთვის გი
ჟობს თუ გიჟობს ეგ საცოდავი. ამან კიდე უნდა მიაყოლოს აუცი
ლებლად... (გააპრიალა) აჰა, ეს და ის ერთია?

თამრო — ნადი კაცო, თავი დამანებე! (ქოხისკენ მიდის)

ნოე — მტრედები საით არიან?

თამრო (გაღიზიანებით) — მე რა ვი შენი მტრედები, ჯანდაბა
ში... (ქოხში შევა)

ნოე (წამოდგება. ჯოხს ეყრდნობა) — გურ-გურ, გური... გურ-გუ
რი... (მტრედებს უხმობს. სტვენა-სტვენით გავა სამტრედეს უკან)

შემოვა ლიდა. ჩამოჯდება. ფეხსაცმელებზე იცქირება.

ლიდა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) — ნოე! ნოე, წყლის მილი გასკდა!

ნოე გამოჩნდება. ცდილობს ფეხს აუჩქაროს.

ნოე — დიდი ხანია? (ჯოხს სამტრედეს მიაყრდნობს. გასაღებს
მოიძიებს, კარს აღებს)

ლიდა — რა ვიცი, здорово идет.

ნოე — დასველდი?

ლიდა (ფეხსაცმელზე მიუთითებს) — აი...

თამრო (ქოხიდან გამოდის) — კიდე, კაცო, კიდე? ოხ, შენი პატ
რონი დედა, შენი... (ქოხში შეკარდება. ვედროთი გამორბის ნოე
სკენ) მოიცა, კაცო, არ გადაკეტო, ეს ვედრო მაინც ავავსო!..

ნოე (სამტრედედან) — დროზე, ხომ იცი, მალე მდინარესავით
წამოვა.

თამარო (ვედროს შეუდგამს ონკანს) — რატომ კაცი არა ვარ, რო
ის ერთადეროი კბილი გავაგდებინო შვინდის კურკასავით, იმ გ
თახსირებულს, იმას. წინა პარასკევს არ ეგდო აქა? არა, ხუთშ
ბათს საღამოს მოეთრა. უკვე მიღებული ჰქონდა, მეც კარგი ვინ
ვარ, ეგ რიღას გამკეთებელი იყო, თფუი, მე ამ ცხოვრების... მი
ახლა და თრახე ქვემოდან წყალი. (ლიდას) დარეკე, იქნებ ამო
თრას ეგ პიანიცა, ეგა!..

ნოე — დროზე, ქალო, ნაიღებს ყველაფერს!

თამარო — დროზე, დროზე, მე როგორღა დავაჩქარო, კაცო!

ლიდა (ტელეფონზე რეკავს) — სანტექნიკოსი მანდ არის? Не ту, сад არის, მილი გაგვისკდა. (ყურმილს კიდებს) Бордель, честное слово, настоящий бордель, არ არისო!

თამარო — უი, ჭირშია ეგა! გდია სადმე, ქუჩის ბოლოში. გაგ
ნყრეს გამჩენი...

ნოე — ჰა, ვკეტავ!

თამარო (გაღიზიანებით) — კეტავ და დაკეტე, აჰა, დაკეტე, გაა
ნყალეს გული. ამათ ათრიონ ერთი, როგორია...

ნოე წყალს გადაკეტავს. სამტრედეს კარს ჩარაზავს.

თამარო — შენ კიდევ, კაცო, რას დაათრევ მაგ გასაღებს; ჩამო
კიდე სადმე და იყოს, ვინიცობაა შენს არყოფნაში მილი გასკდეს,
რა გვეშველება, ხომ წაგვიღო წყალმა!

ნოე — რა ჩემს არყოფნაში, სად დავდივარ, გადამრევს ეს ქალი.

თამარო — სად დადიხარ და ქორწილებში, სად უნდა იარო.

ნოე — რაღა ქორწილებში, ორ ქორწილში თუ მივედი ეგ არის,
ძველებურად სადღა შემიძლია, გაწელე-გამოწელე ორ საათში აქ
ვარ.

თამარო — შენ გინდ გაწელე, გინდ გამოწელე, ჩვენ კი წაგვიღებს
ნყალი და... რად უნდა ორი საათი, ნახევარ საათშიც იმხელაზე მო
დის ლამის სახლ-კარი წაიღოს. ანდა, ეს შენი სამტრედეა, თუ რა
ღაც ჯანდაბაა, ეს რაღამ აგაგებინა ზუსტად აქა, ამ წყლის ჩამკე
ტზე — მითხარი, კაცო, ამიხსენი, ბარე ოცი წელიწადი ამას გეკით
ხები, პასუხს კი ვერ ველირსე!

ნოე — შენ ტვინში ვერ შევა ეგა.

თამარო (დოინჯშემოყრილი) — ვერ შევა, არა?

ნოე — ხო, ვერ შევა.

თამარო — მინა ჭამე, შენა, მინა!

ნოე — არ გაჩერდები, ქალო?..

თამარო — რა გამაჩერებს, ისევ ქვემოდან უნდა ვთრახო წყალი,
მიდი, აბა, ზიდე, როგორია...

ნოე — მე რომ თქვენ გატარებთ ამდენ ხანს ჩემს მხრებზე, ეგ
არაფერი? წყალი უნდა, თრახოს, შენ რად, გაუშვი ის ყურუმსაღი,
ტყუილად ყავს მანქანა, ჩავიდეს და ამოიტანოს.

თამარო — ვითომ არ იცი, რი ერთი კვირა არ მოსულა, ვითომ
არ იცი...

ნოე — არ მოსულა და მე რა გიყოთ, (სამტრედეს უკან გადის.
გზადაგზა ლაპარაკობს) თვითონ მიჭირს ჩასვლა-ამოსვლა. გურ-
გური, (დაუსტვენს) გური, გური, ორი ნაბიჯი გადავდგი და გული
ყელთან მომებჯინა. გური, გური... (დაუსტვენს. გამოჩნდება. ორი
მტრედი ყავს უბეში. მიდის)

თამარო — შენ ისეთი ოხერი ხარ, არაფერი დაგემართება.

ნოე (მიდის. გზად) — დამანებე თავი, პური აჭამე ამათ კიდე...

თამარო (გზად მიმავალს მიაძახებს) — ბოოდიში, ბოდიში მომი
ხდია, მე შენ პურს არა ვჭამ, ჩემით ვშოულობ საზრდოს!

ნოე ხელს ჩაიქნევს. სვენებ-სვენებით სტოვებს სცენას.
მარინე გამოჩდება.

მარინე — თამარა დეიდა, წყალმა გადმოხეთქა!

თამარო (ხოეს მიმართულებით) — მაგის ხაზეინი ეგ არის, მაგას
მოკითხე.

ლიდა — ჩაკეტა უკვე.

თამარო (გალიზიანებით) — ჩაკეტა და ტვინი ჩაეკეტა მაგას, ტვი
ნი... (ქოხში შედის)

პაუზა.

ლიდა — როგორა ხარ, მარინე, все нормально у тебя?

მარინე — კარგად.

ლიდა (იცინის) — это конечно ничего, но все-таки странно, ан ჩანდა შენი ქმარი ეგეთი ბიჭი, რაც შეეხება ადამიანის გამოცნობას, არ მეშლება. რა მოხდა მაინც?

მარინე — არაფერი.

ლიდა — Ну, хорошо, извини.

მარინე — ოპერის მომღერალს არ დაუწყია ჯერ?

ლიდა (თავის ფიქრებში) — ჰა.

მარინე (მიდის) — კარგად იყავი.

ლიდა — კარგად, მარინაჩკა, все уладится, აი, ნახავ, а не уладится, и то не большая потеря. (მარინე გავა) но это очень странно, и даже забавно... (თავისთვის ჩაილაპარაკებს ბოლო წინადადებას)

ქოხიდან თამრო გამოვა.

თამრო (გზადაგზა) — ცხრა მთას იქით რომ იყოს, მაინც ამოვათრევ იმ პიანიცას. აგდია ახლა სადღაც, ქუჩას ამყრალებს. ამოვათრევ და აქ დავაბამ ძაღლივით, ეგდოს და იყოს. (გასვლას დააპირებს. ლიდას მოხედავს, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო. მიუახლოვდება) შენი ქმარი სად არის?

ლიდა (თავის ფიქრებში) — მხატვართან.

თამრო (პაუზის შემდეგ. გადაწყვეტით) — ნამუსი არ გაწუხებს ამხნის კაცი რომ გააბრიყვე, ჰა?..

ლიდა (ყურადღებით შეხედავს. პაუზის შემდეგ) — რატომ გავაბრიყვე, მე არავისთვის არაფერი მითხოვია.

თამრო — არ გითხოვია, არა?

ლიდა — კითხე შენს ძმას და თვითონ გეტყვის.

თამრო — ჩემს ძმას ვკითხო, არა?!

ლიდა — ხო, შენს ძმას კითხე.

თამრო — რა კითხვა მაგას უნდა, ისე ვერ ვხედავ? შენ — უპატრონოს, ბავშვთა სახლში გაზრდილს, ნატურშიცას, სახლსა და კარს დანატრებულს, სხვა რაღა გინდოდა, თუ არა ჩემ ძმასავით ბრიყვი. მოხუცი კაცია, ხვალ-ზეგ შეიძლება ფეხებიც გაჭიმოს, ის სახლ-კარი ვის დარჩება, ვისა და კანონიერ ცოლსა. რა მიხვედრა მაგას უნდა, ძუძუთა ბავშვი კი არა ვარ.

ლიდა — ხო, სასახლე მრჩება, дворец!

თამრო — შენისთანა უპატრონოსათვის ეგ სასახლეც არის და უფრო მეტიც.

ლიდა (ფეხზე წამოდგება) — იცი, რას გეტყვი! შენთან ჩხუბის თავი მე არა მაქვს, иди, пройдись, გადი, გაიარ-გამოიარე, ცოტა დამშვიდდები.

თამრო — აი, აი, შე... შენ რა უნდა გელაპარაკო, გაიმარჯვე და ეგ არის, გაიმარჯვე.

ლიდა (შემოტრიალდება) — გინდა, განახებ როგორ ვიდექი ნატურაზე, გინდა?

თამრო — ეგ შენ ქმარს ანახე, მე რაში მინდა.

ლიდა — ისე ხშირად ახსენებ ჩემს ნატურშიცობას, რომ გაინტერესებს ეტყობა, хочешь?!

თამრო -აი, შე უსირცხვილო, შე უსირცხვილო, საწყალო ჩემო ძმაო!

ლიდა — რას გეტყვი იცი, ყველამ თავის ქმარს მიხედოს, შენ — შენსას, მე — ჩემსას!

თამრო — შენმა იკითხოს, შენმა, ვისი ნათრევიცა ხარ, იმასთან დადის ნატურაზე ეგ უბედური!..

ლიდა — არა, ეტყობა გაინტერესებს მაინც, როგორ ვიდექი ნატურაზე... (ოდნავ წამოიხდის კაბას)

თამრო — წადი, დამეკარგე აქედან! ფუი, შენი... (შეტრიალდება. მიდის)

ლიდა ღრმად სუნთქავს, სიმღერას დაადევნებს თამროს კვალში. ხმამაღლა, აღელვებისაგან ჩახრინწული ხმით მღერის. (შესაძლოა იმღეროს „სიგარეტა, სიგარეტა") თამრო გზადაგზა ინყევლება. თვალს მიეფარება. ლიდა სიმღერით სტოვებს სცენას.

ცოტა ხანში მოტოციკლეტის რახრახი.

სცენაზე ომარა, გოჩა და ნიკო შემოდიან.

ომარა (იცინის) — მინი წარღვნაა, ყველაფერს გეფიცები, ნაღდი მინი წარღვანაა...

გოჩა — აუ, როგორ მოდიოდა, არა? ესე — მდინარესავით, ტალახისფერი...

ომარა (ფეხსაცმელებზე იცქირება) — კიდევ კარგი, შემხვდით. მანქანა რემონტზე მყავს. ნახე, მაინც დავსველდი! იქ, სადაც ვა-

პირებ წასვლას, რა მანქანა მელოდება, იცი?! თოჯინასავით... (ს
მტრედისაკენ გაიხედავს) ჩაკეტა იმ ფეხუცამ?

ნიკო — ჩაკეტავდა.

ომარა (იცინის) — რა თქმა უნდა ჩაკეტავდა, აბა, ნოე რისთვ
არის. (იცინის) ნაღდი მინი წარღვნა იყო.

გოჩა — მართლა როგორ მოდიოდა, არა?!

ომარა — აბა, არ გინდათ იმ გუნდში? (აწყვეტინებს)

ნიკო — რა ვიცი.

ომარა (უბიდან რაღაც ქაღალდს იღებს. ნიკოს გაუწვდის) —
აჰა, მთელი დღე ვიყავი გუშინ ტრესტში. იქამდე არ მოვეშვი მმ
რთველს, სანამ ხელი არ მომიწერა. მაინც სახელმწიფოს უბრუნ
ბენ ფულს და არ ჯობს კეთილი საქმე გააკეთონ. ას-ასი მანეთ
ხელფასი გექნებათ, მეტი რა გინდა. (ნიკო კითხულობს. გოჩ
ზურგს უკან დაუდგება, ისიც კითხულობს. ომარა აგრძელებს ლ
პარაკს) ამ კალათბურთს მაინც თამაშობთ და ბარემ ხელფასი
აიღეთ. საზონათაშორისოს თუ მოვიგებთ, მერე სიმფეროპოლშ
წავალთ საკავშიროზე. მოიცა, მუშაობთ?

ნიკო (ამოხედავს) — არა, ჯერ არა.

ომარა (ფურცელს გამოართმევს) — ხოდა, აბა, რაღას კითხუ
ლობ! (ფურცელს უბეში შეინახავს, ქალაქისაკენ გაიხედავს) — აუ
რა ამბავი ხალხია, ხდება რამე?

ნიკო — ყოველდღე არ ხდება.

ომარა (გოჩას) — მიდი ერთი, ბურთი გადმომიგდე, ცოტა გავი
ნძრე. (გოჩა განჯინისკენ მიდის. ნიკოს მიმართავს) მაჯა ხომ ა
გაგიფუჭდა, შენი მაჯის იმედი მაქვს, კარგი გამთამაშებელი მჭ
რდება. (გოჩა ბურთს გადაუგდებს. ომარა დაიჭერს. რამოდენიმ
ჯერ მიწაზე დაჰკრავს) გოჩა წინა ცენტრს დააყენებს, წინა ცე
ნტრზე ვათამაშებ. წავედით! (მოედნისკენ მიმავალ ბილიკს გაუყ
ვება) სხვებიც უნდა ვნახოთ, ძველი გუნდიდან, ოლეინდ სიგარეტ
ნაკლებად, მუშაობა მოგვინევს... (მიდიან, თვალს მიეფარებიან)

ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.
ძაღლის ყეფამ მოაღწია.
სცენაზე გიორგი შემოდის. ქოხის წინ, სკამზე ჩამოჯდება. ჩიტ
ბის სტვენა-ჭიკჭიკს უსმენს.
სიჩუმე ჩამოვარდება.

გიორგი — რაო, ჩიტო, რატომ მიჩუმდი! (პაუზა. სიჩუმე) მიდი,
თორემ, ცულს მოვიტან, ცუნცულასა, ხელეჩოს და... (ჩიტების სტ-
ვენა) ხო, ასე... (პაუზა) დიდი უცნაური ვინმე ხარ, ჩიტო! მოვა გა-
ზაფხული და შენც თავს გაიგიჟებ ხოლმე... (ხანმოკლე პაუზა) ის
კი არ იცი, როგორ მოქმედებს ჩვენზე შენი ჭიკჭიკი, როგორ გვ-
ჯერა ამ დროს... მე თუ მკითხავ, შენ ყველაზე დიდი დამნაშავე
ხარ. პატიკოს და მარინეს გეფიცები, შენ ყველაზე დიდი დამნაშა-
ვე ხარ. გინდა გითხრა რატომ? ტაქტიდან გვაგდებ. თუმცა, ალბათ,
შენი ჭიკჭიკიც პატარა არია არის, შენი სამღერი — არია, ჩიტო!
ესეც გათვლილი იყო, ალბათ, არა? შენი ჭიკჭიკი, ოპერის მომღე-
რლის საცოდავი ჯახირი, ნოეს უკან მობრუნებული მტრედების
ფრთების ხათქუნი და ჩვენი ხრინწიანი ხმები — აი, დღევანდელი
ოპერა, ჩიტო! დღევანდელი კი არის, მაგრამ ძალიან ადრე, იმ წა-
რღვნის დროს არის უკვე დაწერილი, ჩვენ კი დღეს ვასრულებთ.
(პაუზა) სულელი პატიკო, ამ ჩიტების ჟრიამულით თავბრუდახვე-
ული პატიკო. სინამდვილეში კი ცხრაბალიანი ღელვა. აი, ხომა-
ღდზეც შემოაღწია. (ფეხსაცმელებზე იცქირება. პაუზის შემდეგ)
რა პატარა ყოფილა ადამიანი, ჩიტო; ოდესღაც დაწერილს დღეს
მღერის და თანაც არ დაგავიწყდეს, ღრმად სჯერა, თითქოს მის
ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული, რას იმღერებს. ასე ყოფი-
ლა, ასე, ჩიტო. ამას მაშინ მივხვდი, ეს ცხრაბალიანი ღელვა რომ
დაიწყო... (ქოხისკენ) თამრო! რას მემალები, კურსი ხომ სწორად
გიჭირავს, ქალო! არ შეარცხვინო ნოე. მაგისი მესაჭე ხარ, ხომ
იცი?! გამოდი, გამო, ვილაპარაკოთ! (ხელს ჩაიქნევს. თავს ჩაქი-
ნდრავს. ხანმოკლე პაუზის შემდეგ ისევ აიღებს თავს) ჩვენ კი
თქვენი მგზავრები: ჩემი ავადმყოფი ცოლი, ჩემი რევოლუციონე-
რი ბიჭი, მე... ერთ-ერთი რიგითი გამომცემლობის რიგითი მხატ-
ვარი, და ჩემი მარინე... თქვენ იცით რა თვალები აქვს მარინეს?!
— თავის ოთახში, თავის სკამზე რომ ზის, მუხლებზე კი თავისი
განუყრელი სახარება უდევს და რომ ამომხედავს ხოლმე, მაშინ,
იმ წუთას, რა თვალები აქვს, იცით?! არ იცით, არა. ის მაინც თუ
იცით, რა კარგია ზოოპარკში! (პაუზა) ერთ რჩევას მოგცემთ, ჩი-
ტუნებო. როცა ჩემსავით შეხედავთ ამ ზღვას, არ დაახანოთ, მოი-
სვით ზურგზე თქვენი ბარტყი და გაფრინდით ზოოპარკში. სპილო
ინახულეთ, ხის ცხენებზე სურათი გადაიღეთ, ნაყინიც მიირთვით,
მხოლოდ შემდეგ, ჩემსავით ნულარ მოიქცევით; იმიტომ, რომ ახლა,

Scanned with CamScanner

მე ძალიან მიჭირს ისევ ვთხოვო მარინეს ზოოპარკში წამომყვეს
(პაუზა, ქოხისკენ მიტრიალდება) ნოე, ნოე, შე ფეხუცა, როგორ
არიან შენი თარსი მტრედები! მოგივლი, შენ მაინც მოგივლი. მაპა
ტიებს ღმერთი შენს მოკვლას. (პაუზა) შენ გგონია არ ვიცი ვინ
ხარ?! ვიცი, ყველაფერი ვიცი. ის ნოე არა ხარ, კალამი რომ უჭრ
და მაშინ, სანამ ეს სასაფლაო პირთამდე გაიცსებოდა! შენი ხომ
ლდი იმათი ძვლებით არ არის აგებული, შე ჩათ... (ხანმოკლე პაუ
ზა) ან, ის ნოე არა ხარ, ამ ეკლესიის გუმბათს რომ ანგრევდი?! ახლ
კი, გავიგე, ეკლესიის შეკეთება გადაგიწყვეტია. რატომ? — იმი
ტომ, რომ ახლა სხვა ზღვაში მიცურავ და ასეა საჭირო. იმიტომ
რომ როცა საჭიროა შავი ხარ და როცა საჭიროა თეთრი და კიდე
იმიტომ, რომ ნოე ხარ, ნოე ნომერი ორი ხარ, შე ლოკოკინა! ვითომ
მარტო მტრედები დაგყავს ქორწილებში. — ეშმაკისაგან ხართ, შე
ნცა და შენი მტრედებიც. ფუპ, შენი... აღარც მინდა ლაპარაკი. აი
აქ მყავხარ, ყელში მეჩხირები, იმ ლუკმასავით, ბავშვობისას რომ
მოგინოდებია. დიდი ეშმაკი კაცი ხარ, კი არ მაწოდებდი იმ ლუ-
კმას, მატენიდი, აი, ასე მატენიდი პირში. მეც ვღეჭავდი და ვღეჭა-
ვდი. მადლობასაც გეუბნებოდი. შენ კი — რა მადლობა, რის მად-
ლობაო, უნდა გაიზარდო, ობოლი ხარ, ობოლიო... განა მარტო მე,
ვინც ცოცხალი გადაურჩა იმ წარღვნას, ყველასთან მაშინვე დაა-
ბანდე კაპიტალი... რაღა გიჭირს — კაპიტალი დაბანდებულია, სა-
ჭესთან თამრო, შენ კაპიტანი. მიცურავთ კარგად, მინანაობთ...
(ხანმოკლე პაუზა) ჩვენ კი, ამ ზღვიდან, ამ ღელვიდან შემოვაღწი-
ეთ თქვენს ხომალდზე, მარილიანი შხეფებივით. აჰა, ნახე რა დამა-
რილებული, გამომშრალი ხახა მაქვს!.. (ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი)
მიდი, ჩიტო, ახლა შენი ჯერია, მე ჩემი არია შევასრულე. მიდი, გაი-
ხარე, გაზაფხულია... (მოეშვება) ლამის მეც აგყვე ჭიკჭიკში. (სკა-
მის საზურგეს გადააწვება. თვალებს ხუჭავს, უსმენს. ასე ჩა-
თვლემს)

გამოჩნდება პატიკო. მძინარე მამას შენიშნავს. მის გვერდით
ჩამოჯდება.

პატიკო — მამა! (გიორგი თვალს ახელს. უცებ ვერ იაზრებს სად
არის) მამა, შინ წავიდეთ!

გიორგი — აჰ, ძენა ხარ, სად იყავი?

პატიკო — წამო, წამო, წავიდეთ.

გიორგი — დაიცადე, მიპასუხე რომ გელაპარაკები; შენ გგონია
მეძინა?

პატიკო — წამოდი, რა, შინ ვილაპარაკოთ.

გიორგი — ჯერ პასუხი გამეცი, ზრდილობას გასწავლიდი, მე
ასე მახსოვს პირადად.

პატიკო — ქალაქში ვიყავი.

გიორგი — რა ხდება ქალაქში? ისევ არეულობაა, ღელავს ზღვა,
შტორმია?!

პატიკო — ხო, არეულობაა. წამო, წავიდეთ!

გიორგი — მერე შენ რა გინდა არეულობა რომ არის, რევოლუ-
ციონერი ხარ?

პატიკო (ფეხზე წამოდგება) — წამო, წამო!

გიორგი (ხელს ჩაავლებს მაჯაში) — მოდი, დაჯექი, მოდი ვი-
ლაპარაკოთ, მოდი რა, კაცო! (პატიკო მამის ხელს დაყვება) რა გი-
ნდა. გამაგებინე, რას ხმაურობთ, ჰა, რა გინდა?!

პატიკო — არაფერი.

გიორგი — არაფრისათვის არ ხმაურობენ. გამაგებინე, მოდი რა,
კაცურად ვილაპარაკოთ, რა გინდა მითხარი, რატომ ხმაურობთ?

პატიკო (პაუზის შემდეგ) — სამშობლო.

გიორგი — ვახ, კარგია! როგორი სამშობლო გინდა მაინც, რო-
გორ ხედავ. ნავთსაყუდელის პოვნა ეგრე იოლი არ არის.

პატიკო — ჩემი.

გიორგი — აჰა, შენი; კარგია, ძალიან ნათლად არის აზრი ჩამო-
ყალიბებული, ყოჩაღ!

პატიკო — წამო, წავიდეთ.

გიორგი — არა, დაიცა, ჯერ ვილაპარაკოთ.

პატიკო (ფეხზე წამოდგება) — წავიდეთ, სირცხვილია. შინ ვი-
ლაპარაკოთ, წამო!

გიორგი (ისევ ისე ჩაავლებს ხელს. ადგილზე დასვამს) — დაჯე-
ქი-მეთქი!

პატიკო — მამა, რა გინდა! როგორც მზრდიდი, ისე გავიზარდე;
შენ რის სიყვარულსაც მასწავლიდი, ის მიყვარს; რა არის აქ საკა-
მათო.

გიორგი — საკამათო ის არის, რომ ძალიან მღვრიე ზღვაში მი-
ცურავ, კარგი მხედველობა გჭირდება, თუ არა და ჭოგრიტი, გე-
სმის ჩემი!.. რაც შენ გინდა ბაბუაშენსაც ის უნდოდა, სხვა კი არა-

Scanned with CamScanner

ფერი, დაიხრჩო, გაიგე, დაახრჩვეს! შენ გგონია მამაშენს არ უნდ
რაც შენ გინდა? მაგრამ მამაშენმა ის იცის, რომ დამპალ ხეს უნდ
მოერიდო. შენ უნდა მოერიდო, თორემ ჩემი თავი ჯანდაბას, თქვე
კი, ყველანი, იმას ცდილობთ როგორმე ზედ დაგეცეთ ის ხე...

პატიკო (გაღიზიანებით) — დამანებე თავი, შენთან აღარ შეიძ
ლება ლაპარაკი.

გიორგი — მოიცა, ჩემთან ლაპარაკი აღარ შეიძლება — რას ნ
შნავს? ალბათ იმ დღეს, არა? კარში რომ ჩაგიდექი იმ დღეს გული
სხმობ, ალბათ. ხომ ნახვედი მაინც, რაღა გინდა, მეც ხომ წამოგ
ყევი, ასე არ იყო? მერე კი იმ ხალხში დამეკარგე. ან, უფრო სწო
რად, გამექეცი, მომერიდე, როგორც რაღაცა სამარცხვინოს... მ
უნდა ვიყო შენზე ნაწყენი და აქეთ შენ მიყენებ პრეტენზიებს?
აღარ შეიძლება შენთან ლაპარაკი — ალბათ, ამას უნდა ნიშნავდეს
თორემ ადრე, მახსოვს, რომ ლაპარაკიც შეიძლებოდა და მეგობ
რობაც... მე ასე მახსოვს. ლაწირაკი ხარ, ჯერ, ლაწირაკი. იმიტომ
რომ მხოლოდ შენ თავზე ფიქრობ. შენ რასაც კინკილა ტანკს ეძა
ხი, ის ზღვაში გაშვებული უშველებელი ზვიგენია. შენ კი ხელცა
რიელი ხარ, არა გაქვს არაფერი, იარაღი არა გაქვს, ის კი მტაცე
ბელია, შენი სისხლით და ხორცით უნდა ირჩინოს თავი და თავის
ოჯახიც შენი სისხლ-ხორცით უნდა არჩინოს! მე კი ჩემი ოჯახ
მყავს, რომელიც, რადაც არ უნდა დამიჯდეს ამ მღვრიე ზღვას უვ
ნებლად უნდა გავაშორო. აი, ამდენი არ გესმის! ჩემს ტკივილს ვერ
ხედავ, მარინეს ვერ ხედავ, მარინეს, რომელიც შეიძლება მარტო
დარჩეს. — იმიტომ რომ დედაშენი ავად არის, ძალიან ავად; მ
ხვალ-ზეგ არ ვიცი რა დამემართება; შენ კი რევოლუციონერი გა
ხდი და შენი დისთვის აღარ გცხელა. ის, ჩემი გოგო, ასე რჩება, გა
ლოკილი თითივით მარტო, ამ ორომტრიალში, ამ ომში, ამ სისხლ
მოწყურებულ ცხოვრებაში. იმისი ახვარი ქმარი კი აღარ არის; აო
რთქლდა, გაქრა, დაიკარგა, გესმის ამდენი?! აი, ეს არის ცხოვრე
ბა, ამისი გაძლებაა საქმე. შენ გგონია მამა გაგილოთდა, არა? შენ
გგონია, მამაშენს ლოთივით ჩაეძინა, ხომ ასე გგონია? ნუთუ ვერ
ხედავ, როგორ მიჭირს ამ თვალების, ამ დაწყევლილი თვალების
პატრონს... (უეცრად ქოხისკენ შეტრიალდება) ნოე! ნოე, შენი... შე
ნი თარსი მტრედები უკან ბრუნდებიან!..გამოდი აქეთ, დამენახე
(წამოდგება. მოუქნელად გაიწევს ქოხისკენ. პატიკო ხელს
ჩაავლებს) გამოდი, გამოეთრიე!

პატიკო — მამა, წამო, წამო!..

გიორგი (დაიხრება. ქვას ვერ მისწვდება, ხელს მაინც მოიქნევს) — თავი გამოყავი, შე ლოკოკინა, გამოდი შენი ნაჭუჭიდან, სადა ხარ!

პატიკო (ძალას ატანს) — წამო, მამა, კარგი, ხო. მერე გამოვალთ, წამო!..

გიორგი (გაიწევს) — სადა ხარ-მეთქი, შე ფეხუცა, სად იმალები?!

პატიკო — წამო, მამა, გეყოფა, წამო...

პატიკო ძალით გაიყვანს გიორგის. გიორგი გ ზადაგ ზა ინევს ქოხისკენ. ბოლოს გავლენ.

მათი ხმებიც მიიკარგება.

ძაღლის ყეფამ მოაღწია.

პაუზა.

მოედნიდან მომავალ ბილიკზე ომარა გამოჩნდება. შეოფლილა. ცხვირსახოცით იმშრალებს შუბლს. ონკანთან მივა. გაახსენდება რომ წყალი გადაკეტილია. ონკანს შეუკურთხებს. სკამზე ჩამოჯდება. მალე წამოდგება. ტელეფონთან მივა. რეკავს. გამოჩნდება თამრო.

თამრო (შენიშნავს ომარას. თავს გადააქნევს) — აი, აი, რა უჯიშო გამომიხვედი, სადა ბრძანდებოდი ერთი კვირა.

ომარა (ყურმილს ჩამოკიდებს) — აბა, რა ვქნა, თამრო, შენ და მამაჩემი უჩემოდ ქეიფობთ და მე რაღა დამრჩენია.

თამრო — ჯანდაბამდის გზა გქონია, კუზიანს სამარე თუ გაასხორებს.

ომარა — ბიძაჩემი სად არის?

თამრო — რად გინდა ბიძაშენი.

ომარა — საქმე მაქვს რაღაცა.

თამრო (ქოხისკენ დაიძრება) — შენი საქმე და შენი...

ომარა — ხო, გეყოფა, სად არის?

თამრო მხატვართან გახლავს.

ომარა — ვინ გითხრა?

თამრო — იმისმა კახპა ცოლმა მომახსენა.

ომარა — შენ სად იყავი?

თამრო — სად ვიქნებოდი, იმ პიანიცას დავეძებდი. თუ რამ სალობიე და სახინკლე არის ახლომახლო ფეხით შემოვიარე. ერთი ხელში ჩავი-

გდო, სხვა არაფერი მინდა. აქ უნდა დავაბა ძაღლივით, დავუდგამ სა
ლაფავს და თქვლიფოს, მეტი არც უნდა მაგას. (ამოისუნოქავს) ჰუ
თანაც ძველი გზით წავედი, ახალზე ნამდვილი წარღვნაა, ისე მოდ
წყალი. შემიძლია ამღენი სიარული, რად არა კითხულობთ?

ომარა — წავედი, აბა, მე.

თამარო — სად მიბრძანდები?

ომარა — მაღლა. მოედანზე ავალ.

თამარო — შენი მოედანი და შენი სულელი თავი... (ქოხში შედის

***ომარა მაღლა მიდის. მალე ჩამობრუნდება. დედამისს შინ შესულ
დაიგულებს. დასახლებისკენ მიმავალ ბილიკს გაუდგება. მოედნიდა
მომავალ ბილიკზე გოჩა და ნიკო გამოჩნდებიან. ნიკო ონკანს მიუახ
ლოვდება . მოუშვებს. წყალი არ მოდის. ისიც ომარასავით შეუკუ
რთხებს ონკანს. გოჩა განჯინაში ინახავს პურთს.***

ნიკო (გოჩას) — მართლაც რას კეტავს ის ფეხუცა ამ სამტრე
დეს, გაშრა ყელი.

გოჩა — სამი ხდება, ახლა დაიწყებს.

ნიკო — წამო, ქალაქში ჩავიდეთ, გაზიანი წყალი დავლიოთ.

გოჩა — დაიცადე, რა! მოვუსმინოთ და მერე.

ნიკო (სამტრედეს მიუხლოვდება. ათვალიერებს) — არ გაინტერე
სებს რა აქვს სამტრედეში? რას კეტავს, ვითომ მარტო მტრედები ყავს?

გოჩა — საათი ნახე, რომელია?

ნიკო (უბეს მოისინჯავს) — ე, შე... როდის ამომაცალე, ბიჭო
(გოჩასკენ გაიწევს) მაიტა, აქა!

გოჩა (იცინის) — რა გინდა?

ნიკო — მაიტა, მაიტა!

გოჩა (იცინის. უბიდან საათს ამოიღებს. გაუწვდის) — აბა, კა
რგად შეინახე.

ნიკო (გვერდით მიუჯდება) — წავიდეთ რა, წყალიც დავლიოთ
და ქალაქშიც გავიაროთ. ნახე, რა ამბავია!

გოჩა — ორ წუთში დაიწყებს და მერე.

ნიკო — მწყურია, ბიჭო, გაზიანი წყალი მინდა. (პაუზა. ჩაიცი
ნებს) — ახლა სიმფეროპოლშიო, ამისი სიაფანდი...

გოჩა — რა იცი, იქნება მართლა გამოვიდეს.

ნიკო — კარგი, რა, ომარას არ იცნობ?

გოჩა — ჩვენ მივიდეთ და თუ არ გამოვიდა წამოვალთ, რას ვკა
რგავთ.

ნიკო — ეე... (ხელს ჩაიქნევს. იცინის) ძალიან მჭირდებიო, ამის
სიაფანდი...

ისმის ოპერის მომღერლის ხმა. იგივე მეორდება.

ნიკო — აბა, დაიწყო! (იცინის) ნახე, ნახე, წავიდა, წავიდა, ჩაი
ფუშა... (იცინის) სახე წარმოიდგინე რა, წარმოიდგინე რა სახით
ჩალიჩობს, ახლა დაიწყებს, უსმინე!

ოპერის მომღერლის ხმა. ბიჭები იცინიან. წამით ხმა წყდება.

ნიკო (სიცილ-სიცილში ლაპარაკობს) — წავედით, წყალი მინდა.

გოჩა (იცინის) — დაიცა რა, გეხვეწები!

ნიკო (წამოდგება) — მოიცა ბიჭო, ეს ექვსამდე არ გაჩერდება,
წყურვილით მოვკვდები, ხვალ ამოვალთ, ახლა ქალაქში გავია
როთ. (ხელს ჩაავლებს გოჩას. გადიან)

მოტოციკლეტის რახრახი.

***ხანმოკლე პაუზა. ხმა ისევ მეორდება. სცენაზე მარინე შემოდის.
ჩამოჯდება, უსმენს. თანდათანობით კლებულობს შუქი. ოპერის მომ
ღერლის ხმაც შუქთან ერთად იკარგება.***

სურათი მეოთხე

შაბათი.

***საღამოხანი. ქოხის წინ, მაგიდასთან მენატურე კაცი და ნოე სხე
დან. მაგიდაზე არაყი და მისაყოლებელი გაუწყვიათ. ნოეს უბეში
მტრედი ჰყავს. დროდადრო ეფერება. ხელისგულიდან დანამცეცე
ბულ პურს აჭმევს.***

მენატურე — ღმერთი გიშველით, როგორც მე მიშველეთ. ფეხზე
დამდგარს მხატავდნენ, ცოტა რომ არ მომესვენა, ჩამოვწყდებო
დი ნამდვილად.

ნოე (არაყს ჩამოასხამს) — მეც რთული დღე მქონდა. შაბათი ჩ
მი ხელობის კაცისათვის, ხომ იცი... დილაზე ჩემს ბიჭებსაც შევუ
რე. კარგად არიან მამაძაღლები, საქმეში არიან. (მტრედს აჭმევ
ჭამე, ჭამე, მიირთვი... (მენატურეს გახედავს) მალე ორნი მოფრ
ნდებიან კიდე, მაგრამ ეს სულ სხვაა. (ეფერება) ერთ წუთს ვ
ძლებს უჩემოდ. გური-გური, ჭამე, მიირთვი... (ხელისგულს მი
ტანს ნისკარტთან)

პაუზა.

მენატურე — სამ კვირაში აღდგომაც მოდის.

ნოე — გაგვიმარჯოს. (უჭახუნებს) მშვიდობა მოგვცეს ღმ
რთმა! (სვამს)

მენატურე — იცოცხლე! (სვამს)

ნოე — კარგი იყო უნინ, აღდგომა მითუმეტეს. იყო ხალხმრა
ლობა, გადაპატიჟებ-გადმოპატიჟება, ნამდვილი დღესასწაული
ახლა რაღა, რამდენი წელია ამ სასაფლაოზე მიცვალებული არ დ
საფლავებულა. აი, ის ორიოდე საფლავიღაა პატრონი რომ შერჩ
ჭირისუფალიც ბერდება, გენაცვალე, განა მარტო ჩვენ ვბერდ
ბით, უჭირთ ამ სიმაღლეზე ამოსვლა, თუ დარჩა ვინმე ცოცხალ
საერთოდ. (ხელისგული მიაქვს მტრედთან) ჭამე, ჭამე... (ხანმ
კლე პაუზა) არ გაუმართლა თამროს, აქ რომ მოვიყვანე, უკვე რ
მდენი წლის დაკეტილი იყო ეს სასაფლაო, მაგრამ ჭირისუფალ
მაინც ჰყავდა მაშინ. ესეც ორ კაპიკს შოულობდა. საფლავის მო
ლაში ხუთ მანეთს აძლევდნენ. ჩვენი ფულით გეუბნები (მტრედ
თავზე გადაუსვამს ხელს) გურ-გური... აბა, დათვალე, რამდენი სა
ფლავია, ეხუმრები!.. ახლა რაღა, ამ სიგარეტით და არყით რა უნდ
იშოვნოს. შოვნით კი იშოვნის, მაგრამ კლიენტიც ხომ გინდა. სა
საფლაო თუ ჩაკვდა ვინღა იქნება მაგისი სიგარეტის მყიდველ
ეჰ, მაგრამ არაუშავს, სააღდგომოდ მასალას შემპირდნენ, ჩემი ხ
რჯით შევაკეთებ ამ ეკლესიას, მერე საქმეც გამოუჩნდება; სანთ
ლები, ხატები, ხომ იცი... (მტრედს ეფერება) აი, დალოცვილი სა
ქმე. იარე ქორწილებში და ატარე მტრედები. მხოლოდ აქაც შრო
მაა, მტრედსაც გამონვრთნა უნდა. ეს, მაგალითად, ყველაზე იო
ლად იგნებს გზას. ნიჭიერია, შემჩნევა უნდა. ის, ორნი, ისე ვერ არ

ან, მაგრამ მოფრინდებიან ისინიც სადაცაა; აი, ნახავ! (ქოხისკენ მიტრიალდება) თამრო, ქალო, მოგვხედე!

მენატურე — კარგი ახლა, ნოე, რაღა გინდა, წავიდე უნდა უკვე.

ნოე — რატომ, კაცო! (ქოხისკენ) თამრო!

თამრო (კარში გამოჩნდება) — რა გნებავს?

ნოე — მოგვხედე, უცხო ხომ არ არის, ძმაა შენი.

თამრო — ძმა არა, ჩემი ძმა რომ იყოს თავის ცოლს მიხედავდა.

მენატურე — კარგი, ქალო, რა გახდა თქვენი შერიგება, რა გაქვთ ამდენი საჩხუბარი.

თამრო — თავი დამანებე, კბილი ამტკივდა ისევ, ლამის ტვინი ამეხადოს.

მენატურე — აგტკივდა და მაგის წამალიც აქ არის, მოდი და დალიე.

თამრო — იჰ... (ქოხში შებრუნდება)

ნოე (იცინის) — რას იზამ, შენს დას ჩემზე უკეთ შენ იცნობ; მოდი, ამ გახსენებაზე, თამროს გაუმარჯოს. (ჩამოასხამს) ცოტა მყეფარა კი არის, მაგრამ ნაღდი ქალია. სამი ბიჭი გამიჩინა, სამი... სამ ბიჭს გაჩენა არ უნდა?! (იცინის) თამროს გაუმარჯოს.

მენატურე — ღმერთმა გაუმარჯოს. მე კი, ჩემო ნოე, ვერასოდეს დავივიწყებ თქვენს ამაგს. მაშინ, ხომ გახსოვს, თავდებში რომ არ გამოგეყვანე, იქნებ აქაც ვწოლილიყავ ახლა.

ნოე (ხელს აწევს) — მოიცა, კაცო...

მენატურე — არა, არა, დამამთავრებინე. ეს, ამხელა სიკეთე ხომ გამიკეთეთ, სიცოცხლეზე მეტი რა უნდა აჩუქო კაცს; აქეთაც ამოძიყვახეთ, მიწაც მომიზომეთ, შეხ კიდე საქმე გამიჩიხე, ის მხატვარი გამაცანი. კიდევ რა, (იცინის) მეტი რაღა გინდა, მადლობთ, ჩემო ნოე, შენც, თამროსაც...

ნოე — კარგი, არ არის საჭირო. აი, ეს მიირთვი! (კერძს შესთავაზებს)

მენატურე — აჰ, არა, არა... აღარ შემიძლია.

ნოე — მაშინ კომპოტი. აი, ჩვენი ატმისა. (ჩამოუსხამს) კარგად მიდის არაყზე.

მენატურე — მადლობთ. (მოსვამს) იშვიათია ქართლის ატამი. უჰ, ჩაწმინდა.

ნოე (თვითონაც მოსვამს) — მართლაც კარგია. (პაუზა) მართალია დავბერდი, ჩემო ძმაო, მაგრამ მაინც არა ვარ ცხოვრებით უკ-

მაყოფილო. აგე, იქით სახლ-კარი, აქეთ ეს ქოხიც ავაგე დაჩას
ვით.

მენატურე (აწყვეტინებს) — აგარაკი.

ნოე — ჰა?

მენატურე — აგარაკი.

ნოე — ხო, რომელ აგარაკს არა სჯობს. ნახე, რა ბუნებაში ვარ
ატამი გინდა თუ ლელვი, ყველაფერი აქვეა. სამი ბიჭი მყავს, სა
ვაჟკაცი, ქორწილებში ჯერ კიდევ შემიძლია სიარული, სხვა რ
მეტი კაცს არც არაფერი უნდა.

მენატურე — მართალი ხარ, ჩემო ნოე, ცამდე მართალი.

ნოე — აბა, ერთსაც ვიტყვი.

მენატურე — კარგი ახლა, დავთვრები ძალიან.

ნოე — არა, ერთსაც და მორჩა. ცოტა უცნაური სადღეგრძელ
კი არის, მაგრამ... (ხანმოკლე პაუზა) რას გეტყვი, იცი! მოდი,
ჩემს დაბადებიდან მოკლე ფეხს და ჩემს მტრედებს ერთად გაუმ
რჯოს. (იცინის) რა გაოცებული მიყურებ... (ხანმოკლე პაუზა) რა
გეტყვი იცი? ბედისწერაა ყველაფერი. მე რომ მოკლე ფეხით ა
დავბადებულიყავი, ჩვენი ცხოვრების გზაზე თუ რამ სისხლ
სლვრა, ომი და უბედურება ყოფილა, ასეთი კი ბევრი იყო, შენ
იცი... (მენატურე რაღაცის თქმას აპირებს. ნოე აწყვეტინებს) ხ
მადროვე, აზრი გამიწყდება. ხოდა, თუ რამ წარღვნა შეგვხვდ
იმას ან გადავურჩებოდი და ან არა. მე ერთი მახინჯი კაცი ვიყავ
ბავშვობიდან დაჩაგრული. მაგრამ ცხოვრებამ ბევრი რამ მასწ
ვლა; რა, თუ იცი? არ ყოფილა მაინცდამაინც ცუდი, თუ რამე, სხ
ვისათვის შესამჩნევი ნაკლი გაქვს. აღარა ხარ მერე იმათთვის ს
ინტერესო. ხარ შენთვის შენს ნაკლთან ერთად და ჩუმად, სხვ
რომ არ გააგონო ისე, ხარობ ამ ცხოვრების სიამით) ცხოვრება კ
საამოა, ოხ, რა საამოა. რა ამშვენებს მერე, თუ იცი, ამ ცხოვრ
ბას! (ხანმოკლე პაუზა) ჩემი თეთრი მტრედები ამშვენებენ. რ
გორც საქორწილო სუფრას შამპანური, ისე ამშვენებენ ცხოვრებ
ჩემი თეთრი მტრედები. ჰა, არ მეთანხმები? (იცინის) არის ამა
იმედი და დღესასწაული, დამიჯერე! სხვა რა უნდა კაცს — იმედ
— შენც გაუშვებ მტრედს, მოხვალ შინ, ჩამოჯდები აგერ, ამ სკ
მზე; მოისვამ შენისთანა ოქრო კაცს გვერდით, დალევ პატარას
გაილაღებ და თან სულ ელოდები, როდის გაიგებ ფრთების ხ
თქუნს. მოლოდინი გაქვს სასიამოვნო, ხომ გესმის! მერე ავიხედ

მაღლა და მოსაღამოვებულ ცაზე ჩემი თეთრი მტრედები მოფრინავენ. თანაც ჩემკენ მოფრინავენ, ჩემი ხელისგულისკენ, ჩემი სამტრედესკენ. რა ვიცი, მოდი, ამას გაუმარჯოს. (იცინის) მტრედეებზე ასე ლამაზად ვიცი ხოლმე ალაპარაკება... (იცინის) გაუმარჯოს! ჩემი ბედისწერა ეს, დაბადებიდან მოკლე ფეხი და ჩემი მტრედები არიან. ამას გაუმარჯოს! (სვამს)

მენატურე — შენ გაგიმარჯოს, ჩემო ნოე, შენ გაგიმარჯოს! (სვამს)

თამრო გამოვა ქოხიდან. არაყს ჩამოისხამს. დაიგუბებს. სვამს.

ნოე — თამრო, მიდი ერთი, სინათლე აგვინთე, მოსაღამოვდა.

თამრო ქოხისკენ გასწევს. შუქს ჩართავს. ისევ სუფრას შეუერთდება. მეორე ჭიქას ჩამოისხამს. დაიგუბებს. სვამს.

თამრო — მადლობა ღმერთს, იმ ნაგიჟარმა დილიდან გააბა თავისი არია. ადამიანურად დავიძინებ.

ნოე — ეხ, თამრო, თამრო, რა ქალი ხარ შენ! (მენატურეს) რა უნდა ახლა იმ საცოდავთან. თავისი არ ჰყოფნის?

მენატურე — კი, ცოდვა ქალია, ძალიან ცოდვა ქალია.

თამრო — ის რა ცოდვაა, დამდგარა და მღერის, მე ვიტანჯები, თორემ იმას რა უჭირს.

მენატურე — არა, დაო, არა, და ძმობას გეფიცები, არ ხარ, მართალი!

თამრო — ეხ, კარგი ერთი, გაგიხსენა ძველმა ჭრილობამ, შენ უსმინე თუ ეგრე გსიამოვნებს, მე უკვე აქა მაქვს, აი...

მენატურე — რა შუაშია, ეგ რა შუაშია!

თამრო (აწყვეტინებს) — შუაში კი არა, თავშია. შენნაირი კაცის მნახველი არა ვარ. ყველა ნატურშიცა და ნაგიჟარი ამან უნდა შეიყვაროს. ექვსი, (ხელზე აჩვენებს) აი, ექვსი მარტო მე მოვუყვანე, ჩემი ხელით. არაო, არა და არაო, — ჯერ იყო და ისა, ახლა კიდე მთლად უარესი...

მენატურე — ოხ, სუ, სუ, ქალო! ნოე, უთხარი რამე, არ ესმის ჩემი, რა გახდა კაცო...

ნოე — კარგი ახლა, გეყოფა, რა ამბავში ხარ!

თამრო — რა ამბავში ვარ და იმ ამბავში ვარ, გუშინ უნდა გეს
ხათ აქა, კინაღამ გაშიშვლდა. (ნოეს) შენი ბრალია, შენ რომ არ მ
გეყვანა, ის მხატვარია თუ ვიღაც ჯანდაბაა, არც შეხვდებოდა მ
უპატრონოს.

მენატური — სუ, თამრო, სუ, ქალო; შენ თუ ასე ილაპარაკე, სხ
რას იტყვის, სუ, გაფიცებ დაძმობას!..

თამრო — სუ და სუ... მეტი რა იცი შენა. აჰა, გავჩერდები, ხ
ლები დამიბანია, როგორც გინდა ისე იყავი.

ისმის მტრედების ფრთების ხათქუნი.

ნოე (გამოცოცხლდება) — აგე, მოფრინდნენ. შეხე, შეხედე, რ
ლამაზად მოფრინავენ.

თამრო (გაღიზიანებით) — ამან ხო კიდე ტვინი წაიღო თავის
მტრედებით.

ნოე — ეჰ, თამრო, არაფერი არ გესმის შენა; წავალ ერთი, მივხ
დავ. წამოდგება. სამტრედესკენ გასწევს. კარს აღებს. თვალს მი
ფარება.

მენატური — მეც წავედი, გავუყვები ჩემს გზას. (წამოდგება)

თამრო — მე ამტეხეთ და ახლა იშლებით?

მენატური — არა, არა, წავალ... დავიქანცე დღეს.

თამრო — წახვალ და წადი, რა გიყო.

მენატური — მოდი აქეთ, მოდი, გაკოცო!

თამრო — თავი დამანებე, ეგ ლოშნაც იმან გასწავლა!..

მენატური (კოცნის) — თამრო, შენ ნუ მომიკვდები, ბედნიერს გ
მხდი, შენ და ლიდა თუ კარგად იქნებით. ჩემზე ბედნიერი კაცი ა
იქნება, დაო. რაღა დამრჩენია ამ წეთისოფელში. თქვენ და ლიდ
ჩკა. ლიდა რომ გამომაცილებს, ის რად ღირს მარტო ჩემთვის. (კ
ცნის) ჩემი კეთილი და... ისევ შენ, ჩემო თამრო!

თამრო — იჰ, კარგი ერთი, ეგრე დაბრმავებული არ იყო, მე ვ
ცი, როგორც ვიფრენდი აქედან.

მენატური — ოხ, სუ, სუ, კარგი ახლა, წავედი მე; აბა, თქვენ იცი
(მიდის).

თამრო ფეხი არაფერს წამოკრა, ფრთხილად იარე!

მენატური — აიტ... (გაიმართება, მიდის. თვალს მიეფარება)

თამრო არაყს ჩამოასხამს. დაიგუბებს. სვამს. სუფრას აალაგებს. შინ შეაქვს. სამტრედედან ნოე გამოდის.

ნოე — რა ჭკვიანები არიან, წუთზე მოასწრეს ნვიმას, აგე, ro-
გორ მოიქუფრა. შენი ძმა წავიდა?

თამრო (ქოხიდან გამოდის) — წაბრძანდა.

ნოე — დღეს საით დარჩები?

თამრო — საით უნდა დავრჩე?!

ნოე — ძალიან აგვიშვი ამ ბოლო დროს ხელი, შენი დაგებული
ლოგინი მომენატრა.

თამრო — აქაც კარგად ვგრძნობ თავს.

ნოე — წამო, ქვეყნის ჭურჭელია დასარეცხი. მე და ომარა ხომ
არ დავრეცხავთ.

თამრო — თქვენი ჭურჭელი და თქვენი მტრედები... (მიდის)

ნოე — მოიცა, ერთად წავიდეთ!

თამრო — სანამ შენი ფეხით სახლამდე მიხვალ, ნახევარ საქმეს
გავაკეთებ, მართლა ფეხუცა ხარ, რა...

ნოე — მოიცა, ქალო!

*თამრო მიდის. თვალს მიეფარება. ნოე ერთხანს ქოხთან ჯახი-
როობს. სამტრედეს კარს ამოწმებს. ხვნეშა-ხვნეშით დადის. ომარა
გამოჩნდება. ნოეს მიუახლოვდება. სკამზე ჩამოჯდება.*

ომარა (პაუზის შემდეგ) — შეექეიფიანებული ჩანხარ.

ნოე — ხო... (სკამზე ჩამოჯდება) ბიძაშენი გვესტუმრა.

პაუზა.

ომარა — ქალაქში იყავი?

ნოე — ხო.

ომარა — ჩემი ძმები ნახე?

ნოე — ვნახე.

ომარა — როგორ არიან?

ნოე — ჩვეულებრივად. როგორ უნდა იყვნენ.

ომარა — მაგათ რა უჭირთ... ერთი ლამის ხელმწიფე, მეორე ი
ვეზირი... აწყობილი აქვთ საქმე.

ნოე — მოგიკითხეს.

ომარა — როცა ნახავ, ჩემგანაც მოკითხვა გადაეცი. (პაუზა) ა
მრო სად არის?

ნოე — დღეს იქით დარჩება, ცოტას მიგვილაგებს. წამოდ
ჩვენც წავიდეთ!

ომარა — დაიცა... (პაუზა) დასალევი არა გვაქვს?

ნოე — არ გინდა ახლა, ცოტა მიღებულიც გაქვს, ხომ გეტყო
მერე ჭკუას კარგავ-ხოლმე.

ომარა (ირონიულად) — მოკლედ, თავაწყვეტილი ქეიფი მიდ
ჩემს გარეშე.

ნოე — წამო, წამოდი, დედაშენი გველოდება.

ომარა (ხელს დაუჭერს. ხანმოკლე პაუზა) — ნოე, მართლა ა
მომცემ ფულს?!

ნოე — რა ფულს, ომარ, სადა გვაქვს ფული, მითხარი, მიმასნ
ვლე!

ომარა — ნაღდი საქმეა, ნოე. ის, ჩემი ბუშტების კოოპერატ
ვიც, შენი მტრედებივით იქნება. ვალად მომეცი.

ნოე — იცი რას გეტყვი, ომარ, ჯერ ეს ერთი, არა მაქვს და რომ
მქონდეს მაგ საქმეში არ მოგცემ.

ომარა — რატომ?

ნოე — გითხრა რატომ?

ომარა — ხო, მითხარი.

ნოე — იმიტომ, რომ შენი ბუშტების კოოპერატივი მაიმუნობა
მტრედი კი მარადიულია; აი, რატომ. ხვალ-ზეგ რა იქნება კაცმ
არ იცის, ასე რომ, ნურც ადარებ. წავედით ახლა, ხომ ხედავ ც
მოიქუფრა, ინვიმებს.

ომარა — *მოიცა, არც ჩემი ძმებისათვის გექნებოდა?*

ნოე — არც არავისთვის, შვილო, არა მაქვს და საიდან.

ომარა — აკი, ეკლესია უნდა შევაკეთოო.

ნოე — ეკლესიისათვის მაქვს.

ომარა — მერე, ის ფული რომ მომცე არ შეიძლება? დაგიბრუ
ნებ.

ნოე — არ შეიძლება.

ომარა — რატომ?

ნოე — იმიტომ რომ ეგრეა საჭირო.

ომარა — ეგრეა, როცა მე მჭირდება ყოველთვის ეგრეა. შენ რა,
კინალამ დამიჭირეს რუსეთში ჩემი ტირის ტყვიებით. რაც ფული
ვიშოვნე, თავის დახსნაში ჩავყარე. ახლა კიდე ეკლესია...

ნოე — იცი რატომ?

ომარა — რატომ, მაინც რატომ?..

ნოე — იმიტომ, რომ სადღაც გეჩქარება, ვიღაცას ეჯიბრები,
ფულს ნელ-ნელა უყვარს დაგროვება. მაშინ, პრარაბობა რომ გა-
დაწყვიტე, საიდან არ ჩამოყარე მუშები. გითხარი თავიდანვე, იაფ
მუშას ნუ გამოეკიდები-მეთქი, — არ დამიჯერე. იმათაც რა უნ-
დოდათ, უცხო გვარ-ტომის ხალხი იყო, შენ ჩანერას დაპირდი, სუ-
ლაც უფასოდ იმუშავებდნენ. შეიცვალა ამინდი, რამდენი დაგი-
ჯდა? რაც იშოვნე ორჯერ მეტი, არ იყო ასე? ასე იყო.

ომარა — მოიცა, მოიცა, ძველს ნუ გაიხსენებ, ისეც ნუ გამომი-
ყვან, ვითომ არაფრის მაქნისი ვიყო.

ნოე — არა, შვილო, არაფრის მაქნისი რადა ხარ, მხოლოდ უნდა
დამიჯერო ხოლმე, ეგრე ცეტად ვერაფერს იშოვნი.

ომარა — ჩათვალე, რომ დღეიდან ყველაფერს გიჯერებ, მხო-
ლოდ ახლა ნუ დამიკავებ ფულს.

ნოე — შენ კიდევ შენსას გაიძახი, არა მაქვს, შვილო, იმ დღე-
საც ხომ გითხარი, არა მაქვს; თორე, ვინ ოხერი, შენ როგორ დაგი-
კავებ, შვილი არა ხარ?!

ომარა — ჩემი ძმებისათვის ხომ გექნებოდა?

ნოე — არა, კაცო, არა, არც არავისთვის, აბა, ხომ არ გამოვჩე-
კავ?

ომარა — შენ არა, შენი მტრედები ჩეკავენ.

ნოე — კარგი ერთი, აიჩემებ რაღაცას.

ომარა — ნოე, მომისმინე! (ხანმოკლე პაუზა) როგორ გითხრა,
მე ყოველთვის უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობდი შენთან, ვიდრე
ჩემი ძმები.

ნოე (აწყვეტინებს) — რა გინდა, ომარ, ბიჭო, არა მაქვს, შვი-
ლო, არა!

ომარა — არ მინდა, არა, არ მინდა ფული, მომისმინე უბრალოდ,
მომხედე აქეთ! ერთ შეცდომას არ მპატიობ ამდენი ხანი. რა ვიყა-
ვი, თითისტოლა ბავშვი, შენ რომ აქ, ამ წყლის ჩამკეტზე შენი სა-
მტრედე ააგე. მაშინ წამომცდა — ჩვენი შიშველი მამა-მეთქი. იმა-

თაც, ჩემმა ძვირფასმა ძმებმა იმ წუთას მოგირბენინეს ამბავი. ბ
ვშვი ვიყავი და იმიტომ წამომცდა. ყველაზე უკეთ მე გიცნობ ფ
იმიტომ, ნუ ატრიალებ იქით სახეს, აქეთ მომხედე!.. მე გიცნო
ისინი კი არა, იმიტომ რომ მე გგავარ ყველაზე მეტად შვილებშ
როგორ მახსოვს ის დღე. თამრო გეჩხუბებოდა, ამ წყლის ჩამ
ტზე ნუ აგებ, რა იცი რა მოხდესო. შენ შენი გაიტანე. უცნაური სა
ჯიუტით დაიჟინე. მე კი, არ ვიცი, როდის, რა წამს ვიგრძენი, რო
შენ რაღაცის გეშინოდა, ამის ახსნა ძნელია, ნოე. ეს შეგრძნება უ
ცრად იბადება. მერე, იმ საბედისწერო სიტყვების მერე გავიაზრ
რაშიც იყო საქმე. შენ შეგეშინდა, რომ ვიღაცა შენს საჭიროებაშ
შეიტანდა ეჭვს. ეს შენი ხასიათია, ნოე. განა რამეს შველის შენ
სამტრედე, მაგრამ ასე უფრო მშვიდად იქნებოდი. ეს ვიგრძენი დ
ისე ცხადად, თითქოს ნათელხილვა იყო. მაშინ წამომცდა ძმებთან
ჩვენი შიშველი მამა-მეთქი, — იმათ კი, ჩემმა ძვირფასმა ძმებმ
იმ წუთას მოგირბენინეს ამბავი. იმიტომ, რომ შურდათ. პატარაო
ბიდანვე შურდათ ჩემი, რადგან შენ ყოველთვის მარჩევდი შვილ
ბში. ყველა ასე გეუბნებოდა — ომარა გამოხოხებული ნოეაო დ
შენც მარჩევდი, იმათ კი შურდათ. მაშინ იყო, რომ მომატყუე, განა
დამსაჯე, განა ქამრით ამაჭრელე, პირიქით, უფრო შემიამხანაგდ
უფრო გამომარჩიე; შენაო შენს ძმებზე ჭკვიანი ხარ და მე და შენ
უნდა მივხედოთ მაგათო. ასე მომატყუე. მეც, სულელი, შენთან ყო
ფნით დაბრმავებული, მხარს გიბამდი; მეამაყებოდა, რომ მათზ
შენსავით ვზრუნავდი... გაიხსენე — ის, უფროსი. ახლა რომ ლ
მის ხელმწიფეა, ვისი ნაჩალიჩარი ფულით დაამთავრა უმაღლე
სი; ვინ აჭმევდა და ასმევდა; სამსახურში რომ დაწინაურებულიყო
ფული ვინ მისცა? ვიცი, ბატონო, ყველა ვალი გადახდილია, ყველ
ლაფერში გამისწორდნენ, მაგრამ ახლა რაღა გამოვიდა, მე ისე
ის ვარ, რაც ვიყავი, — ისინი?! ერთი ლამის ხელმწიფე, მეორე იმის
ყვაბირი. მე კი ლობე-ყორეს მოდებული... გეჩქარებაო, — იძახი, —
იმიტომ მეჩქარება სნორედ, რომ სხვანაირად, დიდი ფულის გა
რეშე მე აღარაფერს წარმოვადგენ. ცხოვრებაა ასეთი, ჩემზე უკეთ
შენ იცი, რომ ასეთი ცხოვრებაა... მე უფლება არა მაქვს მოტყუე
ბული დავრჩე, შენ კი მომატყუე, შენცა და ძმებმაც. ალალი იყოს,
რაც იყო, იყო... მხოლოდ ახლა ნუ გამწირავ, მამა! გთხოვ, გემუ
დარები!.. ჩემი ბუშტებიც შენი მტრედებივით იქნება. მომისმინე,
მომხედე აქეთ; მე თუ ისევ გუნდი ავიყვანე, ჩემი დაცემა აქედან

დაიწყება. ვგრძნობ, ვიცი, ვხვდები, რომ არ შეიძლება ჩემთვის გუ
ნდის აყვანა და სპორტულ ინვენტარზე სამათხოვრო კაპიკების კე
თება. გამოვედი იმ ასაკიდან, მამა! აი, მამა დაგიძახე და ტანში
ჟრუანტელმა დამიარა. რამდენი წელია მხოლოდ ნოე ხარ ჩემთვის.
მე კი ახლა მამა მჭირდება...

ნოე — აბა, ომარ, რას მიედ-მოედები, რას იხსენებ, თუ მახსო-
ვდეს რამე, ხვალინდელი დღე არ გამითენდეს.

ომარა -გახსოვს, ყველაფერი გახსოვს, მაგრამ მაგაში არ არის
საქმე, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, გესმის, რასაც გეუბნები! ახლა
მჭირდება დახმარება, მერე აზრი არა აქვს.

ნოე (ჩაიცინებს) — აკი ფულს არა გთხოვო...

ომარა — ფულს კი არა, მამობას გთხოვ, სხვას არაფერს, ნუ და-
მლუპავ-მეთქი, ამას გთხოვ!

ნოე — კარგი ახლა, ომარ, გეყოფა, გითხარი ერთხელ, არა
მაქვს-მეთქი ფული, რამდენჯერ გაგიმეორო?!

ომარა — გაქვს, გაქვს, შენ ფულს რა გამოგილევს, გაქვს!...

ნოე — სადა მაქვს, სადა; მითხარი, მეც ეგ არ მინდა?..

ომარა — ჩემი ძმებისათვის ხომ გქონდა?

ნოე — ეს მაშინ იყო, ახლა რაღა, ორ ქორნილში თუ მოვახერხე
მისვლა, ისიც დიდი საქმეა.

ომარა — გაქვს, ნოე, გაქვს, მე რას მატყუებ, გაქვს!..

ნოე — არა-მეთქი, შვილო, არა, რით ვეღარ გაიგე, არა მაქვს.

ომარა — გაქვს!..

ნოე (წამოდგომას აპირებს) — ოხ, იძახე ახლა — გაქვს, გაქვს,
არა მაქვს-მეთქი, რით...

ომარა (მოსმინებიდან გამოსული. იგრძნო, რომ ნოე მიდის, ხე-
ლიდან ეცლება, შეანჯღრევს) — გაქვს, შე ბებერო, გაქვს!..

ნოე (ხმამაღლა) ხელი, ხელი...

ომარა (უფრო იმისთვის, რომ მისი ხმა ჩაახშოს, ყელში წაუჭერს
ხელებს) — ჩემთვის აღარა გაქვს არა, ჩემთვის არა, ჩემთვის... (ნოე
ხელებს) — ჩემთვის აღარა გაქვს არა, ჩემთვის არა, ჩემთვის... (ნოე
ხროტინებს. ომარა ხელს შეუშვებს ნოეს. მძიმედ სუნთქავს. მო-
შორებით ჩამოჯდება. ნოე თანდათან გამოდის მდგომარეობიდან.)

ნოე (წამოდგება. მძიმედ სუნთქავს. მიდის, მოტრიალდება) — წყე-
ული იქნები შენც და შენი მოდგმაც... (მიდის. მოტრიალდება) — და
შენ და შენი მოდგმა შენი ძმებისა და მათი შვილების სამსახურში
ჩადგებით... (ხანმოკლე პაუზა) როგორც ხელზე მოსამსახურე, რო-

გორც მონა...მონა, მონა... როგორც მონებს, ისე მოგექცევიან ისე
და როგორც მონები, ისე მოიქცევით თქვენ.. ასე იქნება! (მიდის)

ნოე თვალს მიეფარება. ომარა მარტო რჩება, ცოტა ხანში ლიდა მ
მოდის სცენაზე.

ლიდა (მიუახლოვდება) — Что за шум, рА ხმაური იყო?!

პაუზა. ლიდა ომარას გვერდით ჩამოჯდება.

ლიდა — თამრო სად არის?

ომარა ხელით ანიშნებს დასახლებისაკენ მიმავალ გზაზე.

ომარა (პაუზის შემდეგ) — წავიდეთ. სადმე წავიდეთ...
ლიდა — Какое жалкое лицо, рА მოხდა?
ომარა — შენ კიდე, ყველაფერი უნდა იცოდე?..
ლიდა — მე ისედაც ვიცი ყველაფერი... Поверь, настоящий бо
дель, честное слово.
ომარა — ახლა ნოემ დამწყევლა.
ლიდა (ჩაიცინებს) — Дурачок... ჩვენ ხომ ისედაც დაწყევლილებ
ვართ, в нас нет веры, понимаешь, ამიტომაც, а ты, немножк
выпивши, да?!
ომარა — წავიდეთ სადმე. (მოხედავს) თუ გინდა ახლავე წავ
დეთ, ჩვენც რომ გვაქეიფებენ, იქ წავიდეთ.
ლიდა (ხელს დაუჭერს) — Постой, угомонись, не пойду я сейчас
тобой, აი, როცა ფხიზელი მეტყვი, მაშინ წამოვალ, на трезвую го
ову, თორემ მიმაგდებ სადმე, უახლოეს სადგურზე, а пото
выкручивайся сама, а я все это видела, понимаешь, и там не Америк
на ближайшей станции... (ხანმოკლე პაუზა) თუმცა, ყველგან ერ
ხლამია ალბათ, აი, მაშინ, დედდომიდან რომ მოვდიოდი, მაშინ
ასე ვფიქრობდი. Но тогда я была моложе, იცი, როგორ არის დ
დომში?! Там у них свой план, თავისი გეგმა აქვთ, — რაღაც პროცე
ხტი რუსი უხდა იყოს, რაღაც პროცენტი ქართველი, სომეხი, თ
თარი და, и так далее... არ ვიცი ვინა ვარ სინამდვილეში. На кого
похожа? Ну, сам скажи!

ომარა (ჩაიცინებს) -На богиню!
ლიდა (იცინის) -Фу ты, развратник... (პაუზის შემდეგ) მერე ის მხა-
ტვარი შემხვდა. Он тоже так говорил, шельма... Он на такие вещи
кайфует, რომ ვერც წარმოიდგენ. აი, ჩვენი ამბავი, ჩემი და ჩემი
ქმრის, ведь он все это подстроил, მან მოაწყო თავისებურად, იქით
იმას ჩააწვეთა ყურში რაღაცა, აქეთ მე — и я, дура, ვიფიქრე —
სახლი, კარი, ведь какая-то необъяснимая надежда всегда мелькает, а
сейчас ატარე აქეთ-იქით, გააცილე და გამოაცილე... (პაუზა) ახლა
კი ხატავს. Фу, ты... а он, радуется, дурак... (ხანმოკლე პაუზა) ჩვენ
ისედაც დაწყევლილები ვართ, — без веры, без родины, да и без до-
ма практически, поэтому и тянемся друг к другу... შენ გგონია იმ დღეს,
მთვრალი რომ იყავი იმიტომ მოხდა ჩვენი ამბავი? нет, мой милый,
მართალია, პათოლოგიური სიმთვრალე გაქვს, მაგრამ შემთხვე-
ვით ჩვენი ამბავი არ მომხდარა, так что не мучай себя, пожалуйста,
(ხელს გაიწვდის) вот и покапало... (წამოდგება) ну и ладно, пошла я.
ომარა (ხელს დაუჭერს) — მოიცა, არ დამტოვო!
ლიდა — ты что, თამრო რომ მოვიდეს.
ომარა (წამოდგება) — არ მოვა... იქ დარჩება ღამე.
ლიდა — ты смотри, сейчас жуткий дождь начнется.
ომარა — წამო, წამო!..

ქოხში შედიან. წამით სცენა ნათდება. ჭექა-ქუხილი. რამოდენიმე-ჯერ მეორდება ასე.

მესამე მოქმედება

ხურათი მეხუთე.

წითელი პარასკევი.
იგივე გარემო.
თამრო გამოდის ქოხიდან. ვედროს შეუდგამს ონკანს. წყლის გავსებას ელოდება. პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი. ძაღლის ყეფამ მოაღწია. თამრო თავს აიღებს. ვილაცას (შესაძლოა აყეფებულ ძაღლს) შეუკურთხებს. ვედროს დასწვდება. ქოხში შედის.
პაუზა. შემოდის მარინე.

მარინე — თამარა დეიდა!

თამრო (შინიდან) — ჰოუ!
მარინე — დედამ, ცოტა ენდრო ხომ არა გაქვთო...
თამრო — მომიცადე!

მარინე სკამზე ჩამოჯდება.

თამრო (ქოხიდან გამოდის. ენდრო მოაქვს) — როგორ არის დაშენი?
მარინე — არ არის კარგად.
თამრო — შენ როგორა ხარ?

მარინე მხრებს იჩეჩავს. პასუხს არ სცემს.

თამრო — ის არ გამოჩენილა?

მარინე ხმას არ იღებს.

თამრო — ეგრეა, თავისას მიიღებენ და მერე შენი გასაჭირი ა ფერში ეკითხებათ. ჯიში გაწყდეს მაგათი, ჯიში... (პაუზა) მამაშ რას ამბობს?

მარინეს ემჩნევა, არ სიამოვნებს ამ თემაზე საუბარი. მხრებს ი ჩავს...

თამრო — ეგ გინდოდათ კიდე თქვენა. იქით მამაშენმა აუშვა ლი, აქეთ დედაშენი ლოგინად, შენ ძმასაც წვერი გაუბურძგნია, ს დღაც-საღღაც დაწოწიალობს, ახლა კიდე შენა...
მარინე — მე წავალ, თამარა დეიდა, მადლობთ.
თამრო — კარგად იყავი, კარგად...

მარინე მიდის. შეჩერდება, მოტრიალდება.

მარინე (თამროს მიუახლოვდება) — ეს, ეს, (ენდროს აწვდის) ა მინდა...
თამრო (წამით დაიბნევა) — ჰა...

მარინე გაცლას აპირებს.

თამრო (გონს მოდის) — მოიცადე, გოგო... რა გეწყინა ახლა, ამას დამიხედეთ, არისტოკრატკა! რა გეწყინა, შე კაი დედმამიშვილო, რაო...

მარინე შემოტრიალდება. რაღაცის თქმა უნდა. თავს ვერ აბამს საუბარს.

თამრო (მიუახლოვდება) — ხო, რა დაგემართა? რა გული შემიქანე! (ხელს ჩასჭიდებს) მოდი, დაჯექი...
მარინე (მომუჭულ ხელს დაირტყამს ფეხზე) — არ მინდა, არ მინდა, არა... (ჩამოჯდება. გული ამოუჯდება)
თამრო — მოიცა, გოგო! (საპირისპირო მხარეს, გაგრძელებულად) იიჰ... აბა, შენა ყოფილხარ! რა გეწყინა ვითომ, დამშვიდდი, გაგეცლები და დამშვიდდი; აი, მივდივარ. (შორიახლოს დადგება) აჰა, გაგეცალე!.. (ცოტა ხანში მარინე მშვიდდება. თამრო გვერდით მიუჯდება)
თამრო (ენდრო ჩაუდო კალთაში) — აჰა, ახლა დამშვიდდი, თავი მოიწესრიგე და შინ წადი...

მარინე ენდროს სკამზე დადებს.

თამრო — მოიცა, გოგო! თუ ჩემი გაუთლელობით გაწყენინე რამე, ბოდიში, ბატონო, ბოდიშიც მომიხდია, მეტი რაღა ვთქვა!

მარინეს ეცინება. ხელის მტევნებს თვალებში ამოისვამს. ისევ წასკდება სიცილი.

თამრო (ელოდა ამ რეაქციას) — პატარები რომ იყავით შენ და შენი ძმა, ეგრე გაცინებდით მაშინაც... (იღიმება)

მარინე იცინის — დროგამოშვებით, ნერვიულად...

თამრო (შეუამხანაგდება) — ხომ გახსოვს?

მარინე თავს დაუქნევს. ამოიხვნეშებს. გულს ამოაყოლებს. იცინის.

თამრო — ეგ მიზეზობაა. მაგის მეტი რა ვიცი, სამი მუტრუ
ვატარე ამ მუცლით. (ხელს ირტყამს მუცელზე) მხოლოდ მე ს
ვანაირად მქონდა, ნოეს სუნს ვერ ვიტანდი. შენ კიდევ ხან ბ
ცინება, ხან გეტირება, არა? (ენდრო ჩაუდო კალთაში) ან კი, ,
უნდა გეთქვა დედაშენისათვის; თამროს წითელ პარასკე
ენდრო არა ქონდაო?! მამაშენი ისედაც ჩარჩსა და წუწურა
მეძახის, იჰ... (წამოდგება) ახლა, სანამ ღვთის წყალობით წ
ლი მოდის, მიდი, პირი დაიბანე, დამშვიდდი და შინ წადი. (ქ
ხისკენ გაემართა, მალე გამობრუნდება. ხელში ბადურა უ
რავს) თუ ნოე ამოეთრა, უთხარი, პურზე ნავიდა-თქო. ყველ
ფერი ჩემი გასაკეთებელია, რა...გასაქვავებელი ომარაც და
კარგა. ოცი დღე არაფერი ვიცი. ესეც თუ ცხოვრებაა... (მიდ
გზაზე გოჩა და ნიკო შეეჩეხებიან. გოჩა ნიკოს მოსდევს. ნი
იცინის.)

გოჩა — გაჩე, შენი...

*თამრო ნიკოს შეჩერებას შეეცდება. ნიკო ხელიდან დაუსხლტ
ვერც გოჩას დაიჭერს.*

თამრო — რა ამბავში ხართ, ბაზარი ხომ არ გგონიათ...

გოჩა — რამდენჯერ გითხარი, ნუ იცი-მეთქი თავში წამ
რტყმა...

*მაგიდის საპირისპირო კუთხეებში დგანან. ერთმანეთის მოძრა
ბას ადევნებენ თვალყურს. ნიკო იცინის.*

თამრო — აბა, დაიკარგეთ აქედან, დაიკარგეთ-მეთქი!..

ნიკო (გოჩას არ აცილებს თვალს) — უთხარი, მომეშვას და ნ
ვალს...

თამრო — მოგეშვას, არ მოგეშვას, არ ვიცი, დაიკარგეთ-მეთქ

გოჩა (ყურადღებას არ აქცევს თამროს) — მეც წამოგარტყ
და ბარი-ბარში ვიქნებით.

თამრო (გოჩასკენ მიდის) — ეს კიდე თავისას ერეკება. ჩემმა თ
ლებმა არ დაგინახოთ აქა...

გოჩა უეცრად მოსწყდება ადგილს. ნიკო მიუხვდება. გარბიან.

თამრო — ყველაფერია სასაფლაოს გარდა, ბაზარია, ბაზარი...
თფუი, თქვენი... (თამრო ბიჭების მისამართით შეიკურთხებს. ნყე-
ვლა-წვევლით სტოვებს სცენას).

*პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.
მოედნიდან მომავალ ბილიკზე ნიკო ჩამორბის. გოჩა მოსდევს. წა-
იბორძიკებს. დავარდება. ნიკოს სიცილით სული ეხუთება.*

გოჩა (გამწარებული. ცრემლმობჯენილი) — რა გაცინებს, შე ნა-
ბიჭვარო!

*ნიკო გოჩასთან მიირბენს. მწარედ ჩაარტყამს წიხლს. ქეჩოში და-
სწვდება, ერთი-ორჯერ წაუთაქებს. გოჩა წამოდგომას ვერ ახერხებს.*

ნიკო — მე ნაბიჭვარი დაგიძახე? მიპასუხე, ნაბიჭვარი დაგიძა-
ხე?! (მოშორდება. შორიახლოს დადგება)

გოჩა (წამოხტება. ვერ ბედავს ახლოს მისვლას. გამწარებით)
— აბა, რა არის, რამდენჯერ გითხრა, ნუ იცი-მეთქი თავში წამო-
რტყმა.

ნიკო — მერე, მაგიტომ ნაბიჭვარი უნდა დამიძახო, შე მართლა
ნაბიჭვარო!..

გოჩა (ჩხუბს ვერ ბედავს) — აბა, რა არის...

ნიკო — რა, რა არის, ხუმრობა არ იცი?!

გოჩა — რა ხუმრობა, რა ხუმრობა, რამდენჯერ გითხარი, ნუ
იცი-მეთქი თავში...

ნიკო (ანყვეტინებს) — ჩუ, ახლა, არ ამანთხლიო აქა, შენი საქმე
ნახე!

გოჩა — მიდი რა, კაცო...

ნიკო — ოჰ, მიდი და მოდი, თუ გინდა.

გოჩა — მიდი რა, ბიჭო, მიდი რა... (ცრემლმომდგარი საკუთარი
უსუსურობით).

ნიკო (ეცინება. ცეცხლს უნთებს) — წამოდი, თუ გინდა კალათ-
ბურთში დაგამყნობ.

გოჩა ხმას არ იღებს.

ნიკო — სულ არა გაქვს ჰუმორის გრძნობა.
გოჩა — რა ჰუმორი, ბიჭო, რა ჰუმორი...
ნიკო — კარგი, ხო... არ ამიტირდე ახლა აქა, მოდი, თუ გინ
წამომარტყი, ოღონდ მაგრად არა, მე მაგრად არ დამირტყამ

გოჩა უნდობლად შეხედავს ნიკოს.

ნიკო — მოდი, ჰა, მე ხომ არ წამოვირტყამ თვითონ!

გოჩა მიუახლოვდება. უნდობლად შესცქერის.

ნიკო (თავს მოუშვერს) — აჰა, ოღონდ მაგრად არა.

გოჩა წამოარტყამს.

ნიკო (სწრაფი რეაქცია აქვს) — მე ეგრე წამოგარტყი? (გამ
ტებით წაუთაქებს, გაიქცევა)
გოჩა — უხ, შენი... (გამოუდგება)

მოედნისკენ გარბიან. თვალს მიეფარებიან.
პატიკო გამოჩნდება.

პატიკო (მარინეს მიუახლოვდება) — აქ რას უზიხარ?
მარინე — დედამ ენდროსათვის გამომგზავნა.
პატიკო — როგორ არის დედა? (გვერდით მოუჯდება)
მარინე — წევს.
პატიკო — მამა სად არის?
მარინე — არ ვიცი, ალბათ სამსახურში.
პატიკო — ვინ გატირა?!
მარინე — ვინ მატირა, არავინაც არ მატირა.
პატიკო (მაჯაზე მოუჭერს ხელს) — ვინ გატირა-მეთქი!
მარინე — ხელი გამიშვი, მტკივა.
პატიკო — აბა, რას გიგავს თვალები, მე რას მატყუებ.
მარინე — ჩემით ვიტირე, არ შეიძლება?

პატიკო (მოეშვება) — შენით შეიძლება. (პაუზის შემდეგ) არაფე-
რზე არ იფიქრო, გაიგე! საერთოდ არაფერზე არ იფიქრო და არ
ინერვიულო, ხომ კარგად გაიგე?..
მარინე — მე კი არა, შენ ნერვიულობ.
პატიკო -შენ ახვარ ქმარს ვიპოვნი და მოგიყვან ყურახეულს,
მართლა ხომ არ აორთქლებულა.

პაუზა. პატიკო მარინეს აკვირდება.

მარინე (პაუზის შემდეგ. მზერა იგრძნო, მოხედავს) — რა გი-
ნდა, პატიკო?!
პატიკო — მომისმინე, მარინე...
მარინე (იძაბება) — რა გინდა?
პატიკო — რატომ წავიდა შენი ქმარი, ეგეთი ბიჭები ასე, არა-
ფრის გამო არ იკარგებიან ხოლმე.
მარინე — ჩემი ქმარი აორთქლდა...
პატიკო — დაიცა, მარინე, მომისმინე, მე ყველაფერი უნდა ვი-
ცოდე...
მარინე — შენ ყველეფერი იცი, ჩემი ქმარი აორთქლდა.
პატიკო — მარინე, რაღაცას მიმალავ, მოხარშულს გიცნობ.
მარინე (ცრემლ მომდგარი) — დამანებე თავი...
პატიკო — ხო, კარგი, კარგი...
მარინე — დამანებე თავი!
პატიკო — კარგი, არ აბღავლდე ახლა აქ.

მარინეს გული ამოუჯდება.

პატიკო — ნუ ზლუქუნებ, ვერ ვიტან, ხომ იცი.

მარინე ზურგს შეაქცევს. ტირის.

პატიკო — აუ, გააბამს ახლა. (ხელს შეახებს მხარზე) მოდი, მოშ-
ხედე, (მარინე მხარს აუკრავს) რა დაგეშაართა, რა გითხარი ისე-
თი!.. ნუ ზლუქუნებ-მეთქი, გოგო! (მარინე ტირის) სუტირი და ზი-
ოპარკში წაგიყვან, ფოჩიან კამფეტებს გიყიდი, იმდენს გიყიდი
შენც გეყოს და მაიმუნებსაც... (მარინე მოხედავს. თვალცრემლი-

ანია. იცინის) აი, ზუსტად მაიმუნებთან უნდა ჩაგსვა, ძალიან ბ
ვხარ ახლა (პატიკო იცინის),

მარინე (იცინის) — მაიმუნს შენ გავხარ, სულელო!

პატიკო — ჩაიხედე სარკეში და ნახავ ვინ უფრო გავს, დაწი
ლებული ცხვირ-პირით... (იცინის)

მარინე — ფუჰ, მართლა მაიმუნი ხარ! (იცინის)

პატიკო (ხელს მოხვევს) — ყველაფერი კარგად იქნება, აი, ნ
ხავ...

მარინე (თვალებს იმშრალებს. იცინის) — თამრომ დღეს თავ
სებურად მომიბოდიშა. როგორც იცის ხოლმე... კინაღამ მოვკვ
სიცილით. (იცინის).

პატიკო — თამრომ გაწყენინა?

მარინე — არა... არა, მე თვითონ ვერა ვარ... ხომ ხედავ...

პატიკო — ყველაფერი კარგად იქნება, მხოლოდ შენ არაფერ
არ იფიქრო.

მარინე (ყურადღებას არ აქცევს პატიკოს, უფრო თავისთვის) —
რა კარგი იყო ბავშვობისას: ნოეს ჩუმჩუმად ფეხუცას რომ ვეძახდი
დავუძახებდით და გავიქცეოდით ხოლმე, თან გული გვიცემდა, ბ
შენი გულისცემა მესმოდა, შენიც და ჩემიც... მტრედებს ხელისგ
ლიდან ვაჭმევდით საკენკს, თან ვეფერებოდით, გური-გური, გურ
გური... გახსოვს? აღდგომა დღეს ოპერის მომღერალთან ერთად სა
ფლავებზე წითელ კვერცხებს ვაგორებდით... მე კაბის კალთაში მ
წყო სააღდგომო კვერცხები. შენც ისეთი სერიოზული სახით მომ
ვებოდი. მერე ჩემი კალთიდან კვერცხებს იღებდი, ოპერის მომღ
რალს აწვდიდი, ის კი საფლავებზე აგორებდა. შემდეგ აუცილებლ
გვეტყოდა — ახლა თქვენც დაგორეთ, თქვენი ხელიდან უფრო მ
უვაო... რა უცნაური გრძნობა გვქონდა, მის არიებს რომ ვუსმენდით
აი, აქ, სადაც ახლა ვსხედვართ, მაშინაც აქ ვისხედით; ვუსმენდით
რაღაც უცნაური შიშის გრძნობით ვიყავით შეპყრობილები და მ
ინც ვერ ვშორდებოდით აქაურობას. მაშინაც მესმოდა შენი გულის
ცემა, — შენიც და ჩემიც... როდის დამთავრდა ეს ყველაფერი! დედ
გახსოვს, დედა მოხატულ კვერცხებს რომ გვიღებავდა?! რამხელ
საიდუმლოს წარმოადგენდა მაშინ ჩვენთვის ის, ყვავილით მოხატუ
ლი სააღდგომო კვერცხი. აი, გავიზარდე და ყველაფერი ძალიან მ
რტივი აღმოჩნდა. მწვანილის ფოთოლი უნდა დაადო კვერცხს, თხელ
წინდაში გაახვიო, შეღებო და მოხატული კვერცხიც მზად არის. საბ

რალო დედა, ლოგინიდან წამოდგომას ძლივს ახერხებს და როდესაც
ენდროსათვის გამომგზავნა, მოხატულ კვერცხებს შეგიღებავო — მი-
თხრა. მამაც როგორ დაბერდა (დილაობით ისეთი სახე აქვს თითქოს
წინა საღამოს იხსენებსო... სკამზე ზის, ხელებში რაღაც უცნაური ულ-
ნობა ულგას, და ფიქრობს, ფიქრობს, ფიქრობს, შუბლი უნაოჭდება...
თუკი ასეთ მდგომარეობაში ნაასწარი, უცებ შეფუცხუნდება, მეჩქა-
რებაო — გეტყვის და თან, ნაცემი ძაღლივით თვალს გარიდებს. ცუ-
დია, როცა მამას ასე უჭირს, გარეთ კი გაზაფხულია) ნახე, როგორ
ჭიკჭიკებენ ჩიტები! (პაუზა. უსმენს) იცი, რა უთხრა ქრისტემ თავის
მოწაფეებს?! ნუ გეშინიათ, ბევრ ბელურაზე უკეთესნი ხართო, რა უც-
ნაურია, არა!..

პატიკო — შენ და შენი ქმარიც სახარებას მიკითხავდით.

მარინე (მოხედავს. იცინის) — თამრომ შენზე — წვერგაბურძ-
გნული დადისო...

პატიკო — მერე, რა მაგის საქმეა.

მარინე (ღიმილით) — მართლაც, რატომ დადიხარ წვერგაბურ-
ძგნული?

პატიკო (აყვება) — სტილს არ ვარღვევ.

მარინე — რა სტილს?

პატიკო (იცინის) — რევოლუციონერის... ყოველ შემთხვევაში
მამაჩემი ასე მეძახის.

მარინე — მამა... როგორ დაბერდა, არა, მამა?

პატიკო — ხო, უცებ დაბერდა.

მარინე — ამასწინათ დავინახე; სამუშაოდ დაჯდა, ფანქარი მო-
იმარჯვა, ხელი კი უკანკალებდა. მერე ფანქარი მოისროლა. (ხახ-
მოკლე პაუზა) შენ კი, სულ ეჩხუბები, რატომ ეჩხუბები?! (პატიკო
ხმას არ იღებს. მარინე აგრძელებს საუბარს) კაცები ყოველთვის
ჩხუბობენ, მე დავკვირებივარ, ერთმანეთს როცა უცინიან, მაში-
ნაც ჩხუბობენ. ალბათ ყველას პირველობა უნდა, არა?

პატიკო — მე არ მინდა პირველობა.

მარინე — აბა, რატომ ეჩხუბები?

პატიკო — არ ვიცი, თავისით ხდება.

მარინე — არა, შენ და მამას შორის თავისით არ ხდება (პაუზა)
მამა ცოდოა.

პატიკო — რომ გითხრა მამაჩემს კი არა, მამაჩემისაგან დატო-
ვებულ კომპლექსს ვეჩხუბები-მეთქი, დამიჯერებ?!

მარინე — რატომ არ უნდა დაგიჯერო. (პაუზა) მამა იტანჯ
მე ვიცი... (პაუზა) ძალიან ძნელია, პატიკო, რწმენის გარეშე. მ
რწმენას ეძებს, სასიცოცხლო ძალას ეძებს... ისევ ჩვენთვის და
ღასათვის. მამას ამ მღვრიე ზღვის ეშინია, მე ვიცი, ისევ ჩვენს გ
ეშინია. და თანაც, თანაც სულ ზღვაში დაცურავდა მთელი ცხ
რება. (ღიმება) თვითონ ასე იტყოდა, ალბათ, არა?! მამა ცოტ
ურწმუნო თომას გავს. აუცილებლად ხელით უნდა შეეხოს, რ
დარწმუნდეს. მაგრამ მე ვიცი, რომ სამყარო მხოლოდ ეს მღვრ
ზღვა არ არის. (მიხედავს. პაუზის შემდეგ) ხსნა ძალიან ახლოს
პატიკო, შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ახლოსაა ხსნა. მხოლოდ ჯ
არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

პატიკო (ირონიით) — სად, სად არის ხსნა? ამ საგიჟეთში? ხ
როდის იქნება, იცი? აი, ახლა რაც არის, ის უნდა გადმოატრიალ
კარგად დაბერტყო, ძველისა რომ არაფერი შერჩეს და ასე, გ
მოტრიალებული დატოვო. მაშინ შეიძლება რაღაცა გვეშველ

მარინე — რატომ არის საგიჟეთი?

პატიკო (იცინის) — ჩამოგითვალო რამდენი გიჟი გვყავს?!

მარინე — ჩამოთვალე.

პატიკო — ჯერ შენგან დავიწყოთ. ნორმალური ადამიანი, რ
აქ ხდება იმის შემხედვარე, ასეთ კითხვას არ დასვამდა.

მარინე — შემდეგი ვინ არის?

პატიკო — შემდეგი, რა თქმა უნდა, მე... ამ ყველაფერს რომ ვ
ტან.

მარინე — კიდე?

პატიკო — ყველა, ვისაც გინდა ხელი დაადე, ოპერის მომღერალ

მარინე (გააწყვეტინებს) — ოპერის მომღერალი გიჟი არ არ

პატიკო — აუჰ... აბა, ვინ არის?!

მარინე — გითხრა?

პატიკო — მითხარი, ძალიან მაინტერესებს.

მარინე (ხანმოკლე პაუზა) — დამცინებ.

პატიკო — არ დაგცინებ, არა, პირობას გაძლევ. ვინ არის მ
ინც?

მარინე (ხანმოკლე პაუზის შემდეგ. ჩუმად) — ხმა მღაღადე
ლისა უდაბნოში.

პატიკო — ბატონო, ბატონო?!

მარინე (უფრო ხმამაღლა) — ხმა მღაღადებლისა უდაბნოში.

პატიკო — შინა... უდაბნოსა შინა, გინდოდა გეთქვა.

მარინე — ხო, აზრი იგივეა. (ხმამაღლა) ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მაგრამ, მოდის ის, ვისაც ჩვენ, ყველამ, გზა უნდა მოვუსწოროთ. ყველა ტკივილი და ტანჯვა, რაც კი განგვიცდია, ყველა დამცირება, რასაც ასე მტკივნეულად ეგრძნობდით და ვგრძნობთ, ყველა სისხლისღვრა, რამაც ჩვენს თავზე გადაიარა, არაფერია იმ შვებასთან, რომელიც ასე ახლოსაა... ჩვენ, ჩვენი ტანჯვით მოვიპოვეთ უფლება; ახლა კი, მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, გზა მოვუსწოროთ მას, ვინც მოდის და...

პატიკო (წამოდგება) — წამო, შინ წავიდეთ! (აწყვეტინებს)

მარინე (მოხედავს) — რატომ არ დამცინი? (თვითონაც წამოდგება)

პატიკო — არ მეცინება. (ხელს ჩაავლებს მაჯაში. მიჰყავს)

მარინე (თითქმის ტირილით) — რატომ არ დამცინი, მიპასუხე, რატომ არ დამცინი...

პატიკო (მიჰყავს) — ხა, ხა, ხა... დაგცინე, წამო!

მარინე — შენ გგონია კარგად ვერა ვარ? მითხარი, ასე გგონია?!

პატიკო — ხო, ასე მგონია.

მარინე — რატომ არ დამცინი, მიპასუხე, რატომ არ დამცინი!

პატიკო — არ მეცინება-მეთქი!

მარინე — რახან არ დამცინი, ესე იგი, მართლა გგონია, რომ კარგად ვერა ვარ. მაგრამ შენ ნახავ, შენ ყველაფერს შენი თვალით ნახავ... მიპასუხე, რატომ არ დამცინი, შენ ახლა უნდა დაგეცინა...

პატიკო — ხომ დაგცინე. წამოდი-მეთქი! (გაჰყავს)

სანამ პატიკო და მარინე თვალს მიეფარებიან, ისმის მანქანის მუხრუჭების ხმა. მალე ომარა შემოვა სცენაზე.

ომარა (მათი მიმართულებით) — პატიკო! მარინე! (იცინის. ხელს დაუქნევს. შორიდან ესალმება. მუცელს გამობერავს. იცინის. ემშვიდობება). (ქოხისკენ) თამრო! თამრო! (პასუხი არ არის. ომარა ქოხში შედის).

პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი. ლიდა გამოჩნდება. ქოხის წინ, სკამზე ჩამოჯდება. მალე ომარაც გამოვა ქოხიდან. ილუკმება. ლიდას მიუახლოვდება. იღიმება.

ლიდა — გაუმარჯოს დაკარგულს! (ომარას ხელს თავს მოარ
დებს).

ომარა — წამო, სანამ თამრო მოსულა...

ლიდა (თავს გადააქნევს) — Ты посмотри на него, გამარჯო
არ იცი?

ომარა — გაგიმარჯოს, წამო სანამ თამრო მოსულა...

ლიდა — Какие мы страстные, ты посмотри, უცებ-უცებ გინდ
არა? (ბრანწს აჩვენებს) вот это видишь?

ომარა — არ გინდა, ნუ გინდა...

ლიდა -Ты мне, пожалуйста, голову не морочь, не таких видел
პირდაპირ მითხარი, წაგიყვან, წაგიყვანო — ყურები, რომ გამ
მიჭედე, где зегулял, ჰა?

ომარა (აწყვეტინებს) — მოიცა, როგორ ფიქრობ, რისთვის დ
ვბრუნდი, მაშინ რომ წავსულიყავით, ან ფული არ გვინდოდა,
თავშესაფარი? ამაზე რატომ არ ფიქრობ.

ლიდა — Я уже сказала, не морочь голову, я весь этот борделье
насквозь вижу, и на тебя найдется управа, კარგად დაიმახსოვრ
(მუჭს აჩვენებს) აი, აქ მყავხარ, აი! აქეთ მომხედე, რომ დაბრუნდ
რა ამბავი ჩამოიტანე?

ომარა — მივდივართ.

ლიდა — Ух ты... სად მივდივართ? Если не секрет.

ომარა — რუსეთში.

ლიდა — Нет, я засмеюсь, ей богу, რუსეთი დიდია, მაინც სად?

ომარა — ღრმა რუსეთში, გენაცვალე, ღრმა რუსეთში.

ლიდა — А, нельзя более уточнить.

ომარა — მაგას ადგილზე გაიგებ.

ლიდა — Я просто любуюсь, честное слово, племяничек, ч
надо... მომისმინე, მე ბიძაშენის აქეთ-იქით სეირნობის თავი აღარ
მაქვს. Жизнь идет, и я не намерена больше ждать, დღეს ამობრძან
დები ჩემთან, я тебя там объясню весь этот бордель, და მერე, რ
გორც გინდა ისე მოიქეცი, გაიგე?!

ომარა (შემოსასვლელისაკენ იცქირება) — აბა, მოუსვი, თამრ
მოდის...

ლიდა — ხომ კარგად გაიგე?!

ომარა (შემოსასვლელისაკენ იცქირება) — მოვალ; აბა, სად წ
ვალ! მიდი, მიდი, სერიოზული საქმეა, თქვენი ჩხუბის თავი არ

მაქვს. დაიცა, (ჯიბიდან ოქროს ძეწკვს ამოიღებს. გადაუგდებს) აჰა,
შენ ჩამოგიტანე.

ლიდა (ძეწკვს დაიჭერს, უკან გადმოუგდებს) — იქ როცა მო-
ხვალ, მაშინ მომეცი. До скорого, племяничек! (მიდის)

ომარა ძეწკვს ჯიბეში ჩაიდებს. ქოხში შევა.
თამრო გამოჩნდება. ბადურას მაგიდაზე შემოდებს. პურს მოტეხავს.

თამრო — ამის მტრედები დააპურე კიდე. ჭირი თქვენა, ჭირი!
გური-გური, გური... (დანამცეცებულ პურს აპნევს სამტრედე-
სთან). მოეთრიეთ, თქვე ერთ დღეს დასაწყვეტებო! გური... გური
და მიწა ჭამეთ თქვენა, მიწა...

ბადურას დასწვდება. ქოხში შევა.
პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.
ძაღლის ყეფამ მოაღწია.
ქოხიდან ომარა გამოვარდება. თამროც გამოყვება. ჯოხი უჭირავს.

თამრო (გაცხარებული) — აბა, დამეკარგე აქედან!

ომარა — თამრო, ნაღდი საქმეა, მომისმინე...

თამრო — დამეკარგე-მეთქი!

ომარა — მომისმინე ქალო, მანქანითა ვარ, წამოდი და თვითონ
ნახე.

თამრო — სადა მაქვს მაგის ფული, შენი ბუშტების კოოპერა-
ტივში ვყარო. პატარა აღარა ხარ, ხადი და იძოვნე თუ ასე ძალიან
გინდა. მთელი თვე დაიკარგა, მობრძანდა, გამარჯობაც არ მითხრა
და ფულიო... წადი, დაიკარგე აქედან, ეგეთი არც შვილი მინდა და
არც არაფერი...

ომარა — ფულს არა გთხოვ, ფული კი არა, წამოდი-მეთქი, ნა-
ხე, გამოცდილი ქალი ხარ, რამეს მირჩევ. ადგილს განახებ უბრა-
ლოდ, რა გითხარი სხვა?!

თამრო — მუცელში უნდა გამწყალებოდი შენა. მობრძანდა ვა-
ჟბატონი, პატივი დამდო, შენობა უნდა მანახოს... შენგან ხეირი არ
იქნება, არა, ხამი ხარ, ხამი... ყველაფერზე ხამი ხარ...

ომარა — თამრო!

თამრო — არა მაქვს-მეთქი ფული, რამდენჯერ გითხრა.

Scanned with CamScanner

ომარა — არ მინდა ფული, არა, წამოდი, ნახე და მორჩა!
თამრო — სადა გყავს მანქანა?
ომარა — ძველ გზასთან.
თამრო — ჩაბრძანდი, მოვალ ახლა. (ქოხისკენ მიდის. გზად) ... ცელში უნდა გამწყალებოდი! გამოცხადდა ვაუბატონი... (ქოხში ... დის)

ომარა სიგარეტს მოუკიდებს. გოჩა და ნიკო გამოჩნდებიან.

ომარა — როგორა ხართ, არწივებო!
ნიკო — გამარჯობა.
ომარა — რას შვრებით, რომელმა მოიგო?
ნიკო — ვინ მოიგებდა... (გოჩას მიმართავს) მიდი, ბიჭო, სიგა... რეტი იყიდე!
გოჩა — დაიცა, სული მომათქმევინე!
ნიკო (ომარას) — შენ სად იყავი, იმ დღეს მოვედით დარბაზში...
ომარა — სიმფეროპოლში. (ნიკო უხმოდ შესცქერის) საზონათ... შორისოს გარეშე შეიძლება თურმე სიმფეროპოლში წასვლა. მა... ჯა ხომ არ გაგიუხეშდა, გამთამაშებელი მინდა კარგი.
ნიკო — რა ვიცი, მაქვს რა... (გოჩას) მიდი, ბიჭო, სიგარეტი იყი... დე! თამრო, გოჩას სიგარეტი მიეცი!
თამრო (ქოხიდან) — რამდენი?
გოჩა (ქოხს მიუახლოვდება) — ერთი, ერთი...

თამრო გამოვა ქოხიდან, სიგარეტს აძლევს გოჩას. ფულს გამო... რთმევს.

ნიკო (აშკარა ირონიით) — სიმფეროპოლში თუ მოვიგეთ?
ომარა (სერიოზულად) — მე მგონი, მერე ფინეთშიც, არ ვიცი... ზუსტად...
ნიკო — ჰელსინკში?
ომარა (იცინის) — მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ფი... ნეთში წავიდეთ და... (თამრო მიუახლოვდება) ახლა ძალიან მეჩ... ქარება, გნახავთ მალე, ჩამოვედი უკვე.
ნიკო — კარგად იყავი.

თამრო (ნიკოს) — აქ არაფერი დაამტვრიოთ, გაიგე, ბაზარი ნუ გგონიათ აქა! (თამრო და ომარა გადიან)
ნიკო (თვალს გააყოლებს) — ეს რა მაზალო ვინმეა, თვალსაც არ ახამხამებს...
გოჩა — წამოდი, ჩვენს ადგილას დავჯდეთ, დაიწყებს ალბათ...
ნიკო — აუ, ეს ვინ არის!..
გოჩა — წამო რა, სამი ხდება.
ნიკო (ხელს აუქნევს) — დამანებე თავი. ყელში ამოვიდა.
გოჩა — წუთი-წუთზე დაიწყება.
ნიკო — ოჰ, მომეშვი! არა, ეს ვინ არის, მაგარია, ძმაო...
გოჩა — მაშინ, კინოში წავიდეთ.
ნიკო — ფული?!
გოჩა — საიდან, სიგარეტი ვიყიდე.
ნიკო — არც მე არა მაქვს. წამო, იქნება მამაჩემს მოტოციკლეტი გამოვტყუო, ხალხიც გროვდება, ქალაქში გავიდეთ.
გოჩა — აუ, წამო რა...

მიდიან.
მარინე შემოდის სცენაზე. სკამზე ჩამოჯდება. ისმის ოპერის მომღერლის ხმა. რამოდენიმეჯერ მეორდება ასე. მარინე უსმენს.

სურათი მეექვსე

დიდი შაბათი.
ქოხის წინ სკამზე ნოე ზის.

ნოე — თამრო!
თამრო (ქოხიდან) — ჰოუ!
ნოე (ხმამაღლა) — რაო მერე, ის შენობა რომ განახა, რა მინდაო!

თამრო (ქოხიდან გამოდის. ნოეს მიუახლოვდება) — არ იცი, რაც უნდა?
ნოე — შენობა დამთავრებულია? (ცალ საქმიანობს. შიბაქს გასაპრიალებელს უსვამს)

თამრო — რა ვიცი, რაღაც მიწის ნაგლეჯი მოუზომიათ, სან
ვროდ კედლებიც ამოუყვანიათ, ცეხიაო, იძახიან. (კიდევ უ
ახლოს მიდის) ნოე, იქნება მართლა მისცე ფული, გზა ნახოს ბ

ნოე — მაგას არაფერი ეშველება.

თამრო — რატომ ვითომ, უსაშველო რა სჭირს?

ნოე — იმიტომ, რომ მოგატყუა... ჩემსას მე არ ვიცნობ? (
ნის)

თამრო — რა მომატყუა, კაცო, ადგილზე ვიყავი.

ნოე — ადგილის მეტი რა არის, აგე, სულ ეგეთი ადგილებით
არის გატენილი აქაურობა? ნახავდა სადმე ახალ მშენებლობას
იქ მიგიყვანდა, გაუჭირდებოდა თუ რა...

თამრო (პაუზის შემდეგ) — ვითომ...

ნოე (იცინის) — ეგრე არ დავბრმავებულვარ, მაგან რამე მ
ტყუოს. ყველაზე მეტად მე გგავარ შვილებშიო, გაიძახის. მ
რომ ტვინი აქვს, იმხელა სამი წლის ასაკში მქონდა. ძმებისა შ
ძმებისა, ეგ დაღუპავს მაგას. აი, ვინა მგვანან. ისინი მართლა
მები არიან. ეს კი, რა ვიცი. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) ვისია,
ლო, შენ უკეთ გეცოდინება!

თამრო (ქოხისკენ მიდის) — მეზობლისა.

ნოე (იცინის) — ძლივს არ გამოტყდი, მეზობელი ვინა გვყ
ეგეთი, რომ არა გვყავს?

თამრო — თავი დამანებე, თქვენი არეული თავის ამბავი მე
ვიცი...

ნოე — ხოდა, რომ არ იცი, ჩემს ფულებს ეგრე, სიტყვაზე ნუ ა
გებ!

თამრო — რა ფული გავეცი შენი, მითხარი ერთი...

ნოე — არ დაპირდი, მამაშენს მოველაპარაკებიო. გულზე ხ
დაიდე და მითხარი, არ დაპირდი?! ხომ შეგაცდინა მაინც! (ი
ნის)

თამრო (გაცხარდება) — დამანებე-მეთქი თავი, შარზე ხარ შ
(ქოხში შედის)

ნოე (თან საქმიანობს) — კი, კი, დაპირდი. (იცინის) ის დღე ა
დე შორს არის, თქვენ რომ მე რამეს გამომაპარებთ... ყველა ჩ
შექმნილი არა ხართ?!

პაუზა. ნოე საქმიანობს.

ოპერის მომღერალი ქალი გამოჩნდება. ნოეს მიუახლოვდება.

ოპერის მომღერალი — გამარჯობა, ნოე.

ნოე (თვალს არიდებს) — გაგიმარჯოს.

ოპერის მომღერალი შორიახლოს ჩამოჯდება.

ნოე (ისევ საქმიანობს. თან ესაუბრება) — სად იყავი?

ოპერის მომღერალი — ოსტატთან ვიყავი... ხვალისთვის აუცი-
ლებლად იქნებაო, შემპირდა.

ნოე — რა იქნება?

ოპერის მომღერალი 7— პატეფონი.

ნოე — კიდევ ცოცხალია შენი პატეფონი?

ოპერის მომღერალი — ჰა? ხო, ცოცხალია.

ნოე — რა ქალი ხარ, ვერ გამიგია, შეიძლება შენი ქუჩაში გა-
სვლა?! მანქანები დაქრიან, რამე რომ მოგივიდეს ისევ ჩვენი სირ-
ცხვილია (პაუზა) რაღად გინდა შენი პატეფონი?

ოპერის მომღერალი — აუცილებლად მინდა.

ნოე (პაუზის შემდეგ) — მეც საქმეები მაქვს ხვალ, მასალაზე
ვარ დაბარებული, შევუდგები ნელ-ნელა ამოზიდვას, მერე ისე კო-
ხტად შევაკეთებთ ჩვენს ეკლესიას, რომ ახალივით იქნება.

ოპერის მომღერალი — წყლის მილი არ გამსკდარა ჯერ?

ნოე (ჩაიცინებს) — ღმერთმა დაგვიფაროს, თამროს ლანძღვა
მაკლია კიდე.

პაუზა.

ოპერის მომღერალი — დაძველდა ყველაფერი...

ნოე (საქმიანობს) — ჰა?

ოპერის მომღერალი — ყველაფერი დაძველდა.

ნოე — დაძველდა კი არა, ჩვენ დავბერდით. (საქმიანობს) რა
დრო იყო, (ხელებს გაშლის) აი, ასე მივდიოდი, მტრედებით ვიყავი
დახუნძლული, როგორც საახალწლო ნაძვის ხე, ეგრე ვიყავი. ეჰ,
სიბერე, სიბერე, ახლა ორ ქორწილში თუ მოვახერხე მისვლა, ისიც
საქმეა.

პაუზა.

ოპერის მომღერალი — ხვალ აღდგომაა...

ნოე (თავაუღებლად) — ერთი მაგის ეშმაკი გამხადა, როდ
ასნრებ საააღდგომო კვერცხების დაგორებას საფლავებზე. ხვალ
ეგრე აპირებ დილაუთენია აღგომას?

ოპერის მომღერალი (თავისთვის) — ჩიტები მაინც ჭიკჭიკებ

ნოე — ჰა...

ოპერის მომღერალი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) — წყლის მიდ
არ გამსკდარა?

ნოე — კარგი, კაცო, თვალი არ ეცეს, თამროს ლანძღვა მაკლ

ოპერის მომღერალი (წამოდგება. პაუზის შემდეგ) ხვალ მე ა
ლიდან დავიბადები.

ნოე (თავაუღებლად) — ხვალ ხსნილია, ძველი ჯანი მომცა, ვინ
სიბერე მოიგონა...

ოპერის მომღერალი — კარგად იყავი, ნოე.

ნოე (თავაუღებლად) — კარგად გნახე, თუ რამე დაგჭირდეს ა
მომერიდო.

ოპერის მომღერალი მიდის. თამრო გამოდის ქოხიდან.

თამრო — რაო, რა მინდაო?

ნოე პასუხს არ სცემს.

თამრო (ოპერის მომღერალის მისამართით) — წავა ახლა, ყელ
მოიღერებს და წავიდა, გაშლის ფრთებს... აღარ არის მოსვენებ
ბაზარია რა...

ნოე — პური მოიტანე, მტრედებს დავაპურებ.

თამრო — მიბრძანდი და გამოიტანე.

ნოე — მიდი, ქალო, გაიგონე ერთხელ რასაც გეტყვი!

თამრო — იიჰ... (ქოხისკენ გასწევს)

ნოე (თავისთვის) — ოღონდ ალანძღვიე ვინმე, სხვა არაფერ
უნდა...

თამრო (ქოხიდან გამოდის) — აჰა, ჩახეთქე! (მაგიდაზე დაუდებ
პურის ნაჭერს, ისევ ქოხში შებრუნდება)

*ნოე წამოდგება. პურს ანამცეცებს. სამტრედესკენ გასწევს. თა-
ვისებურად უსტვენს. მტრედებს უხმობს. გური... გური... გური... (უ-
სტვენს) სამტრედეს უკანგავა. თვალს მიეფარება. პაუზას დროდადრო
არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.*

*მენატურე კაცი და ლიდა შემოდიან სცენაზე. ლიდა წინ უსწრებს
ქმარს.*

მენატურე — ლიდა, ლიდოჩკა!

ლიდა — Чего тебе?!

მენატურე — მოიცა, ცოტა მუხლი შევასვენო.

ლიდა — შენს დასთან შეასვენე.

მენატურე — ლიდა!

ლიდა — Да ну тебя... (მიდის)

*მენატურე კაცი სკამზე ჩამოჯდება.
ცოტა ხანში ნიკო და გოჩა შემოდიან.*

ნიკო (მენატურეს) — ქრისტე აღსდგა.

მენატურე (იბნევა) — ჭეშმარიტად!

ნიკო (იცინის) — აჰა, მიდი ახლა! (გოჩას)

გოჩა — დღეს რა დღეა?

მენატურე — შაბათი.

გოჩა (ნიკოს) — მე კი არა, შენ მიდი!

ნიკო — ბიჭო, ამან რა იცის, შაბათია?

მენატურე — კი, შაბათია, აღდგომა ხვალ არის.

ნიკო — მე დღეს მეგონა.

გოჩა (ნიკოს) — მიდი-მეთქი, მიდი!..

ნიკო — რა გინდა, ერთი ხომ გქონდა წაგებული, ბარი-ბარში,
მორჩა!

გოჩა — შენ, შენი წაგებული იყიდე, და მეც ვიყიდი.

ნიკო — გინდა, მაინცდამაინც მე მაყიდინო?

გოჩა — რა შენი საქმეა, მიდი...

ნიკო (ხელს აიქნევს) — ეე, (პაუზის შემდეგ) ნახე, შენი სახლი
მოჩანს აქედან.

გოჩა — სადა?

ნიკო — აი, ცოტა ქვემოთ, აქეთ მოდი!

გოჩა ნიკოს მიუახლოვდება, ნიკო თავში წაუთაქეს. გაიქცა

გოჩა — უხ, შენი... (გამოუდგება)

თვალს მიეფარებიან.
ნოე გამოჩნდება.

ნოე (გვერდით მიუჯდება) — გაუმარჯოს!
მენატურე — გაგიმარჯოს, ნოე.
ნოე — რა იყო, რაღაც უხასიათოდ ჩანხარ... რა დაგემართა?
მენატურე — ვერა ვარ კარგად. (პაუზა) თვითონაც არ ვიცი, რ
ღაცა გამოშიგნულივითა ვარ, თამრო სად არის?
ნოე — შინაა, დავუძახო?
მენატურე — არა, არა, იყოს. შენ როგორა ხარ?
ნოე — რა ვიცი, ქორწინების სახლში მისამართი მომცეს, იქ
ნდა წავიდე, ტყუილადა ვარ მაინც.
მენატურე — თუ იცი, ტრანსპორტი მოძრაობს?
ნოე — წესით უნდა იმოძრაოს, ისეთი არაფერი ჩანს აქედან.
მენატურე (წამოდგება) — ეჰ, წავალ ჩემს მხატვართან, დამ
ვიანდა ისედაც.
ნოე — საღამოს გამოგვიარე.
მენატურე — მადლობთ, ნოე, თუ შევძელი... (მიდის)

ნოე ისევ შიბაქს მიუბრუნდება, აპრიალებს.
თამრო გამოდის ქოხიდან.

თამრო (გვერდით მიუჯდება) — ვითომ მართლა მომატყუა? (ნ
ჩაიცინებს) მომხედე, კაცო, მართლა მომატყუა?
ნოე — არა, არ მოუტყუებიხარ, მიეცი ფული...
თამრო — სადა მაქვს ფული, ფული შენ უნდა მისცე, მამა ხა
ნოე — აკი, მეზობლისა არისო...
თამრო — ხმა ჩაიგდე, მეზობლისა, შენსავით ფეხუცა არ გამ
ვიდა, თორე, სხვა, რა ოხერიც შენა ხარ, ის ოხერია ისიც.
ნოე — ამ ფეხუცობამ მე კი სიცოცხლე მაჩუქა და... ვისზე ნა
ლები ბიჭი ვიყავი, ფეხი თუ მოკლე მქონდა, ჰა, თამრო! (მხარს გ
კრავს, იცინის)

თამრო — მინა ჭამე შენა!
ნოე (თავაუღებლად) — ეჰ, თამრო, თამრო, რა იქნება უკვდავე-
ბის წამალი გამაგებინა, აი, ზღაპრებში რომ არის, უკვდავების ხე...
ეგეთი რამე მართლაც რომ იყოს, რა იქნებოდა! საამოა ეს ოხერი
სიცოცხლე; ოხ, რა საამოა... შენ კი, ოღონდ ვინმე წყევლო და
ლანძღო, სხვა არა გინდა-რა, ბედნიერი ქალი ხარ, შენ ნუ მომიკვ-
დები, არაფერზე შენ არ ფიქრობ...
თამრო — ბოდიში, ბოდიში მომიხდია! (წამოდგება) თქვენ ხომ
გადმოგდით ტვინი. ერთმანეთის მოტყუებაში ათენ-აღამებთ, ეგ
არის თქვენი ტვინიცა. (მიდის) ყველა ხუმარა და ოხუნჯი ერთად
შეიყარენით, არკი მეცინება თქვენს ოხუნჯობაზე.
ნოე — მოდი, ქალო, მოდი, ცოტა თავი შევიქციოთ!

თამრო ქოხში შედის.
ლიდა გამოჩნდება.

ლიდა — ნოე, წყლის მილი გასკდა! (მშვიდად ამბობს)
ნოე — ჰა...
ლიდა — მილი გასკდა, მილი...
ნოე (ფართხაფურთხით) — დიდი ხანია?
ლიდა — არა, ცოტაზე მოდის.

ნოე სამტრედესკენ გაეშურება. გზადაგზა ჯიბეებს იქექავს. გასა-
ღებს ეძებს. თამრო გამოდის ქოხიდან.

თამრო — რა არის, რა ამბავია?
ლიდა — მილი გასკდა.
თამრო — კიდე, კაცო, კიდე, შენი პატრონი დედა, შენი... ჰა, შენ არ
გაგითენდეს ხვალინდელი დღე, შე პიანიცა მაიმუნო. გაგიგია, კაცო,
ერთი თვის მანძილზე სამჯერ გასკდა, სამჯერ. ესეც თუ ცხოვრებაა...
(ვედროსათვის შევარდება ქოხში. გამოიტანს, ონკანს შეუდგამს)
ნოე — გასაღები რა იქნა, ქალო! (ჯიბეებს იტრიალებს)
თამრო — მე რა ვიცი შენი გასაღები.
ნოე — ამ შარვალს, აბა, ვინ აუთოვებს?!
თამრო — რა ვიცი, კაცო, არაფერიც არ იყო, ერთი სამმანეთი-
ანი გეგდო და ცხვირსახოცი, გასაღები არა ყოფილა იქა...

ნოე — შენი... (კბილებში ცრის)

თამრო — რა გინდა, რას მომჩერებიხარ, რაც იყო გითხარი, ტი რაღა ვქნა!

ნოე (ქოხისკენ მიდის) — ერთი სათადარიგო გასაღებიღა მრჩა, ისიც, რომ დაიკარგოს ერთ დღეს არ გაცოცხლებ!

თამრო — ბოდიში, ბოდიში მომიხდია! რა ძალა გედგა აქ რ აშენებდი მაგ სამტრედეს. ეგეც ჩემი ბრალია?! რამდენი გეჩხ მაშინაც, არა და არაო, ვერ შევიდა შენ ტვინში, აქეთ მაგინებს დე...

ნოე (ქოხიდან გამოდის) — ხმა ჩაიწყვიტე, ნუ წიკვინებ მან

თამრო — მე ვწიკვინებ არა, მე...

ნოე (მკაცრად) — ხმა... (სამტრედეს კარს აღებს. შედის)

თამრო — იჰ... (ლიდას მიუტრიალდება) შენც რას უყურებ, რეკე, იქნებ იქ ეგდოს ის პიანიცა.

ლიდა — Меня этот бордель уже не интересует, კარგად იყავი.

თამრო — რაო, რაო?!

ლიდა პასუხს არ სცემს. ბილიკს დაადგება. სცენიდან გადის.

თამრო (ხმამაღლა) — მიწა ჭამე, შენა, მიწა, გაიგე! მიწა ჭამ

ნოე გამოდის სამტრედედან.

თამრო — შენა კიდე, ამ ვედროს გავსება მაინც გეცლია!

ნოე — სად უნდა დამკარგვოდა, მართლა არ იყო ჯიბეში?

თამრო — არ იყო-მეთქი, არა, რით ველარ გაიგე! (ვედროს დ წვდება) აღდგომა დღესაც მათრევინეთ წყალი, თქვენ რა, ესეც ცხოვრებაა, ბაზარია რა... (ქოხში შედის)

ნოე სკამზე ჩამოჯდება. თამრო ქოხიდან გამოდის. ფეხსაცმელ გამოუცვლია. თმა ნაუცბათევად შეუსწორებია.

ნოე — სად მიდიხარ?

თამრო — ვერ აეუსრულე სიტყვა იმ პიანიცას, აქ უნდა ამოე თრიო, ძაღლივით უნდა დავაბა — ძაღლივით. (მიდის) დადის ახ თვალდაცეცებული, თუ ქუჩაში არ გდია სადმე... (გადის)

ნოე ერთხანს ასე ზის. რაღაცას ფიქრობს, იხსენებს, წამოდგება.

ნოე (სამტრედესკენ დაიძრება) — გურ-გური... (უსტვენს) გური, გური... (სამტრედეს უკან გადის. თვალს მიეფარება)

პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი. გიორგი გამოჩნდება. ქოხის წინ, სკამზე ჩამოჯდება.

გიორგი (პაუზის შემდეგ) — აუჰ, იმ ერთმა როგორი თავის გაგიჟება იცის... რაო, ჩიტო, ახალს რას მეტყვი! ვისთვის ჭიკჭიკებ, ბოლოს და ბოლოს, არ მეტყვი? (პაუზა) ჩემი პატიკოსათვის ჭიკჭიკებ, თუ ჩემი მარინესათვის! იცი რა თვალები აქვს მარინეს? ერთხელ, მეგობარმა... თუმცა, ხომ მოგიყევი უკვე. (პაუზა). მე კი მოგიყევი, მაგრამ შენ პასუხი არ გაგიცია? შენ საერთოდ არაფერზე არ გაგიცია პასუხი. მოვიდა გაზაფხული, შენც აჭიკჭიკდი, ეს არის და ეს... (პაუზა) ნოე! ნოე, შე ფეხუცა! რაო, კოშმარები არ გაწუხებენ! არა? ღამე ჯოჯოები, რამე, ეშმაკის მოციქულები არ გეცხადებიან?! თუმცა, შენ ყველასთან ნახავ საერთო ენას, შე ძველო. ძალიან ძველი ხარ, შენი ასაკი რომ გითხრა, არც დამიჯერებ, ისეთი ძველი ხარ. ამიტომაც ამოგირჩია ეშმაკმა. მოაწყო წარღვნა და ნოე ნომერ ორად გამოგაცხადა, შე ლოკოკინა. პირველი რანგის კაპიტანი ხარ, მხოლოდ ხომალდი დაგიძველდა ცოტა. ხანდახან წყალი ეპარება; აი, თუ არ ეპარება... (ფეხსაცმელებზე დაიხედავს) არა, პირველი რანგის კაპიტანი კი არა, ადმირალი ხარ, (იცინის) ადმირალი ნოე, ბორტმექანიკოსი ქვია, თუ მესაჭე, ხო, მესაჭე თამრო. (იცინის) აბა, შენ იცი, თამრო, არ შეარცხვინო ადმირალი!

ნოე გამოჩნდება. უბეში მტრედი ყავს.

ნოე — რა გინდა, გიო?!

გიორგი (პაუზის შემდეგ. არ ელოდა) ამას ვის ვხედავ, თვითონ ადმირალი. ისე ძალიან მინდოდა შენთან საუბარი, მობრძანდი რა, მობრძანდი!

ნოე — წადი, გიო, გამოიძინე, შენთვის არა მცალია!

გიორგი — რატომ არა გცალია, მერე? ნოე, არ გეკადრება, კაპიტანი ბოლოს ტოვებს ხომალდს, ხომ იცი.

ნოე — კარგად იყავი. (მიდის)

გიორგი (წამოდგება. სწრაფი ნაბიჯით წამოეწევა. ხელს ჩ
ვლებს) — მოდი, კაცო, მოდი, იმ ქორწილში რაც უფრო გვიან
ხვალ, უფრო მეტს ფულს გაჩუქებენ. (თავისკენ ეწევა).

ნოე — ხელი გამიშვი...

გიორგი — მოდი, მოდი, დამიჯერე, მეტ ფულს გაჩუქებენ.

ნოე — ხელი გამიშვი და მოვალ.

გიორგი (ხელს გაუშვებს) — აჰა.

ნოე (ხვნეშა-ხვნეშით) — მოდი, რა გინდა ერთი, მითხარი! (ს
მისკენ გასწევს)

გიორგი (ხელებს მოისრისავს) — ესეც ასე, ძლივს არ შეგხვ
დაჯექი, დაჯექი! (ნოე ჩამოჯდება. გიორგიც გვერდით მიუჯდ
ბა) ახლა, გულზე ხელი დაიდე და ისე მიპასუხე, ღამ-ღამობით
უმარაბი არ გაწუხებენ? ჯოჯოები, რამე...

ნოე — მე რად უნდა შემაწუხონ, ვისაც გარიაჩკა აქვს იმას შ
წუხებენ.

გიორგი — აჰა, ესე იგი მე... კარგია, ჩაგეთვალა. აი, მამაჩ
სულს გეფიცები, ხომ იცი, ვისზეც ვამბობ, არა? აი, იმ მამაჩ
სულს გეფიცები, საფლავიც რომ არ ვიცი სადა აქვს, ჩაგეთვალ

ნოე — რა გინდა, გიო? ხედავ გზაზე ვდგავარ. დალევ ორ ჭიქ
და ჩემი ომარასი არ იყოს, ტვინი გერევა. მიდი, გენაცვალე, ცო
შვილს მიხედე, ყველაზე უკეთესი ეგ იქნება!

გიორგი — ჩემს ცოლ-შვილს შენ თავი დაანებე და ეგ მტრ
მათხოვე. (ხელს გაიწვდის ნოეს უბისაკენ)

ნოე (უბეს იფარავს) — რატომ უნდა გათხოვო?

გიორგი — მათხოვე, მათხოვე...

ნოე — რატომ უნდა გათხოვო, კაცო?!

გიორგი — მათხოვე-მეთქი, ერთი წუთით...

ნოე — რატომ, კაცო!

გიორგი (ხმამაღლა) — იმიტომ, რომ თარსია! რა გინდოდა, ر
მოეთრეოდი ჩემი გოგოს ქორწილში; შენ ჯანდაბას, ეგ მტრ
რას მომითრიე...

ნოე — რა გინდა, კაცო, რას გადამეკიდე; მეგონა პატივს ვცე
მეთქი, ავიღე ფული ვინმესგან? არ ამიღია. როგორც ქორწილ
წესი იყო, ისე გავაკეთე, რას მემართლები, ვერ გამიგია!

გიორგი — აჰა, ქორწილის წესია, არა?

ნოე — ხო... ქორწილის წესია.

გიორგი — რა გაიძვერა ვინმე ხარ, ვინც არ გიცნობს.

ნოე (წამოდგება. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს) — ეჰ, მეც რას
ვუზივარ აქა, წავიდე, საქმე ვნახო.

გიორგი — შენი საქმე ეს არის, აი... (ვითომ წერს) წრრ... წრ...
პირდაპირ ეშმაკთან, მდივნის გარეშე, აი, შენი საქმე.

ნოე (მოუტრიალდება. გაღიზიანებული) — რა დაგემართა, შე-
ნა, ადრე რაღაც ეგეთი არ მახსოვხარ!

გიორგი — იმიტომ არ გახსოვარ, რომ მაშინ პატარა ბიჭი მყა-
ვდა, აი, ამბელა, (ხელით აჩვენებს) ხედავ?! ახლა კი გაიზარდა; აი,
ამხელა გახდა, ხომ კარგად ხედავ?!

ნოე — მერე რა გინდა, ღმერთმა გაგიზარდოს!

გიორგი — მერე ის მინდა, რომ შენი და შენნაირი ჩათლახების
გამო ის ჩემი ბიჭია მიზანში, გაიგე, რაც მინდა?! ის მინდა, რომ
მამაჩემს როცა სული ამოსდიოდა, შენ იჯექი და წერდი; ან იქამდე
წერდი, ჰა, იქნებ იქამდე წერდი!..

ნოე — რასა ვწერდი, კაცო, ტვინი გეღრძო შენა?!

გიორგი — რას წერდი და პოემებს, მამა გიცხონდა, არ იცი რა-
საც წერდი! შენი ერთგულება ხომ უნდა დაგემტკიცებინა. მარტო
ამ სასაფლაოზე რამდენი არის შენი ხელით ჩაწვენილი, დათვლი?
შენ კიდე, მტრედები დაგყავს ქორწილებში... ეშმაკისაგანა ხართ,
შენცა და შენი თარსი მტრედებიც, ეს შენი ხომალდიც იმათ ძვლე-
ბზეა აგებული, შე...

ნოე (ზურგს შეაქცევს) — დიდი ჭკუა ადრეც არ გქონია, ამ სმით
ხომ საერთოდ გაგიქრა, საავადმყოფოში ხარ დასანვენი სამკურ-
ნალოდ. (მიდის).

გიორგი — შენისთანების ხელში ცოცხალი როგორა ვარ საე-
რთოდ!

ნოე (მიუტრიალდება) — სინდის-ნამუსზე სულ აიღე ხელი! ვი-
ნა თქვა — სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო; დაი-
ვიწყე არა, ყველაფერი. უკანასკნელ ლუკმას გიყოფდით შენ და
დედაშენს...

გიორგი — ეხ, მიადექი ბოლო ციხე-სიმაგრეს. ის ლუკმა არის
სწორედ, აქამდე რომ ყელში მეჩხირება და მახრჩობს, გათვლილი
გქონდა ყველაფერი, მაშინვე გათვლილი გქონდა. ზუსტად იმ ლუ-
კმამ, იმ შენმა ძალით პირში ჩათხრილმა ლუკმამ...

ნოე (აწყვეტინებს. ხელს აიქნევს. მიდის) — უნამუსო ყოფ
ლხარ, რაღა უნდა გელაპარაკო.

გიორგი (წამოდგება) — წადი, წადი, დაწერე, წრრ... დაწერე, გ
დი... ჩათლ... მაგრამ ახლა არაფერს არ დაწერ, სხვა ზღვაში მიც
რავ, სხვანაირად უნდა გემს მართვა. მიდი, მიდი... (სიგარეტს ამ
უკიდებს. ხელი უკანკალებს. ღრმა ნაფაზს დაარტყამს. ჩამოჯდ
ბა)

მოედნიდან მომავალ ბილიკზე ნიკო და გოჩა გამოჩნდებიან.

ნიკო (ქალაქისკენ იცქირება) — ნახე, ხალხი გროვდება, არ ჩ
ვიდეთ?

გოჩა — მოტოციკლეტი რომ არა გვყავს?

ნიკო — მერე რა, ისე ჩავიდეთ.

გოჩა — დროშას ვერ ააფრიალებ და ისე რა კაიფია.

ნიკო — აბა, აქ რა გინდა.

გოჩა — იმას ხომ არ მოვუსმინოთ?

ნიკო — არა, არა, ჩავიდეთ.

გიორგი (მათი საუბარი ესმოდა) — ჩადით, ყმაწყილებო, ჩადით
გაცურეთ, გამოცურეთ და ისევ ამოდით, მზის აბაზანები მიიღეთ!

ნიკო (დაუსტვენს. გოჩას თვალს ჩაუკრავს) — წავედით.

მიდიან. გოჩა გასვლისას მოხედავს გიორგის.
პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.
დასახლებიდან მომავალ ბილიკზე პატიკო გამოჩნდება.

გიორგი — პატიკო, მოდი აქ! (პატიკო მიუახლოვდება) სად მ
დიხარ?

პატიკო — გავიცლი.

გიორგი — გავლით კი გაივლი, მაგრამ სად მიდიხარ-მეთქი, გ
კითხები.

პატიკო — საქმეზე.

გიორგი — უკაცრავად, რევოლუციური სალამი ვერ მოგეცი
(პატიკო ხმას არ იღებს) რა საქმეზე მიდიხარ?

პატიკო — მამა, ოცდაერთი წლისა ვარ...

გიორგი — ბიჭოს, რა ასაკში ყოფილხარ, აუჰ... (პატიკო ხმას არ
იღებს) რას გაჩუმებულხარ, არ გესმის, რასაც გეკითხები?!

პატიკო — მესმის.

გიორგი — მერე...

პატიკო — ამხანაგებთან მივდივარ.

გიორგი — იაჩეიკა გაქვთ?

პატიკო (ღიზიანდება) — ხო, იაჩეიკა გვაქვს.

გიორგი — მერე წიგნი ვინ უნდა წაიკითხოს? (პაუზა) ჰა, შენ გე-
კითხები, წიგნი ვინ უნდა წაიკითხოს?!

პატიკო — წიგნები შენ იკითხე.

გიორგი — მე რაც წასაკითხი იყო წავიკითხე უკვე, შენზეა ლა-
პარაკი.

პატიკო (წასვლას აპირებს) — ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს.

გიორგი (ხელს დაუჭერს. გვერდით მოისვამს) — დაჯექი, ხომ
არა გგონია დავბერდი! თუ გინდა ხელსაც გადაგიწევ, შენისთა-
ნას ათიდან ათს გადავუწევ. (პაუზა, პატიკო ხმას არ იღებს) მოდი,
(მკლავს შემოდებს მაგიდაზე) მოდი, თუ გინდა...

პატიკო — მამა, წადი რა, შინ წადი!

გიორგი — ეგ შენი საქმე არ არის, გაიგე! პატარ ხარ ჯერ საიმი-
სოდ, ჭკუა დამარიგო. მოდი, რა, მაინტერესებს უბრალოდ! (პატი-
კო ხმას არ იღებს) ეე... ვერა ხარ მაგარი, ვერა.

პატიკო — ხო, ვერა ვარ.

გიორგი — რატომ მერე, რატომ ვერა ხარ მაგარი?!

პატიკო (გაღიზიანებით) — ხო, ვერა ვარ, რა გინდა ახლა?

გიორგი — ხოდა, თუ ვერა ხარ, ივარჯიშე, გაიგე! ივარჯიშე და
კუნთები გაიმაგრე. ან ყველაფერს აჯობებს, დაჯექი და წიგნი წა-
იკითხე, იმიტომ რომ შენი კუნთების არავის ეშინია. მერე იარე იმ
შენ იაჩეიკაზე (პატიკო ხმას არ იღებს) რატომ არ მცემ ხმას, არა
ვარ მართალი?

პატიკო (გაღიზიანებულია, მაგრამ თავის შეკავებას ახერხებს)
— რა გინდა, ვერაფრით ვერ გამიგია, რა გინდა! როგორც მზრ-
დიდი, ისე გავიზარდე, შენ რის სიყვარულსაც მასწავლიდი — ის
მიყვარს, რაღა გინდა ახლა?

გიორგი — რა მინდა, იცი?!

პატიკო — ხო, რა გინდა?

გიორგი — არ შეიძლება მე დავდგე შენს ადგილას?

პატიკო — არა.

გიორგი — რატომ, დისკრედიტებული ვარ? თუ, როგორ არ
დისკრედიტირე... (ვერ ამბობს) თფუი, შენი...

პატიკო (გაღიზიანებით) — მთვრალი ხარ.

გიორგი — ჯერ ეს ერთი, მთვრალი არა ვარ; მეორეც ერ
რომც ვიყო, შენ ეგ არ უნდა მაკადრო; და მესამეც...

პატიკო — მამა, წადი რა შინ!

გიორგი — მე შინ, შენ იაჩეიკაზე არა? (პატიკო ხმას არ იღებ
მოდი, ერთი რამე გამაგებინე, — მე როგორც მახსოვს ვმეგო
რობდით, სანამ ეს შტორმი არ დაიწყო. მერე რა მოხდა, გამაგებ
ნე?! რა გაწყენინე, ასე რომ მელაპარაკები... მე ჩემი არ მეყოფ
შენი ჩუმი საყვედურები რომ არ ავიტანო, კიდე!..

პატიკო (აწყვეტინებს) — გაინტერესებს?

გიორგი — ძალიან მაინტერესებს.

პატიკო — კომპლექსი გამიჩინე.

გიორგი — კომპლექსი... რა კომპლექსი გაგიჩინე? მიპასუხ
(პატიკო ხმას არ იღებს) გამაგებინე, რა ქვია შენ კომპლექსს, თ
ისე ხმაროობ, სიტყვის მასალად, თუ...

პატიკო (ხმა ეძაბება) — პატიკოს კომპლექსი.

გიორგი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) — როგორ?!

პატიკო (მოხედავს) — პატიკოს კომპლექსი ქვია. (ხანმოკლე პაუ
ზის შემდეგ) შენ გგონია დაბადებიდან მქვია პატიკო? ცდები, პატ
კო იმ დღეს გავხდი, შენ რომ კარში ჩამიდექი. იცი რატომ? იმიტომ
რომ იმ დღეს მივხვდი, ზუსტად იმ დღეს მივხვდი, რომ შენ გიორგი ჯ
არა გქვია, არამედ ძლიან მოკლე და მოფერებითი სახელი — გიო
შენი გიობის გამო კი მე პატიკო გავხდი. ბაბუაჩემი, აი, შენ რომ
იფიცებ და საფლავიც რომ არ იცი სადა აქვს, ის ბაბუა პაატა იყო
იმისი მამა გიორგი, მთელ ჩვენს გვარში ეს ორი სახელია — პაატა დ
გიორგი. იმ დღის შემდეგ მე პატიკო გავხდი, შენი შიშისა და სილ
ჩრის გამო გავხდი. (პაუზა) რევოლუციონერს მეძახი, სადაური რ
ვოლუციონერი მე ვარ... იქ თუ დავდივარ, როგორც შენ გიყვარს თქმ
იმ ცხრაბალიან ღელვაში, მხოლოდ იმიტომ, რომ პაატა გავხდე, გ
სმის შენ თუ არა! სანამ კარში ჩამიდგებოდი, სანამ შენ თვალებში დ
შენ მუდარაში შიშს დავინახავდი, იქამდე მამა იყავი; მამა, ღმერთ
და რა ვიცი, თუკი რამ კარგი და კაცურია. ახლა ვინღა ხარ, — ფუნ
ქციამოშლილი კაცი, რომელმაც თავის შვილსაც წაართვა თავისი სი

ლაჩრით ფუნქცია. რა, ჩემს გამო შეგეშინდა, არა?! ჩემს გამო რომ
შეგეშინდა, სწორედ მაგიტომ გავხდი პატიკო. შენც ხვდები ამას, იმი-
ტომ ხარ ასე ირონიით დაძეძგილი...

გიორგი — სულელო, ღმერთო, რა სულელი ხარ!

პატიკო (აწყვეტინებს) — არა, მე სულელი არა ვარ, მე პატიკო
ვარ, მე საკუთარი სხეულით დამძიმებული პატიკო ვარ.

გიორგი (ხელს დაუჭერს) — გინდა გითხრა შენ ვინა ხარ!

პატიკო — ვინა ვარ?

გიორგი — ბრმა ხარ, სხვა არაფერი, ბრმა ხარ და მომისმინე,
ძალიან მღვრიე ზღვაში მიცურავ, პატიკო...

პატიკო (აწყვეტინებს) — რატომა ვარ ბრმა? ამ ბაზარს რომ
ვხედავ იმიტომ?! აი, ამ საფლავებზე აგებულ ბაზარს... თავისუფ-
ლება კიდევ რაღაცას რომ ნიშნავს ჩემთვის, აზრი რომ არ დაუკა-
რგავს ამ სიტყვას, იმიტომა ვარ ბრმა?! გამაგებინე, რას ეძახი სი-
ბრმავეს! იქნებ სამშობლოს სიყვარულს, ან თავისუფლების წყუ-
რვილს. აბა, რაში გამოიხატება ჩემი სიბრმავე? ერთიც და მეო-
რეც რომ თავგანწირვის ღირსია, იმაში? ჩემი სამშობლო რომ აქ
მცხოვრებ თეატრალურ ჩოხაში ჩაცმულ მენატურეს დაემსგავსა,
მე კი ვხედავ, აი, ამ თვალებით ვხედავ, იმიტომა ვარ ბრმა?!

გიორგი — ბრმა იმიტომა ხარ, რომ შიშველი ხელებით მიდიხარ
ზვიგენზე... ამიტომა ხარ ბრმა.

პატიკო — მერე, ვისი ბრალია? აი, ახლა რაც მითხარი, ვისი ბრა-
ლია?! ეგ არის სწორედ პატიკოს კომპლექსი, შენ შენი გიობით,
შენი შიშითა და სილაჩრით აზროვნების უნარი დამიხშე, შიშველ
თავგანწირვად ძაქციე და ახლა აქეთ მეუბნები — ბრმა ხარო. დი-
ახაც, მაგ გაგებით ბრმა ვარ; რევოლუციონერი კი არა, როგორც
შენ მეძახი, ბრმა ვარ, ბრმა... იმ დღის შემდეგ მე ჩემით უნდა გა-
ვხდე პაატა, უკვე უშენოდ, შენ დაუხმარებლად უნდა გავხდე პაა-
ტა, სხვა შემთხვევაში ფუნა ვარ, გაიგე, გაფუებული ფუნა!

გიორგი — ფუნა კი არა, ჯერ ლანირაკი ხარ...

პაუზა.

პატიკო — მეზიზღები...

პაუზა.

გიორგი — გაიმეორე.
პატიკო — მეზიზღები!

გიორგი სილას გააწნის პატიკოს. (ეს არ არის გამწარებული კაც
მოქმედება. გიორგიმ თითქოს იმის გამო გააწნა სილა, რომ გაიმეორ
რაღაცა უნდა მოჰყოლოდა, მან კი სიტყვა ვერ მოძებნა)
პატიკო წამოდგება. მიდის.

გიორგი — პატიკო! (პატიკო მიდის. ხმამაღლა) პატიკო, მომ
დე!
პატიკო (მოტრიალდება. დაძაბული) — არა, არა! (მიდის. მო
რიალდება) — არა! (გადის. თვალს მოეფარება)
გიორგი (წამოდგება. სკამს მოშორდება) — ლაწირაკი ხარ, ლ
წირაკი! აი, ახლა დაამტკიცე, რომ ლაწირაკი ხარ, უტვინო ლაწ
რაკი!.. (დასახლებისაკენ მიდის. მოტრიალდება) შენ გამაწანი ს
ლა, შენ! იმ დღეს, ხალხში რომ დამეკარგე, ზურგი რომ შემაქცი
როგორც ვიღაცა სამარცხვინოს, მაშინ გამაწანი სილა. (პაუზა) უ
ვინო ლაწირაკი!.. (გადის. თვალს მოეფარება)

ძაღლის ყეფამ მოაღწია.
ცოტა ხანში მენატურე კაცი და თამრო შემოდიან სცენაზე.
თამრო წინ უსწრებს ძმას.

თამრო (გზადაგზა ლაპარაკობს) — იმის ეშმაკი გამხადა, ს
გაიჩინა ახალი ბუდე იმ პიანიცა მაიმუნმა. რაც სახინკლე და ს
ლობიე იყო შემოვიარე. არც ქუჩაში გდია, ეგ მოსასპობი...
მენატურე — თამრო, მოიცა ქალო!
თამრო (გაღიზიანებით) — შენ რაღა დაგემარცა კიდე.
მენატურე — მოიცა, ცოტა შევისვენოთ.
თამრო — დამანებე თავი, კბილი ამტკივდა, ერთიანად ელპ
რა... (ქოხში შედის)

მენატურე სვენებ-სვენებით მივა სკამამდე. ჩამოჯდება. მალე ო
მროც გამოდის ქოხიდან.
ნახევარლიტრიანით არაყს, ჭიქებსა და მისაყოლებელს გამოიტან

თამრო — მოდი, იქნება მიშველოს! (ჩამოასხამს) ერთი სახარება შეგვეწიოს. (დაიგუბებს. სვამს. მენატურე უხმოდ ზის) მიდი, კაცო!
მენატურე — ჰა?
თამრო — მიდი-მეთქი, ადრე ხვეწნა არა გჭირდებოდა!
მენატურე — თამრო, რა მინდა იცი გთხოვო!.. (პაუზა) გახსოვს, ერთხელ მითხარი, იქით, მაღლისკენ ერთი ადგილი მაქვს ჩემთვისო, — მოდი, მეც სადმე იქა... ჰა!..
თამრო — რას როშავ?!
მენატურე — არა, და-ძმობას გეფიცები, სხვანაირად ნუ გამიგებ და, გამოშიგნულივითა ვგრძნობ ამ ბოლო დროს თავს. დღესაც სახელოსნოში ვიყავი. სახელოსნო თითქმის სულ ჩემი სურათებით აქვს სავსე. ადრე არ დავკვირვებივარ, რატომღაც დღეს დავათვალიერე. მთელი ჩემი ცხოვრება დამიდგა თვალწინ — ჯეელობიდან, აგე, აქამდე. უცხო თვალი სარკესავით ყოფილა, ჩემო დაო. იქ ვიგრძენი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მინერია. (პაუზა) ერთი აცვენილი ჯეელი მოდის ხოლმე იქა, დღეს — ბიძაჩემო, ცოტა აი, ასე მიდექეო — მითხრა. ვერა ვარ, შვილო, კარგად, შეუძლოდ ვარ-მეთქი. შეუძლოდ თუ იყავი აქ რას მოდიოდიო. — ამას რომ თითისტოლა ბავშვი გაგიბედავს (პაუზა) რას ხატავს-მეთქი მერე დავინტერესდი. ისეთი გამოვყავდი, მიმინოს ფიტულები რომ არის, ხომ იცი, აი, ისეთი შუშისთვალება. აღარა მაქვს, დაო, მე დიდი დღე, ამიტომ გითხარი, შენი იმედი უფრო მაქვს...
თამრო — გაჩე ერთი, ჩემი კბილი არ მეყოფა, შენ არ დამიმატო აქა, მიდი, დალიე!..
მენატურე — ეჰ, ერთი სახარება შეგვეწიოს. (მოსვამს. პაუზის შემდეგ) რა დავარქვა ჩემ სიცოცხლეს არც ვიცი. მაშინ, ხომ გახსოვს, იმ წყეულ დროს, ნოემ თავდებში რომ გამომიყვანა, იმის მერე დაიწყო ყველაფერი. არც ისეთი სულელი ვარ, თამრო, იმას ვერ ვხვდებოდე აქეთ რატომ ამომიყვანა ნოემ. ეს სახლ-კარი აქ რატომ დამადგმევინა, იმისიც მესმის, განა არ მესმის, თავდებად დადგომა ეგრე იოლი საქმე კი არ არის; თავდები, ესე იგი, საკუთარი თავით აგებ პასუხს. მაგრამ ძალიან ძნელი ყოფილა, დაო, ვიღაცის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრება, არ ყოფილა იოლი საქმე, არა... სიმარტლე გითხრა, თავიდან ძალიან გამიჭირდა, მერე კი ცოტა მივეჩვიე, რას იზამ, ყველაფერს ეჩვევა თურმე კაცი; ისე მივეჩვიე, რომ აღარც მეგონა თუ შემაწუხებდა კიდე ეგ ამბავი. მაგრამ დღეს, იმ ჩემს სურათს რომ შევხედე, რაღაცა ბოღმამ დამრია ხელი, ბოღმამ

თუ ცრემლმა, თუ ტკივილმა არც კი ვიცი... (პაუზა) შენ რა გგონ
მე არ ვიცოდი, ლიდას მოყვანა სისულელე რომ იყო! ვიცოდი, ჩე
დაო, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ სადაც ამდენ ტყუილში მიცხო
რია, ერთხელაც მოვიტყუებ-მეთქი თავს — ვიფიქრე. შენ რომ ...
ლები მოგყავდა, ის ქალები საჩემონი არ იყვნენ, ჩემო თამრო. იმ
თავის, ზედამხედველობის ქვეშ დამდგარი კაცი ყერაფერი დი
ქმარი იქნებოდა. ლიდა კი მაინც, არ ვიცი... არც ეგ ტყუილი შემრჩ

თამრო — იიჰ, დამძმარე ბარემ, ვის დალხინებია ამ ცხოვრებ
ში, შენ რომ მოგელხინა. იმით ვიმშვიდებ თავს, რაღაცა შემიჭ
ნია, სახლ-კარი მაქვს, მეურნეობა-მეთქი. რა ჯანდაბად მინდა, რ
სა ვწვალობ, ვისთვის? იმათთვის, აქეთ ამოსვლას რომ აღარ კად
რულობენ? ხანდახან იმასაც ვფიქრობ, მართლა მე გავაჩინე თ
არა-მეთქი. იმათთვის, თუ ღობე-ყორეს მოდებული ომარასათვის
მეც ვიტყვი შვილები მყავს-მეთქი. ნოემ -წყევლის მეტი არაფერ
იციო, დასაწყევლი ცხოვრებაა და მიტომაც ვიწყევლები. დალ
მიდი!.. (დაასხამს) ჰა, ორი სახარება შეგვეწიოს. (სვამს)

მენატურე (უღონოდ) — გაგიმარჯოს. (პაუზა) იმ ადგილის ამბა
ვი არ დაგავიწყდეს, თამრო...

თამრო — მორჩი, კაცო, რას როშავ?!

მენატურე — არა, არა, არა ვროშავ, შენ ნახავ, მალე მოხდებ
ეგა... მხოლოდ შენ არ დაივიწყო.

თამრო — თავი დამანებე, დალიე ეგ ბოლომდე, დალიე-მეთქი!

მენატურე (უღონოდ) — გაგიმარჯოს (სვამს)

ისმის ოპერის მომღერლის ხმა. უცებ შეწყდება.

თამრო — აჰა, გააბა. აქეთ ჩემი კბილი, იქით შენი შტერული ლ
პარაკი, მაღლიდან კიდე ამისი ჯახირი. ესეც თუ ცხოვრებაა, თფუ...

მენატურე — ცოდვა ქალია, დაო, ძალიან ცოდვა ქალია...

თამრო — ცოდვა მე ვარ მაგის ხელში, ეგ რა ცოდვაა, მღერის...

მენატურე — ეჰ, ეგ რომ მღერის ჩემმა მტერმა იმღეროს ისე, სიმ
ღერით იმ წარღვნამდე მღეროდა, თორე ახლა რა, ჯახირობს, წვა
ლობს საწყალი...

თამრო — იჰ, ჩემი გაჭირვება მეყოფა! (დაასხა)

ოპერის მომღერლის ხმა მეორდება. შემდეგ მიიკარგება. ქრება.

სურათი მეშვიდე

აღდგომა.

დილა.

სიჩუმეს დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.

ძაღლის ყეფამ მოაღწია.

ცოტა ხანში თამრო გამოვა ქოხიდან. ვედროს გამოიტანს. სკამზე ჩამოჯდება. საგარეოდ არის გამოწყობილი.

მტრედების ფრთების ხათქუნი.

თამრო მაღლა აიხედავს. რაღაცას ჩაილაპარაკებს. ქოხში შედის. მალე გამობრუნდება. პურს ანამცეცებს.

თამრო — გურ-გური... გური... მოდით, თქვე ერთ დღეს დასაწ-ყვეტებო! (პაუზა. წელში გაიმართა) მიწა ჭამეთ, მიწა, თქვენცა და თქვენმა პატრონმაც! ახლა ეკლესია აიჩემა, დილიდან წაბრძანდა ვაუბატონი, მასალა უნდა ამოათრიოს, მე არ ვიცი ვის კისერზე გა-დავა ეგ ეკლესიაც. ვითომ საქმე არა მყოფნიდა; სარეცხი დაურე-ცხე, საჭმელი დაუმზადე, ამისი მტრედებიც დააპურე, ეს წყალიც ზიდე ქვემოდან... (ხანმოკლე პაუზა) ახლა ეკლესია... შენთვის მი-ნდაო, მე არაფერს მეკითხება და აქეთ მამადლის. გური, გური... (დაუსტვენს. საფლავებს ათვალიერებს) მოუსწრია უკვე ქალბა-ტონს, დააგორა კვერცხები, მერე წაბრძანდება, ყელს მოიღერებს და წავიდა, გაშლის ფრთებს... (ვედროს დასწვდება) თავისებურად ყველა ბედნიერია, ერთი მე ვარ დაწყევლილი. კიდე რად ინყევლე-ბიო — ჩეს დაძაწყევარსა ვხყევლი, იმას არ გაუთეხდეს ხვალიხ-დელი დღე, ჩემს დამაწყევარს... (გასასვლელს მიუახლოვდება) აღ-დგომაც არ შემარგონ... (გადის)

ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.

ცოტა ხანში მოტოციკლეტის რახრახი.

ომარა, ნიკო და გოჩა შემოდიან სცენაზე. ნასვამები არიან. განსა-კუთრებით გოჩას ეტყობა სიმთვრალე. ერთ ადგილას გაყუჩდება. აქეთ-იქით ირწევა.

ომარა (აღგზნებული. ნიკოს მიმართავს) — გეუბნები, ჩემი ძმე-ბის ბრალია-მეთქი ყველაფერი, ჩემი ძვირფასი ძმები რომ არა...

(გოჩას შეხედავს) შეხედე, ამას შეხედე რას დაემსგავსა, შენი იმ
უნდა მქონდეს, ბიჭო!..

გოჩა ერთ ადგილას ირწევა.

ნიკო (თავში წამოარტყამს) — დაჯექი, რა!

გოჩა იცინის, სკამზე ჩამოჯდება. გაყუჩდება. ისევ იცინის.

ოთარა — მაგას თავი დაანებე, აქეთ მოდი, ხომ არ დავამატო
ცოტა! გამოსათხოვარი დღე მაქვს, მანქანაც კარგად გავყიდე. ი
სადაც მივდივარ რა მანქანა მელოდება, იცი... თოჯინასავით, თო
ჯინასავით მანქანა არის. შორიდან უნდა უცქირო. ჰა, ნიკო, მოდ
შევუბეროთ, მოდი, ჩვენც ვიქეიფოთ, მაგის რჯულიც არ იყოს! (ნ
კო მხრებს იჩეჩავს) ცოტა, ცოტა მოიცა... (ნიკო ჩამოჯდება. ოთ
რა ქოხისკენ დაიძრება) თამრო! შენი საყვარელი შვილი მოვსუ
ლვარ, ზარმაცების ხაში მიჭამია, არაყი ვერ დამილევია, მოდი, მო
მხედე! (მიაყურადებს) არ არის მგონი... (ქოხში შედის)

გოჩას დაასლოკინებს.

ნიკო (გოჩას მოხედავს. თავში წამოარტყამს) — გაჩე, ბიჭო...

*გოჩას ამაზე უფრო ეცინება, ნიკო ერთხანს უყურებს, შემდეგ
თვალს მოარიდებს. ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს. გოჩა მშ
ვიდდება.*

ოთარა (ქოხიდან გამოდის) — არის! (ნახევარლიტრიანით არა
ყი მოაქვს) არის ფეხუცას არაყი, გამოსათხოვარ დღეს ვაწყობ
უნდა შევუბეროთ, უნდა ვიქეიფოთ, თორემ თავაწყვეტილი ქეი
ფი მიდის ჩვენს გარეშე. გაიგონ, რომ ჩვენც ვქეიფობთ, არა, ნი
კო?! (ბოთლს კბილით აძრობს საცობს. უახლოესი საფლავიდან სა
აღდგომო კვერცხსა და პასკის ნაჭერს იღებს) ესეც მისაყოლებე
ლი. (ნიკო გვერდით ჩამოჯდება) — აბა, ქრისტე აღსდგა, გაგვიმა
რჯოს. (სვამს) ფუჰ, შენი...

ნიკო — ჭეშმარიტად. (სვამს)

ოთარა — ხოდა, იმას გეუბნებოდი, რომ ჩემი ძვირფასი ძმების ხე
ლი ურევია ჩვენი გუნდის დაშლაში. ერთი ლამის ხელმწიფეა, მეორე
იმის ვეზირი. ბავშვობიდან შურდათ ჩემი, იქამდე არ მოისვენეს, სა
ნამ ნოეს ჩემი თავი არ დააწყევლინეს... მაგათი ბრალია, თორემ
აქამდე ვინ იცის სად არ ვიქნებოდით, რა ქვეყნებს არ ვნახავდით.
ნახე, ნახე, ამას შეხედე, როგორ ირწევა. (გოჩაზე მიუთითებს)

ნიკო (თავში წამოარტყამს გოჩას) — გაჩერდი, რა...

გოჩა იცინის.

ოთარა — კარგი, თავი დაანებე, აქეთ მომხედე! ნოეს ბრალია ყვე
ლაფერი. ფეხუცამ მომატყუა. აბა, ჩემს ძმებს მაგდენი ტვინი სადა
აქვთ. აი, მომისმინე, რას ნარმოვადგენ მე, ისინი ვინ არიან! მე ძა
ლიან დიდი ფული უნდა მქონდეს, რომ კაცურად ვიგრძნო თავი.
თანაც, არ დაგავიწყდეს, ჩემთვის რასაც ვიშოვნი, ერთი იმდენი იმა
თთვის უნდა გადავდო. — იმიტომ რომ ერთი ლამის ხელმწიფეა, მე
ორე იმის ვეზირი. ნოე ოხერია, როგორ დამწყევლა იცი?! შენი ძმე
ბის მონა იქნებიო, იმათ უნდა ემსახურო მთელი ცხოვრებაო... იცის
ფეხუცამ რაშიც არის საქმე, მართლა ხელზე მოსამსახურე არა ვარ,
აბა ვინ ვარ?! საკუთარი რისკის ხარჯზე ქვეყანას მოედე, ათრიე
ტირის ტყვიები და თუ ჩაგავლეს რაც ორი კაპიკი გიშოვნია, ისევ
ამათ მიეცი. მადლობის თქმაც არ უნდა დაგავიწყდეს. ადრე, რომ
ვჭირდებოდი ის არაფერი, გამისწორდნენ ვალში და მორჩა... ახლა
თავი უნდა ვუქიციანო, თვალებში უნდა ვუცქირო, რას მოისურვე
ბენ, რას მიბრძანებენ, შუათანა ძმის ბედი რა ვთქვი — პრესში ვარ
მოქცეული, ორივე მხრიდან მაწვებიან. ვერ ვაჭამე ნოეს, ნოეს რას
აჭმევ, ნოე მაგარია... ეს მამწარებს, რომ მომატყუეს... მე კი უფ
ლება არა მაქვს მოტყუებული დავრჩე. მაშინ გულზე უნდა დავიკ
რიფო ხელები; ბასტა, ყველაფერს უნდა ჩამოვშორდე. ამას შეხე
დე, ამას. (გოჩაზე უთითებს) პირველად დალია?

ნიკო (თავში წაუთაქებს) — ბიჭო, გაჩე-მეთქი...

გოჩას სიცილი აუტყდა.

ოთარა — კარგი, მოეშვი, აქეთ მომხედე! ისინი, ჩემი ძვირფასი
ძმები ბავშვობიდან რაღაცნაირი გამომშრალები იყვნენ. ჩემი შუ

რდათ, მე ცოცხალი ბავშვი ვიყავი, ყველა ასე იძახდა — ომარა,
მოხოხებული ნოეაო, იმაო კი შურდათ და იქამდე არ მოისვენ
სანამ ნოეს ჩემი თავი არ დააწყევლინეს. რომ იცოდე, ახლაც შურ
მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შურთ. ცხოვრების ყადრი არ იცი
და იმიტომ... მე კი ვიცი — ყველაფერი ლამაზი მიყვარს. ახლა რ
მანქანა მელოდება, რა მანქანაა იცი?! ო

ჯინასავით... ჩემს ძმ
არც დაესიზმრებათ, ისეთი მანქანაა. მაგრამ არ მიცნობენ ბოლ
მდე, არ იციან, რომ თუ ძალიან მომაწვნენ, არც მე დავრჩები
ლში... იმდენს მაინც მოვახერხებ, რომ გამიცნონ. მოდი, ერთი
(ჩამოასხამს) კარგად სვამ. (თვალს შეავლებს. გოჩაზე უთითებ
ამას არ გავხარ, არაფერი გეტყობა. (პაუზა) გაგვიმარჯოს. (სვამ
ფუჰ, შენი... მაჯაც კარგი გქონდა; დალიე, რატომ არ სვამ!

ნიკო — გაგვიმარჯოს. (სვამს)

ომარა — ოსტატის მაჯა გქონდა, მაშინ რომ არ დაეშალათ ჩ
ნი გუნდი, ახლა ვინ იცის სად ვიქნებოდით... მაგრამ ეგ არაფერ
ჩემსას მაინც მივაღწევ, გზად სტავროპოლში უნდა გავიარო,
სით ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, მერე დაგირეკავთ და ია
მოვედებით ქვეყანას, რა ქვეყნებს განახებთ...

ნიკო — სიმფეროპოლში.

ომარა — ჰა?

ნიკო — სიმფეროპოლში-მეთქი.

ომარა — აბა, მე რა ვთქვი?

ნიკო — სტავროპოლი.

ომარა — სტავროპოლი რამ მათქმევინა, სიმფეროპოლში, მ
იქიდან ფინეთში, ფინეთიდან კი ვინ იცის რა შეიძლება გამოდ
მაგრამ იქამდე ტაშკენტში უნდა წავიდე.

ნიკო — ტაშკენტში რა გინდა?

ომარა — ცეხის ამბავი უნდა გავარკვიო. შეიძლება ხელშეკრულ
გავაფორმო. შეიძლება კი არა, უნდა გავაფორმო. ეს ისე, სხვა შემ
ვლად მექნება. მთავარი კი კალათბურთია. თქვენ, აი, თქვენისთანა ე
რგიით დატენილმა ბიჭებმა, რაღაცას უნდა მიაღწიონ, არ შეიძლ
ასე, დღე და ღამე ამ სასაფლაოზე გდება და, მაპატიე ამ გამოთქმის
თვის, ოცდაოთხი საათი ჯიბის სპორტით ცხოვრება. კი ნუ გეწყინ
ამ შედარებისთვის ონანი იყო ერთი, იმას გავხართ მენ და გოჩა, ი
ტომ რომ ნაღდი საქმით არა ხართ დაკავებული, არაფერს არ ქმნ
პროდუქციას არ ქმნით, ამას ქვია ჯიბის სპორტი, სხვას კი არაფერ

თორემ ნაღდი სპორტი რაც არის, ის მე ვიცი... არ უყვარს ღმერთს ასეთი ხალხი, მაგრამ თქვენი ბრალიც არ არის, მე ხომ მესმის. აქ, ამ წუმპეში, ძალაუნებურად ონანისტი გახდები... მთებს უნდა აბრუნე- ბდეთ, ამ დანჯღრეული მოტოციკლეტით კი არ უნდა დადიოდეთ აღმა- ღმა, მთები, მთები უნდა შეძრათ...

ნიკო (აწყვეტინებს) — ტაშკენტში რა ცეხია?

ომარა — ჰა?

ნიკო — ტაშკენტში რა ცეხია-მეთქი?

ომარა — ნაძვის ხის სათამაშოების. მართალია, სეზონურია, მა- გრამ დიდი შემოსავალიც აქვს. მთელ წელიწადს გყოფნის.

ნიკო — იქ ვერ წამიყვან?

ომარა — ცეხში გინდა?

ნიკო — ჰო.

ომარა — კი ბატონო, მხოლოდ წილის ამბავი არ ვიცი.

ნიკო — სულერთია.

ომარა — კი ბატონო, დაგირეკავ. ამას შეხედე, ამას... (იცინის. გოჩა ირწევა) მაგრად გამოჭუკდა, შენი იმედი უნდა მქონდეს, ბი- ჭო?! ორჭიქიანი ხარ.

ნიკო — გოჩას?

ომარა — რა, გოჩას?

ნიკო — გოჩას არ წაიყვან ტაშკენტში?

ომარა — უნდა, რო?

ნიკო — უნდა.

ომარა — შენ რა იცი?

ნიკო — ვიცი, ხაღდად უხდა.

ომარა — კი ბატონო, ხომ გითხარი, წილის ამბავს გავიგებ-მე- თქი. შენ გგონია, მე არ მინდა ჩემი ხალხი მყავდეს?! აბა, დაფი- ქრდი... ჩემს ინტერესებშია, გაიგე! ოიცა, კალათბურთის თამაში აღარ გინდათ?!

ნიკო — კალათბურთის დედაც...

ომარა — ცუდია. იმისი რა მოგახსენო, შენ კი, კარგი მაჯა გქო- ნდა, რბილი მაჯა, ოსტატის მაჯა გქონდა, დალევ?

ნიკო — არა, აღარ მინდა.

ომარა — მართალი ხარ. ნოეს არაყი ჩემმა მტერმა დალია... (და- ასხამს) მე მაინც დავლევ, ველარ ვჩერდები ხოლმე... გოჩას გაუ- მარჯოს. (სვამს)

გოჩას საეჭვოდ დაასლოკინებს. ნიკო და ომარა ყურადღებას აქცევენ. ნიკო თავში წამოარტყამს. გოჩა იცინის, ისევ დაასლოკინებს.

ომარა — შუბლი როგორ დაეცვარა, წყალი არ მოდის?

ნიკო — არა, დაკეტილია...(ნიკო ჯიბეში ჩაუყოფს ხელს. გოჩა ცხვირსახოცს მოიძიებს. ცხვირსახოცს სამტრედეს გასაღები ამ ჰყვება. მიწაზე დავარდება. ნიკო ხელს დასტაცებს. გასაღ შუბლს მოსწმენდს გოჩას. გოჩა გაუგებარ ბგერებს ამოთქვ ღრმად ჩაისუნთქავს ჰაერს. ისევ ირწევა. ნიკო ომარას მოხედ წავიყვან, ხელში არ ჩაგვაკვდეს...

ომარა — ის რა იყო?

ნიკო — რა?

ომარა — აი, ხელში რომ გიჭირავს, რა არის?!

ნიკო — რა ვიცი, გოჩას გასაღებია...

ომარა — მანახე, რა!

ნიკო — გოჩას გასაღებია...

ომარა — ნოეს გასაღებს მილიონში ვცნობ, ასე რომ, მათხო

ნიკო ხმას არ იღებს.

ომარა — იცი, რას გეტყვი?! მოდი, პატარა წარღვნა მოვაწყო აი, სულ პატარა, მინი წარღვანა, ჰა, ნიკო! (ნიკო ხმას არ იღ მოდი, რა, მოდი, წასვლის წინ ნოესაც და ჩემს ძმებსაც თავს გა ხსენებ... მომეცი, თორემ ისე შემიჯდა თავში, რომ ტრაქტორს ვიქირავებ და მაინც ავიღებ ამ სამტრედეს...

ნიკო — მერე, ნოე...

ომარა — რა ნოე, რის ნოე, ტაშკენტში მიმყავხარ-მეთქი, ნო სიზმარშიც ვერ ნახავ იქა, მიდი, ჰო...

ნიკო — სანამ ტაშკენტში წავალთ, ნოე...

ომარა (აწყვეტინებს) — მოიცა, კაცო, არ წავალ ჯერ სტა როპოლში, ტაშკენტში წავალ პირდაპირ, ხვალ-ზეგ თქვენც ! იქნებით. დიდი არაფერი, უბრალოდ, ნოესაც და ძმებსაც თა გავახსენებ, მომეცი, თორემ ისე შემიჯდა თავში, რომ ტრ ქტორს დავიქირავებ და მაინც ავიღებ ამ ფარდულს... ჰა, გელ დები.

ნიკო გამოწვდილ ხელში გასაღებს ჩაუდებს ომარას.

ომარა (სამტრედესკენ გაემართება) — არაფერი, არაფერი, ცოტა ხუმრობის ხასიათზე დავაყენებ ნოესაც, ძმებსაც... წავაქეიფებ ცოტას...

ნიკო (მხარში შეუდგება გოჩას. წამოაყენებს) — ომარ, გოჩა არ დაგავიწყდეს!

ომარა (უკვე კარს აღებს) — არა, არა, მიდით თქვენა, ხომ გითხარი, ჩემს ინტერესებშია-მეთქი, წადით!

ნიკო გოჩას გაიყვანს. მოტოციკლეტის რახრახი.

ომარა სამტრედეში შედის. მალე გამოვა. კარს ჩაკეტავს. ტელეფონისკენ გაემართება.

ომარა (ნომერს აკრეფს) — ლიდა! ხო, მე ვარ. მივდივართ. სად, სად... არ იცი, სად მივდივართ?! სადა და ნალჩიკში ქუთაისის გავლით. რა არის გაუგებარი. ჯერ ქუთაისში, მერე ნალჩიკში. მიდი, ჩქარა, ქუჩის ბოლოში დაგელოდები. არ გინდა არაფერი, გზაზე ვიყიდით... (პაუზა) არ მალოდინო, თორემ პირდაპირ თელავში წავალ, იცოდე!.. (ყურმილს კიდებს. დანას ამოიღებს, ტელეფონის ხაზს გადაჭრის)

ომარა მიდის. აღგზნებულია. თვალები უცნაურად უელავს.

მალე მარინე შემოდის სცენაზე. ერთ-ერთ საფლავთან ჩაიჩოქებს. საალდგომო კვერცხებს გააგორებს საფლავზე. (მოწნულ კალათას მაგიდაზე შემოდებს)

პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.

თამრო გამოჩნდება. წყლით სავსე ვედროს მოათრევს. შეისვენებს.

თამრო — არავინ მოსულა? (მარინე უხმოდ შესქცერის) ჭირისუფალი არავინ მოსულა?

მარინე — არ ვიცი, ახლა მოვედი.

თამრო (ვედროს დასწვდება) — ჭირი მაგათ, ჭირი... (გაურკვევლია ვისზე ამბობს, ვედროს ქოხთან დადგამს) მე მაღლა ავალ, ცოტას მივხედავ, ვინმე თუ მოვიდა, უთხარი მაღლით არის-თქო. (მიდის)

მარინე — ქრისტე აღსდგა.

თამრო — ჭეშმარიტად. წავედი, მაღლით ვარ (თვალს მიეფარ
ბა)

მარინე ახლა სხვა საფლავთან გადაინაცვლებს.

დასახლებიდან მომავალ ბილიკზე ლიდა გამოჩნდება. მარინეს
ნიშნავს. იქვე, სკამზე ჩამოჯდება. ხელჩანთიდან სიგარეტს ამოიღ
მოუკიდებს. დროდადრო მარინეს აკვირდება.

ლიდა (პაუზის შემდეგ) — გამარჯობა, მარინე!

მარინე (მოხედავს. ახლა შეამჩნევს) — ქრისტე აღსდგა!

ლიდა — Безусловно, ერთი წუთით მოდი, უნდა გამოგემშვიდ
ბო.

მარინე (ლიდას მოუახლოვდება. მის გვერდით ჩამოჯდება) -
სად მიდიხარ?

ლიდა (პაუზა) — სად მივდივარ?! (პაუზა. იცინის) — თუ და
ჯერებ არც ვიცი სად მივდივარ, მივდივარ и все тут, и вообще, к
кая разница. ყველა გზა ერთი ხლამია. (პაუზა. სიგარეტს ენ
დეტდომიდან რომ მოვდიოდი, მაშინაც ასე ვფიქრობდი. Все
испробовано уже, и ничто не интересно, и даже противно.. (პაუზა)
тоска... (ხანმოკლე პაუზა) ჩემი მხატვრისაგან რომ წამოვედი, მ
შინაც ასე იყო, — он, подлец, много чему научил меня, а начал
разговорной речи, фу ты, шельма... он на такие вещи кайфовал, рм
ვერც კი წარმოიდგენ. (ხანმოკლე პაუზა) но беда в том, что от этог
мне легче не стало, и сейчас так... (პაუზა. გადააფერფლებს) ი
როგორ არის დედდომში? У них свой план; რაღაც პროცენტი ქ
რთველი უნდა იყოს, რაღაც პროცენტი რუსი, სომეხი, თათარი ფ
რა ვიცი, შენ როგორ ფიქრობ, ვინა ვარ?

მარინე — ადამიანი.

ლიდა (იცინის) — Нет, милая, нет, это конечно лестно, но я не о то
тебя спрашиваю. Ну да ладно, მოვეშვათ ამას, пока что в мужчина
как-то страсть разжигаю, и на том спасибо господу богу... а, они, эт
мужчины, как грязные мартовские коты. არ მეთანხმები, მარინე?
(პაუზა) ჰა, მარინოჩკა, მაინტერესებს შენი აზრი ამ საკითხზე! (მა
რინე მხრებს იჩეჩავს) нет, ей богу, ведь ты не из воздуха создана
შენი მომავალი ბავშვიც ხომ ისე, არაფრისაგან არ იქნება, არა?

მარინე (მოხედავს) — რატომ მეკითხები?

ლიდა (გადააფერფლებს) — შენ თვითონ ვერ ხვდები?

მარინე — რას უნდა მივხვდე!

ლიდა (პაუზა. გადააფერფლებს) — მე ხომ თავიდანვე ვხედავდი
ამ ბარდელს, მარინე. Потому что сама на своей шкуре испробовала
все. (პაუზა) შენი ქმარი რომ ვნახე, თქვენზე ვიფიქრე это вечная
пора, მაგრამ ასე მალე რომ აორთქლდა, მაშინ კი დავეჭვდი. Тут
что то не так, подумала я и докопалась до правды (ხანმოკლე პაუზა),
შენ ხომ სულ თავიდან ომარასთან... ჰა?! Не надо, не надо ничего
говорить... (მარინე ამ წუთას არც აპირებდა არაფრის თქმას. უც-
ნაურად მშვიდია) ყური დამიგდე და მერე მითხარი, რაც გინდა, -и
не надо расспрашивать, — საიდან ვიცი, შესაძლოა ომარა გამომი-
ტყდა, может я сама догадалась, потому что ты какая-то прозрачная,
ძალიან გამჭვირვალე ხარ, კარგად იკითხები. А я умею читать...

მარინე (უცნაურად მშვიდი) — არ შეგეკითხები!

ლიდა — Почему, интересно просто...

მარინე — იმიტომ, რომ ცდები!

ლიდა — Ну, примерно такого ответа и следовало ожидать,
(მარინეს აკვირდება) თანაც რა მშვიდი ხარ, завиднос самообл-
адание, честное слово, но все-таки я права... (ხანმოკლე პაუზის
შემდეგ) ერთხელ ქალაქში შეგხვდა, გეუბნება — მანქანით ვარ,
შინ მივდივარ, წამოდი... შენც მიყვები. მერე რაღაცას გპირდება,
შენ კი გაბრუებული ხარ, ის გელაპარაკება და გელაპარაკება...
Он это умеет, стервец. შენ კი, ამდენი ლაპარაკისაგან ლამის გუ-
ლი წაგივიდეს, უკვე ვერც ამჩნევ რომ სულ სხვა მიმართულებით
მიდიხართ; ახ ამჩხევ, მაგრამ ისე გეცლება ძალა, რომ ხინააღმ-
დეგობის თავიც არა გაქვს; ვერ ხვდები, რა უნდათ შენგან, რას
გერჩიან, რატომ ხარ სახლიდან შორს, უცხო კაცთან, რომელიც,
ну да, ладно, самый банальный случай... (ხანმოკლე პაუზა) მე-
რე ის შენი ქმარი გამოჩნდა. იქამდეც უყვარდი, მერეც უყვარდი...
მიყვარხარო — გეუბნებოდა, — ძალიან მიყვარხარო, თავზე მე-
ტადო... а потом შენი პუზის ამბავი გაიგო და იქ დაიწყო ყველა-
ფერი, — короче, не получилось из него Иосифа, засомневался
он насчет ребенка, мне жаль бедного парня, ეგ პუზა ვისგანა
გაქვს ნამდვილად არ ვიცი... Ведь то, что с тобой случилось бы-
вает или очень с развратными, или очень с неопытными, а мо-
жет ты развратная и я ошибаюсь... (ხანმოკლე პაუზა) Но не

Scanned with CamScanner

думаю, (ხანმოკლე პაუზა) მარინე, იცი რატომ გეუბნები ამას... сделала маленькую подлость и, და არ მინდა ისე წავიდე აქედან, рмо არ გითხრა... ჩვენ ხომ მივდივართ, მე და ომარა... Он, ста рвец, страсть имеет ко мне, со мной у него иначе... (ხანმოკლე პაუზა) აქ მობრუნების შანსი სანამ ექნებოდა, არ წამიყვანდა, და მიგე?! ამიტომ, მე ვუთხარი, რომ თქვენი ფოსტის ყუთში წერილ ჩავაგდე, სადაც ყველაფერს დაწვრილებით ვწერ მამაშენს. მე შე მეძლო, უშენოდაც წავსულიყავი, მაგრამ, поверь, совесть замучала бы... (სიცილით) Эту проклятую вещь я иногда чувствую в себе... ასე რომ, თუ გაზეთი დაგხვდა სახლში, ჩათვალე, რომ მა მაშენმა ყველაფერი იცის და წინასწარ შეემზადე. (წამოდგება) ახლა კი, მაინც, სხვანაირად გამოვიდა, как то более по честному (სიცილით) и знаешь еще что странно, ამ დამპალ ყოფაში, მოუ ხედავად მისი საცოდაობისა, მაინც ომარა გეჭირდება ყველაზე მეტად, хоть интересно как-то, он иногда даже праздники устраивает... и что самое главное, с шампанским...

მარინე — შენ ცდები.

ლიდა (წასვლას აპირებს) — Я нет, детка, я не ошибаюсь, я вообще не ошибаюсь, что касается таких вещей. არც შენა ხარ პირველი, у всякого поколения есть и своя мученица, и свой Омар или Ной, какая разница... აი, ჩვენი ოპერის მომღერალი ხომ ნოეს ხელში გაგიუდა...რა, არ იცოდი? А ведь это так просто... надо знать жизнь и все тут... ყველაფერი მეორდება, როგორც ხედავ... ახლა მიპასუხე, მართალი არა ვარ, აქაურობას ბარდელს რომ ვეძახი? ჰა, მარინე?!

მარინე — შენ ცდები...

ლიდა — Ну хорошо, раз тебе хочется, прощай! (მიდის. შეჩერდება) აი, მივდივარ, და ზუსტად იგივე გრძნობა მაქვს, როგორიც მაშინ, უპატრონო ბავშვთა სახლიდან წამოსვლისას მქონდა. Не радостно мне, тоскливо, моя беда в том, что не только других и свою будущую жизнь насквозь вижу... მე და ომარას გზა არა გვაქვს. — ჯერ ქუთაისში, მერე ნალჩიკში, მერე ღრმა რუსეთში, ან ჩრდილოეთ პოლუსზე. — Какая разница, везде один и тот же бордель и грязь и тоска... (პაუზა) ჩვენ შეიძლება იმდენი ვიაროთ, რომ დაგვავიწყდეს საიდანაც წამოვედით და ისევ აქ დავბრუნდეთ. ასეც შეიძლება მოხდეს... (მხრებს იჩეჩავს. მარინეს აკვირდება) მე შენ მეტ

რალები. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შენს სულში გავიარე, и там многое загадила...

მარინე — ცდები, შენ ცდები...

ლიდა (ყურადღებას აღარ აქცევს მარინეს) — ნოესა და ომარას კი ჩემნაირი და თამროსნაირი ქალები უძლებენ მხოლოდ... Ах, наша Тамро (ქოხისკენ მიტრიალდება) თამრო, არ გაინტერესებს ნატურაზე როგორ ვიდექი?! თამრო! (იგივე სიმღერას წამოიწყებს, რომელიც ადრე, თამროსთან ჩხუბის დროს იმღერა. მიდის) Прощай, Мариночка! (სიმღერით სტოვებს სცენას. თვალს მოეფარება).

ხანგრძლივი პაუზა.

ძაღლის ყეფამ მოაღწია.

მოტოციკლეტის რახრახი.

ნიკო შემოვა სცენაზე. აქეთ-იქით იცქირება. შარვალი მუხლამდე დასველებია. განჯინიდან ბურთს ამოიღებს. სწრაფი ნაბიჯით სტოვებს სცენას. მოტოციკლეტის ხმა.

დასახლებიდან მომავალ ბილიკზე გიორგი გამოჩნდება.

პაუზას დროდადრო არღვევს ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი.

გიორგი (მარინეს გვერდით ჩამოჯდება. პაუზა) — პატიკო არ გამოჩენილა?

მარინე უარის ნიშნად გააქნევს თავს.

გიორგი (ძოტეხილი, ძობერებული ჩახს) — სად უხდა იყოს?

მარინე — პატიკო მოვა, მამა.

პაუზა.

გიორგი (თვალს მოავლებს სასაფლაოს) — უკვე მოუსწრია. (მაგიდაზე მარინეს მონნულ კალათას შენიშნავს, იქიდან მოხატულ კვერცხს ამოიღებს) დედამ შეგიღება?

მარინე — ხო, დედამ შეღება.

გიორგი (ისევ კალათში ჩააბრუნებს კვერცხს) — როგორ გიხაროდა, მოხატულ კვერცხებს რომ გიღებავდა. (პაუზა) დედა ძალიან ავად არის.

მარინე — დედა გამოჯანმრთელდება.

პაუზა.

გიორგი — გინდა, ზოოპარკში წავიდეთ, მარინე! (ხანმოკლე პ
უზა) რამდენი ვიცინეთ, გახსოვს?! (ხანმოკლე პაუზა) წავიდეთ
მარინე, ნურავის ნუ ვეტყვით, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი და ჩუ
მად გავიპაროთ...

მარინე — წავიდეთ, მამა.

გიორგი — ხო, წავიდეთ. (ხანმოკლე პაუზა) ზოოპარკში კა
გია...

ხანგრძლივი პაუზა.

თამრო (შორიდანვე) — ნოე! ნოე, შენ არ გაგითენდეს ხვალ
დელი დღე, ნოე! (მამა-შვილს შენიშნავს) მოდის და რა მოდის, მდ
ნარესავით, ტალახისფერი... (სამტრედეს დაეჯაჯგურება) რას გ
უბნებოდი, შე გასაქვავებელო, რას გეუბნებოდი... (ტელეფონ
ეცემა. ყურმილი შერჩება ხელში) ეს ვიღამ გააკეთა, ეს ვიღამ გ
აკეთა-მეთქი... (ყურმილს მიაგდებს. გიორგისკენ დაიძრება) გ
ვინგრევით, გესმის შენა, ვინგრევით! რაც მიწვალია წყალს მიაქ
გესმის, კაცო! გაინძერი, მარტო მე კი არა, შენც ინგრევი, მაღ
დან მოდის, სადაცაა აქამდე მოაღწევს!..

გიორგი (ქვემოდან ამოხედავს) — მაგას ეშველება, თამრო, ჩვ
სხვანაირად ვინგრევით...

თამრო (მოშორდება) — სახლ-კარი გვენგრევა, ეს კიდე... რ
ვქნა, რა შეგცოდე, ღმერთო, რა! ვინ დამწყევლა, ვინ გასაქვავ
ბელმა... (გზისკენ მირბის) ნოე, შე არგასახარელო, სადა გდიხ
ნოე! ნოე! (მირბის. თვალს მიეფარება)

გიორგი (პაუზის შემდეგ) — ვისთან უნდა გაეთია ღამე?!

მარინე — პატიკო მოვა, მამა.

პაუზა.

გიორგი — წავიდეთ, მარინე, როგორც მაშინ, ჩავჭიდოთ ერთ
მანეთს ხელი და ჩუმად გავიპაროთ...

მარინე — წავიდეთ, მამა.

გიორგი — ხო, წავიდეთ.

ხანმოკლე პაუზა.

მარინე — მამა!

გიორგი (თავჩარგული) — ხო.

მარინე — აბა, რა ჩავიფიქრე — ჭ. ა.

გიორგი (თავჩარგული) — ჭა.

მარინე — აბა, ჭ. ი.

გიორგი (ამოხედავს) — ჭ. ი?

მარინე — ხო.

გიორგი — ჭაღი.

მარინე — არა.

გიორგი — ჭიქა.

მარინე (იცინის) — შენ ჭიქა გახსენდება?

გიორგი (იცინის) — ეტყობა... (ხანმოკლე პაუზა) — ჭია.

მარინე — არა, ახლოს ხარ.

გიორგი — ჭიანჭველა.

მარინე — ჭიამაია!

გიორგი — იგივე ჭია არ არის?

მარინე (იცინის) რატომ არის ჭია. ჭია, ჭიაააა; ჭიამაია — ჭიამა-
ია. აბა. ს.ქ.?

გიორგი — საქანელა.

მარინე (იცინის) — არა.

გიორგი — საქათმე.

მარინე — არა, არა (იცინის)

გიორგი — მაშინ მსხალი. (იცინის)

მარინე (იცინის) — მსხალი რა შუაშია.

გიორგი — არ ვიცი... (იცინის)

მარინე — სანტექნიკოსი. (იცინის) გახსოვს, ფოტოგრაფი რო-
გორ გავდა ჩვენ სანტექნიკოსს? რამდენი ვიცინეთ, არა, მამა?!
ოდნავ მაღალი იყო და ოდნავ გამხდარი. ისე კი, გაჭრილი ყაშ-
ლივით გავდა. შენ ისიც კი კითხე — შეთავსებით სანტექნიკო-
სად ხომ არ მუშაობთო — (იცინის) — რა სახით შემოგვხედა, არა,
მამა?!

გიორგი — თამროსთან უნდა მიგვეყვანა, თამრო გულში ჩაიკ
ტებდა...

მარინე — ნაყინიც რა გემრიელი იყო. არც მიჭამია ასეთი გემ
რიელი ნაყინი. წავიდეთ, მამა, ზოოპარკში, ის ნაყინი მომენატრ

გიორგი — ხო, წავიდეთ.

მარინე — დედაც წავიყვანოთ, დედა და პატიკო. პატიკო ს
ლელია, პატიკომ არ იცის რა კარგია ზოოპარკში, არა, მამა?

გიორგი — წავიყვანოთ. დედა და პატიკოც წავიყვანოთ.

მარინე — ხის ცხენებზე გადავიღოთ სურათი. ზუსტად ოთ
ცხენია. ოთხივენი ავმხედრდეთ და ერთად გადავიღოთ სურათ
არა, მამა?!

გიორგი — ხო, ასე ვქნათ...

მარინე — და ბევრი ნაყინი ვჭამოთ.

გიორგი — ხო, ბევრი ნაყინი ვჭამოთ.

მარინე — ნაყინი და წვენები, არა, მამა?!

გიორგი — წვენებიც დავლიოთ.

მარინე — ზოოპარკში რატომღაც ყოველთვის კარგი ამინდ
არ შეგიმჩნევია?

გიორგი — იმიტომ რომ ზოოპარკში მხოლოდ კარგ ამინდში დ
დიან.

მარინე (იცინის) — მართალია, რა სულელი ვარ...

*ცაში მტრედი შეფრთხიალდება. უცებ მიიკარგება ხმა. გიორ
ყურადღებას მიაქცევს.*

გიორგი (პაუზის შემდეგ) — აჰა, ფუხუცას მტრედიც... (ხანგრ
ძლივი პაუზა. გიორგი მარინეს მოხედავს. დიდხანს შესქცერ
შემდეგ მუცელზე შეახებს ხელს) ჯერ არ მოურტყამს?

მარინე — არა, ჯერ არა.

გიორგი (პაუზის შემდეგ) — ყველაფერი ზუსტად ვითარდ
გაუქმებულ სასაფლაოზე სიცოცხლე უნდა დაიბადოს.

მარინე — მამა.

გიორგი — ხო.

მარინე — კ.ი. რა ჩავიფიქრე — კ.ი.

გიორგი — არ ვიცი.

პაუზა.

მარინე — რატომ ხარ, ასე?!

გიორგი — მე, ალბათ, ცუდი მამა ვარ, არა, მარინე?

მარინე — შენ მსოფლიოში ყველაზე კარგი მამა ხარ, შენ გიჟი
მამა ხარ, იმიტომ, რომ სიგიჟემდე გიყვარს შენი პატიკო და შენი
მარინე, და შენ ყველაზე ბედნიერი მამა ხარ.

გიორგი — პატიკოც ასე ფიქრობს?

მარინე — პატიკო მოვა, პატიკოს შენ სიგიჟემდე უყვარხარ, პა-
ტიკო მოვა.

გიორგი — როცა ასეთ უსუსურ კითხვას სვამენ, პასუხიც წინასწარ
იციან. მაგრამ, ეტყობა, სჭირდება ხოლმე კაცს ასეთი პასუხი, როგორც
ზოოპარკში წასვლა, ან ეს ჩვენი სულელური თამაში, (პაუზა) როგორც
გრძელი ესტაფეტის დროს წყლის დალევა. (ხანმოკლე პაუზა) მე ძა-
ლიან უცნაური მონაკვეთი შემხვდა, ჯერ იმის პოვნა დამჭირდა, რაც
მამაჩემს უნდა დაეტოვებინა ჩემთვის, შემდეგ კი პატიკომ ხელიდან
გამომგლიჯა, რაც მისთვის უნდა გადამეცა. ძალიან ადრე გამომგლი-
ჯა... პატიკოს თავისი სიმართლის იმედი აქვს, ამ ზღვაში კი მხოლოდ
სიმართლით ვერაფერს გახდები, ძლიერიც უნდა იყო...

მარინე — პატიკო ძლიერია, მამა, შენც ძლიერი ხარ... თქვენ
წარმოდგენაც არა გაქვთ, რა ძლიერები ხართ. შენი და პატიკოს
ჩხუბიც არაფერს ნიშნავს. მხოლოდ ცოტა უნდა გავუძლოთ; ცო-
ტა, სულ ცოტა, მე გეტყოდი, მაგრამ ჯერ ამის დრო არ არის, ყვე-
ლაფერს თავისი დრო აქვს...

გიორგი — ჩვენ არ შეიძლება ძლიერები ვიყოთ...

მარინე — შენ არ იცი, მამა, შენ ძალიან თავისებურად ხედავ
ყველაფერს...

გიორგი (აწყვეტინებს) — მე ყველაფერს სწორად ვხედავ; სა-
ქმეც მაგაშია, რომ ყველაფერს სწორად ვხედავ... ჩვენი ათვლის
წერტილი იმ დიდი წარღვნიდან, იმ ეშმაკის მოწყობილი წარღვნი-
დან იწყება, მარინე. ეს ზედაპირზე ჩანს თითქოს ერთმანეთს ვეჩ-
ხუბებოდეთ... არა, ჩვენ ყველაზე აბსურდულ და სასტიკ ომში ჩა-
ვებით, დროს და იმ ადგილს გამოვუცხადეთ ომი, რომელიც დრომ
მოგვისაჯა... კაცმა რომ თქვას, ჩვენ ჩვენივე საკუთარ ფუნქციას
ვეჩხუბებით, იცი რას გავს ეს ომი? მე რომ აქ მოვდიოდი და ჩემი
ლაყაფით ჰაერს ვკბენდი, აი, იმას, იმას გავს!..

მარინე — შენ ძალიან მუქ ფერებში ხედავ ყველაფერს, მამა, ბ
გეჩვენება, რომ ამ მღვრიე ზღვის მეტი არაფერი არსებობს, მ
ვიცი, რომ ჩვენი ხომალდი არნახული შუქით გაბრწყინდება...

გიორგი (აწყვეტინებს) — ნოეს ხომალდი, ჩვენი კი არა, ნოეს ხ
მალდი, მთავარი ნოეა. იმ წარღვნის დროს ფეხუცა ამოირჩიე
ჩვენ კი ყველანი იქიდან მოვდივართ. აი, შენი მომავალიც, ჯერ ა
კი დაბადებულა და ისიც იქიდან მოდის. მართლაც სუსტი ვყოფ
ლვარ, მართლაც ნოეს პურნაჭამი ვყოფილვარ, რომ აქამდე ვ
ჩავაძაღლე ის ფეხუცა. ვერც ვერასოდეს ჩავაძაღლებ, — იმიტ
რომ მეც ნოეს პურს ვჭამდი. იმ ძალიან ბევრი ცრუმოწმიდ
ჩვენს გამომცემლობაში წიგნებად რომ გამოდიოდა, არა ერთი
ორი მე შემიმოსავს, მე გამომიჭრია მათ ტანზე თარგი, მე გა
ფორმებია, — ესეც ფეხუცას პურია, ამასაც ფეხუცას პური ქ
ასუსტებს ადამიანს ასეთი პური... რა მექნა, რაც იყო იმისათ
ვიბრძოდი, თქვენთვის ვიბრძოდი. რა როყიოდ ყღერს, არა — თ
ვენთვის ვიბრძოდი...

მარინე — შენი პირიდან როყიოდ არაფერი ყღერს, იმიტომ რ
შენ ყველაფერში მართალი ხარ, პატიკოც ყველაფერში მართ
ლია...

გიორგი — მტყუან-მართალი აქ არაფერ შუაშია, ჩვენ შედეგ
ვართ... დიდი ბოროტების შედეგი. თითოეული ჩვენთაგანის დღ
სამღერი არიაც, მაშინ, იმ დიდი წარღვნის დროს დაიწერა. ჩვენ ყ
დღეს ვასრულებთ მას. დღეს ვასრულებთ და იმაზე ვგიჟდებით, რ
ტომ არ ისმის სუფთა და ძლიერი ხმა. დრომ გადაგვიწყვიტა ასე
ოპერის მომღერალი ქალი — დრო იმ დიდი წარღვნიდან დღევ
ნდელ დღემდე, აი, ვინ არის ამ ხომალდზე მთავარი გმირი. სისხლ
დაგვეღალა, მარინე, სისხლი, ამდენი მოლოდინითა და იმედგაც
რუებით... ერთადერთი, ვინც დროისგან არ იჭყლიტება, ნოეა. ჩვენ
ნოეს ხომალდზე ვიხდით სასჯელს — ცოდვით, სასოწარკვეთი
და ნოეს უკან მობრუნებული მტრედებით დამძიმებულ ხომალდზ
ვიხდით სასჯელს იმ დანაშაულისა თუ შეცდომისათვის, რომელი
ჩვენ არ ჩაგვიდენია, ესეც დროის ლოგიკაა... იმედი, ჩვენი იმედ
კი გაზაფხულზე გამოცოცხლებული ჩიტების სიგიჟეს გავს. დრო
დადრო ჩიტებს ავყვებით ხოლმე ეიეეიეში და ამას იმედს ვარქმევთ
ეს არის და ეს...

მარინე — ხსნა ახლოს არის. მამა, ხსნა ძალიან ახლოს არის, შენ
ვერც კი წარმოიდგენ...

გიორგი (აწყვეტინებს) — ხსნა... (ჩიტის სტვენა ისმის. მაღლა აიხედავს) კარგი სიტყვაა, არა, ჩიტო — ხსნა...

მარინე — ასე არ უნდა იფიქრო, ასე არ შეიძლება ფიქრი, მამა! ჩვენ ხელს ჩავჭიდებთ ერთმანეთს და ახლავე, ახლავე წავალთ სადმე... სადაც შენ გაგიხარდება იქ წავიდეთ, მამა, იმიტომ, რომ ასე ფიქრი არ შეიძლება... მთავარია, ცოტაც გავუძლოთ, ცოტა, სულ ცოტა... ნათელი წინ არის, აქაურობა არნახული შუქით გაბრწყინდება, მამა... მთავარია, გავუძლოთ, როგორმე გავუძლოთ! აი, მოდის, ჩაიფიქრე რამე, ჩაიფიქრე და მე გამოვიცნობ...

გიორგი — ჩვენ წავალთ, მარინე, ზოოპარკში წავალთ... მე, შენ, დედა და პატიკო. ნაყინსაც მივირთმევთ, სპილოსაც მოვინახულებთ, სურათსაც გადავიღებთ, მერე კი, ხუთნი ვიქნებით და ხუთივე ერთად წავალთ ზოოპარკში. ის ფოტოგრაფი ისეთი გაქექილი ვინმე ჩანდა, რომ როგორმე მეხუთე ხის ცხენსაც გაგვიხერხებს და ხუთივე ასე, ხის ცხენებზე ამხედრებულები გადავიღებთ სურათს. ჩვენ წავალთ, მარინე...

მარინე — ხო, მამა, წავიდეთ, წავიდეთ ზოოპარკში; ნაყინი მომენატრა, წავიდეთ, არა, მამა?!

გიორგი — წავალთ, ან ცირკში წავალთ. დღევანდელ გაზეთში წავიკითხე, ახალი ცირკი ჩამოსულა, — საუკეთესო ჯამბაზებით, განვრთნილი ლომებით... ჩვენ, საერთოდ, ძალიან ბევრ გაზეთს ვღებულობთ, ნორმალური ადამიანი ვერც მოერევა ამდენს. ფოსტის ყუთი ყოველთვის დატენილი მხვდება ხოლმე გაზეთებით... აქ ერთი ჩიტია, თავის გაგიჟება იცის ხოლმე... შენ და ის ჩიტი ახლა ძალიან გავხართ ერთმანეთს, მარინე...

მარინე — ხსნა ახლოს არის, ხსნა ძალიან ახლოს არის, ჩვენ ჩვენი ტანჯვით მოვიპოვეთ უფლება, მამა! ახლა კი მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, გზა მოკუსნაროთ მას, ვინც მოდის...

მტრედების ფრთების ხათქუნი. გიორგი მაღლა აიხედავს.

გიორგი — აი, ვინც მოდის... ნოეს თარსი მტრედები მოფრინავენ, ნოეს განვრთნილი მტრედები. რას თუ ვის უნდა ველოდო აქ, ვისი იმედი უნდა მქონდეს... პატიკომ — ფუნქციამოშლილი კაცი ხარო,

— მთელი უბედურებაც იმაშია, რომ ზუსტად იმ ფუნქციას ვასრ
ლებ, რაც ცხოვრებამ თუ დრომ თავისი რკინის ლოგიკით მომისა
— ვხედავდე, ვიტანჯებოდე და არაფრის შეცვლის არც შნო მქონდ
და არც ძალა, — აი, ჩემი ფუნქციაც... ყველას ზუსტად ის ფუნქ
გვაქვს, რაც იმ წარღვნის დროს გადაწყდა. ყველა იმ არიას ვასრ
ლებთ, რაც მაშინ დაიწერა. პატიკოს ბედიც მაშინ არის გადაწყ
ტილი... პატიკო ზუსტად ასეთი უნდა ყოფილიყო — თავისი სიბ
რთლით ანთებული და სიბრმავემდე თავგანწირული... დედაშენ
დედაშენიც ასეთი ავადმყოფი და სანთელივით დალეული უნდა ყ
ფილიყო... ამ გაუქმებულ სასაფლაოზე სიცოცხლის დაბადებაც
შინ, იმ წარღვნის დროს გადაწყდა... შენც, შენც ასეთი უნდა ყოფ
ლიყავი — ხან გეცინა, ხან კი გეტირა, იმიტომ რომ სხვა იარაღი
არა გაქვს. ჩვენს ოჯახსაც აქ უნდა ეცხოვრა; ზუსტად აქ, ამ ცოდ
დატენილ სასაფლაოზე უნდა ეცხოვრა და იმ დიდი წარღვნის შემ
დარჩენილი საფლავებისათვის ეცქირა; კვირაში სამჯერ კი, ოპერ
მომღერლის საცოდავი ჯახირი მოესმინა და ავსებულიყო, ავსებ
ლიყო საკუთარი უსუსურობის შეგრძნებითა და ბოღმით; დღი
დღე ავსებულიყო ამ ბალღამით, ამ განწირული ხმებით, ამ ბოღ
თა და ტკივილით, რადგან ჩვენი დროის ამირანს ფეხუცას მტრედ
ბი კორტნიან... ვის, ვის, ან რას უნდა ველოდო აქ, ნოეს ნაბიჭვრ
ბით და მისი ნაბიჭვრების ნაბიჭვრებით გატენილ ხომალდზე, ვის
ღმერთო, ღმერთო, თვალის ახელას არა, სიბრმავეს გთხოვ, ღმერთ
ან, რწმენა მომეცი, რწმენა მომეცი, ღმერთო! (მარინეს მოუტრიალ
დება) ერთი ჩასუნთქვა ჰაერი მჭირდება, მარინე, იქნებ შენ მითხ
რამე... იქნებ შენ მითხრა, მარინე... ახლა მე დაუჯერებელსაც დაუ
ჯერებ, შვილო... ერთი ჩასუნთქვა ჰაერი მინდა, ერთი ჩასუნთქვა ჰ
ერი, თორემ დაიხშო ფილტვები, მარინე... მითხარი რამე, იმედი მ
მეცი... მითხარი, რომ პატიკო მტრედად იქცა... რა სასწაულები ა
ხდება ქვეყანაზე, რა მოხდა ვითომ, ბიჭი მტრედად გადაიქცეს... მ
თხარი, რომ პატიკო ჩემი ხელიდან გაშვებული მტრედია და თავ
ნაპირს იპოვნის, მითხარი, მარინე... მითხარი, რომ რაც ცუდი იყ
უკან დარჩა, წინ კი ნათელია; მითხარი, შვილო, მითხარი, რომ სიბ
მინდეც შერჩა ამ ქვეყანას... იმედი მომეცი, თორემ ხომ ხედავ, რ
გორ დავიღალე... დავიღალე, დავიბენი, დავბერდი! თქვი, თქვი, რომ
ამ უკუნეთში ნათელ წერტილს ხედავ... მე დაუჯერებელსაც დაუ
ჯერებ ახლა, მარინე... მითხარი, რამე, თუნდაც ის მითხარი, რომ ღ

თისმშობელივით სუფთა ხარ... მითხარი, შვილო, მითხარი, რომ ღვ-
თისმშობელი ხარ, მარინე. მე...

მარინე (ანყვეტინებს) — ჩუ... ჩუმად... შენ საიდან იცი... (გიო-
რგი რაღაცის თქმას აპირებს. მარინე ტუჩებზე აფარებს ხელს). ჩუ-
მად, ჩუმად იყავი... აი, ის წუთიც!.. ჩუ... მე თვითონ გეტყვი ყველა-
ფერი... (შუქი ჩაუდგება თვალებში) იმ დღეს დიდი სინათლე შემოვი-
და ჩემს სარკმელში. მერე კი, მთელი ოთახი დიდი სინათლე იყო და
მე სინათლეში ვიყავი, (წამოდგება. გიორგის ყურადღებას არ
აქცევს. გატაცებით ლაპარაკობს). გამოცხადდა უფლის ანგელო-
ზი და მითხრა: გიხაროდეს, მადლიანო, შენთან არს უფალი, კურ-
თხეული ხარ დედათა შორის, მე კი შემაძრწუნა ამ ნათქვამმა და
ჩამაფიქრა: რანაირია ეს მისალმება — და მითხრა ანგელოზმა, ნუ
გეშინია, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან, აი, დაორსულდები და
გაგიჩნდება ძე, დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. რანაი-
რად იქნება ეს — მივუგე მე, როცა მამაკაცი არ ვიცი? სული წმინდა
მოვა შენზედა და უზენაესის ძალა დაგჩრდილავს, ამიტომ წმინდა-
შობილიც იწოდება ძე ღმერთისად... (მარინე სკამზე შედგება) აჰა,
მხევალი უფლისა, დაე იყოს შენი სიტყვისამებრ, და...

ისმის საოპერო არია რწმენასა და სიყვარულზე.

გიორგი მარინეს შესცქერის. მარინეს კი უცნაური შუქი ჩასდგომია თვალებში და ლაპარაკობს, ლაპარაკობს დიდხანს, გატაცებით...

სცენის სილრმიდან ოპერის მომღერალი ქალი გამოჩნდება. გულზე დაკრეფილ ხელებში ყვავილი უჭირავს. შორიახლო ჩერდება. ბისგან გაპატიოსნებული ბიცვალებულის სისუფთავე და სიცივე ბოდის. გიორგი თვალს არ აშორებს მარინეს...

წამით პატეფონი გამოირთვება, მაგრამ, ვილაც უხილავის ნყალობით ისევ გრძელდება სიმღერა.

მარინე კი, ახლადგაშლილი ყვავილივით შუქდამდგარი, საკუთარი დაბადებით თავადვე აღტაცებული და კიდევ უფრო გალამაზებული, არაფერს აქცევს ყურადღებას, ლაპარაკობს დიდხანს, გატაცებით, მხოლოდ მის ხმას საოპერო არია ახშობს.

ფარდა. *14.02.90 წ.*

ავტორისაგან:

ფინალური სცენა სპექტაკლში შეიძლება სხვანაირად გადაწყდ
ეს იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ იქნება რეჟისორის მიერ გა
რებული პიესაში მოთხრობილი ამბავი: შესაძლოა ისევ ის ძველი, ბ
ლისგამაწვრილებელი ხმა გაისმას; ან თავიდან არია აჟღერდეს, ს
მდეგ კი მოშლილი პატეფონიღა შეგვრჩეს ხელთ; შესაძლოა, სევდ
ნი მელოდია დაიღვაროს დარბაზში; ან, საორღანო კონცერტის ნა
ვეტი... — ვიმეორებ, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნ
რეჟისორის მიერ პიესა გააზრებული. ავტორი იმ სახით ხედავს მ
რა სახითაც მიანოდა მკითხველს, მარინე ფინალურ სცენაში დაი
და, ფინალური სცენა მისი ფუნქციის გაცხადებაა, და მიუხედავად ი
სა, თუ რა ფონი არის მის უკან, მიუხედავად იმისა, თუ რა სამყაროს
უწყვს მას თავისი უსასოვარი დროიდან მოყოლებული როლის ხელ
ხლა შესრულება; მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება სპ
ტაკლში მისი ხვალინდელი დღე, მარინე ამ წუთას არ შეიძლება ლამ
ზი არ იყოს...

14.02.90 წ.

Scanned with CamScanner